



ქართული  
ლიბრთეკა

8-9  
8-9  
სსსრ

113

8-12

# სამართალი

პრაქტიკა • მეცნიერება • პუბლიცისტიკა

74

1992.8.9

IUS  
TBILISI GEORGIA

მთავარი რედაქტორი

თავმჯდომარე ნინო

სარედაქციო კოლეგია:

ანზო არსენაშვილი

(კასუხისმგებელი მდივანი),

გელა გარსენაშვილი

(მთავარი რედაქტორის მოადგილე),

ოთარ გამყრალიძე,

როსლან გილიგაშვილი,

ავთანდილ დამატკაშვილი,

ტარიელ ჯამბასია,

მინდო კეკელია,

ფრია ლეკვეიშვილი,

გურამ ლილუაშვილი,

ალექსანდრე ტალიაშვილი,

რუსუდან კიტავა.

გულნარა გოსიაშვილი

ბიძინაშვილი რედაქტორი

სარედაქციო საბჭო:

ვახტანგ აბაშვილი, ლევან ალექსიძე, ანტონ გაბიანი, როზან გვენცაძე, გივი ინჟიერაძე, ოთარ კაციტაძე, თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ლორია, გიორგი ნადარეიშვილი, ნოდარ ნეპირიძე, ვახტანგ რაჭვასიძე, ზურაბ რატიანი, გიორგი ტყეშელაძე, მინდია უგრაძე, აკოლონ ფალიაშვილი, იაკობ ფუტყაძე, თამაზ შავჭავჭავაძე, ალექსანდრე შუშანაშვილი, ირაკლი ჩიქოვანი, ჯონი ხაბუკიანი, ჯონი ჯალაღანია, სერგო ჯორჯიანი.

# საბარტალი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№ 8-9 1992

გამოდის 1992 წლიდან

ავიისტო-საქაბეზარი

## ს ა ბ რ ტ ა ლ ი

### ოფიციალური მასალა

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დეკრეტი . . . . . **2**

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოში

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება . . . . . **36**

### თეორიის საკითხები

გურამ ნაჭყეძია — დანაშაულის შემადგენლობა, როგორც არაბრალეულობის პრეზუმფციის საფუძველი . . . . . **38**

### კანონის კომენტარი

აბოლონ ფალიაშვილი — საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების წესი და ტექტიკა **48**

### პრაქტიკა

ნიკოლოზ ბანცაძე — ადვოკატის მონაწილეობა ავტოსატრანსპორტო დანაშაულობათა საქმეების სასამართლო განხილვაში . . . . . **56**

ბრინა აქუზარდია — ბრალდებულის დაცვის უფლება სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაზე . . . . . **60**

### დაბარუნებული სახელეები

ფატი გოყიელი — უფლება . . . . . **63**

### განმეორებით ვითხოვთ უსკადღეაას

ანგი არსენაშვილი — მართლაცდა, რა ვეთხრათ ასეთ სამართალს?! . . . . . **74**



საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს

დეკრეტი

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

საზოგადოების დემოკრატიზაციის უზრუნველყოფის და საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის სამართლებრივი საფუძვლების შექმნის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში:

I. საქართველოს სსრ 1960 წლის დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უწყენესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10):

- 1. პირველ მუხლში სიტყვები „სსრ კავშირის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის“, სიტყვა „სოციალისტური“ ამოღებულ იქნეს.
- 2. მე-5 მუხლში სიტყვა „საბჭოთა“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის“.
- 3. მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„მუხლი 6. საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედება იმ პირობით მიმართ, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივად მცხოვრები უცხოელები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, თუ მათ ეკისრებათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ამ მიცემული არიან პასუხისმგებაში საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და არ დასჯილან უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენით, პასუხს აგებენ ამ კოდექსის მიხედვით.

უცხოელი მოქალაქეები, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც მუდმივად არ ცხოვრობენ საქართველოს რესპუბლიკაში, საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხს აგებენ ამ კოდექსის მიხედვით მხოლოდ საერთაშორისო, სამართლით გათვალისწინებულ შემთხვევაში და თუ ისინი მიცემული არიან სისხლის სამართლის პასუხისმგებაში საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

4. მე-8 მუხლში სიტყვები „სსრ კავშირის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის“, სიტყვა „სოციალისტური“ ამოღებულ იქნეს.

5. 8<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილში ციფრები „260-ე“ შეიცვალოს ციფრებით „259-ე“, ამოღებულ იქნეს სიტყვები „სამხედრო მოსამსახურეთა ურთიერთობის საწესდებო წესების დარღვევა დამამძიმებელ გარემოებაში, როცა მათ შორის არ არის ხელკვეითობის დამოკიდებულება (262-ე მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები); ციფრები „265-ე“ შეიცვალოს ციფრებით „262-ე“, სიტყვები „(269-ე მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტები)“, შეიცვალოს სიტყვებით „(265-ე მუხლი)“, სიტყვები „275-ე მუხლის „გ“ და „დ“ პუნქტები“ შეიცვალოს სიტყვებით „(275-ე მუხლი)“.

6. მე-12 მუხლის ბოლო ნაწილი ამოღებულ იქნეს.

7. მე-15 და მე-16 მუხლებში სიტყვები „საბჭოთა სახელმწიფოს“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის“.

8. დამატოს კოდექსს 16<sup>1</sup> მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 16<sup>1</sup>. ბრძანების ან სხვა მოვალეობის შესრულება**

დანაშაულად არ ჩაითვლება ბრძანების ან სხვა განკარგულების, აგრეთვე თანამდებობით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულების დროს ზიანის მიყენება.

წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი ბრძანების ან სხვა განკარგულების შესრულებისათვის პირი პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით საერთო საფუძველზე.

პირი თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ბრძანების, განკარგულების ან თანამდებობრივი მოვალეობის შეუსრულებლობისათვის, თუ მას ეს მოვალეობა დაეკისრა არამართლზომიერად. პასუხისმგებლობა დადგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედობა შეიცავს სხვა დანაშაულის შემადგენლობას“.

9. 20-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „სოციალისტური“.

10. 22-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „სოციალისტური“.

11. 23-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „მაწანწალობას ან მათხოვრობას, ან სხვაგვარ პარაზიტულ ცხოვრებას“.

12. 25-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით და“:

ბოლო ნაწილიდან — სიტყვები „სსრ კავშირის და“:

მეოთხე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „ქონებრივი სარგებლობის მიღება მოტყუებით ან ნღობის ბოროტად გამოყენებით (98-ე მუხლი)“, „უხარისხო, უსტანდარტო ან უკომლექტო პროდუქციის გამოშვება (160-ე მუხლი)“, „უხარისხო საქონლის გასაყიდად გამოშვება (161-ე მუხლი)“ „წამატება და სხვა დამაზიანება გეგმის შესრულების ანგარიშგებაში (163<sup>1</sup> მუხლი)“, „კერძო მეწარმეობითი საქმიანობა (164-ე მუხლი)“, „სპეკულაცია დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე (165-ე მუხლის პირველი ნაწილი)“, „კომერციული შუამავლობა (167-ე მუხლი)“, „მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულებისათვის მოქალაქეებისაგან უკანონო გასამრჯელოს მიღება (169<sup>2</sup> მუხლის მეორე ნაწილი)“, „შინახადი მაგარი სპირტიანი სასმელების დამზადება, გასაღება (173-ე მუხლის მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილები)“, „ძვირფასბეწვიანი ტყავის შესყიდვა, გაყიდვა, გაცვლა (177<sup>1</sup> მუხ-

საქართველოს  
მ. რ. ნ. ნ. ნ.



ლი)", „სახელმწიფოსათვის ოქროს ჩაბარების წესების დარღვევა (182-ე მუხლის მეორე ნაწილი)“.

13. 25-ე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „სსრ კავშირისა და“.

14. 26-ე, 27-ე და 28-ე მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „სსრ კავშირისა და“.

15. 30-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „ორმოცდაათიდან ხუთას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ასი მანეთიდან ათას მანეთამდე“, სიტყვები „ათას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათი ათას მანეთამდე“, სიტყვები „სსრ კავშირისა და“ ამოღებულ იქნეს.

მესამე ნაწილში სიტყვები „ოცი მანეთის“ შეიცვალოს სიტყვებით „ორასი მანეთის“.

16. 33-ე მუხლის მეორე ნაწილის მეორე პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „მაწანწილობის, მათხოვრობისა და სხვაგვარი პარაზიტული ცხოვრებისათვის (234-ე მუხლი)“.

17. 34-ე მუხლის მესამე ნაწილში სიტყვები „სსრ კავშირის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის“.

18. 35-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
 „მძიმე დანაშაულისათვის იმ პირთა მსჯავრდებისას, რომელთაც მინიჭებული აქვთ საქართველოს რესპუბლიკის საპატიო წოდება ან სამხედრო თუ სხვა წოდება; სასამართლო განაჩენის გამოტანისას გადაწყვეტს მსჯავრდებულისათვის საქართველოს რესპუბლიკის საპტიო წოდების ან საპატიო სამხედრო თუ სხვა წოდების ჩამოართმევის შესახებ წარდგინების იმ ორგანოში შეტანის მიზანშეწონილობის საკითხს, რომელმაც მსჯავრდებულს ეს წოდება მიანიჭა“.

19. 36-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ან არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის“.

20. 37-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების და აგრეთვე“;

მეორე ნაწილში ამოღებულ იქნეს სიტყვები „ხელმძღვანელობს სოციალისტური მართლშეგნებით“.

21. 44-ე მუხლის ბოლო ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირის სისხლის სამართლის კანონებისა და“.

22. 46-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ხოლო არასრულწლოვანთა ყოფაქცევას — აგრეთვე სახალხო დებუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებზე სსრ კავშირისა და“;

მეექვსე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ხოლო არასრულწლოვანის მიმართ, — აგრეთვე სახალხო დებუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის“.

23. 47-ე და 53-ე მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „სოციალისტური“;

24. 47-ე მუხლის მეათე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ხოლო არასრულწლოვანთა ყოფაქცევას — აგრეთვე სახალხო დებუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არ-

სებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები სსრ კავშირისა და;

მეხუთე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სახალხო დემუკრატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის“.

25. 49-ე მუხლის პირველი პუნქტიდან და 50-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს ციფრები „149-ე, 223-ე“.

26. 51-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირისა და“ და მესამე ნაწილის მე-3 პუნქტი.

27. 54-ე მუხლის მესამე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „და სახალხო დემუკრატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის ერთობლივი“.

28. 54<sup>2</sup> მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „და სახალხო დემუკრატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის ერთობლივი“.

29. 55-ე მუხლის მესამე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სახალხო დემუკრატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის ან“.

30. 81-ე მუხლის სათაური და პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 81. საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში გაწვევისაგან ან ალტერნატიული ზომითი სამსახურისაგან თავის არიდება

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში გაწვევისაგან ან ალტერნატიული ზომითი სამსახურისაგან თავის არიდება, ---

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე“.

31. განსაკუთრებული ნაწილი, მეორე თავია დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „დანაშაული სახელმწიფო და სსრკადგილობრივი საკუთრების წინააღმდეგ“.

32. 91-ე მუხლის პირველ ნაწილში და 93-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „ქარიშით ასიდან ხუთას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით: „ქარიშით ხუთი ათასი მანეთიდან ათი ათას მანეთამდე“.

33. 94-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „ორასიდან ათას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ორი ათას მანეთამდე“.

34. 98<sup>2</sup> მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 98<sup>2</sup>. ყოფა-ცხოვრებაში ენერჯითა და გაჯით სარგებლობის წინების დარღვევა

ელექტრო ან თბოენერჯის, ანდა გაზის თვითნებური გამოყენება ანგარების მიზნით, აგრეთვე ყოფა-ცხოვრებაში ელექტრო ან თბოენერჯით, ანდა გაჯით სარგებლობის წესების დარღვევა, რასაც მოჰყვება საკვდილი ან სხეულის მძიმე დაზიანება. ---

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე“.

35. 103-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „სოციალისტური“.

36. 122-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებში სიტყვები „ორას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთას მანეთამდე“.

37. 125<sup>1</sup> მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „ორას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“.

38. 129-ე მუხლში სიტყვები „ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთას მანეთამდე“.

39. 131-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ორი ათას მანეთამდე“.

40. 133-ე მუხლის ბოლო ნაწილი ამოღებულ იქნეს.

41. 135-ე და 136-ე მუხლებში სიტყვები „ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“.

42. 137-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „ორას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“;

მეორე ნაწილში სიტყვები „ასიდან სამას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ორი ათას მანეთამდე“.

43. 138-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვა „ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“;

მეორე ნაწილში სიტყვები „ათას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ორი ათას მანეთამდე“.

44. 139-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „ხუთას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“;

მეორე ნაწილში სიტყვები „ათას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ორი ათას მანეთამდე“.

45. 140-ე მუხლში სიტყვები „ხუთას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთი ათას მანეთამდე“.

46. 141-ე მუხლში სიტყვები „ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთას მანეთამდე“.

47. 145-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „სამას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“.

48. 147-ე მუხლში სიტყვები „სამას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ორი ათას მანეთამდე“.

49. 154-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „ოთხას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ორი ათასიდან ხუთი ათას მანეთამდე“.

50. 155-ე მუხლში სიტყვები „ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ორი ათას მანეთამდე“.

51. 159-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 159. დანაშაული ისეთ დაწესებულებათა ან გაერთიანებათა საკუთრების წინააღმდეგ, რომლებიც სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს არ წარმოადგენენ**

დანაშაული ისეთ დაწესებულებათა ან გაერთიანებათა საკუთრების წინააღმდეგ, რომლებიც სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს არ წარმოადგენენ, ჩადენილი იმ ქონების მიმართ, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზეა, —

ისჯება ამ თავის შესაბამისი მუხლებით“.

52. 162-ე მუხლში სიტყვები „ხუთას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთი ათას მანეთამდე“.

53. 176-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „სამას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“.



54. 176<sup>1</sup> მუხლში სიტყვები „10000 მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „25000 მანეთამდე“.
55. 176<sup>2</sup> მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „15000 მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „25000 მანეთამდე“.
- მეორე ნაწილში სიტყვები „25000 მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „40000 მანეთამდე“.
56. 176<sup>3</sup> მუხლში სიტყვები „500 მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“.
57. 177-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „ორას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“.
58. 178-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „სამას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „სამი ათას მანეთამდე“.
- მეორე ნაწილში სიტყვები „სამას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“, სიტყვები „ათას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთი ათას მანეთამდე“.
59. 179-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
**„მუხლი 179. ნათესებისა და ნარგავების განზრახ დაზიანება**  
ნათესების, აგრეთვე, ხილ-კენკროვანი ან სხვა ნარგავების განზრახ დაზიანება, რამაც სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ მეურნეობას მნიშვნელოვანი ზიანი მიყენა. —
- ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთიდან ორ წლამდე ან ჯარიმით ორი ათას მანეთამდე“.
60. 184<sup>1</sup> მუხლში სიტყვები „ათას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთი ათას მანეთამდე“.
61. 198-ე მუხლში სიტყვები „ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ორას მანეთამდე“.
62. 201-ე მუხლში სიტყვები „ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“.
63. 202-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „ხუთას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთი ათას მანეთამდე“;
- მეორე ნაწილში სიტყვები „ორას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“.
64. 203<sup>2</sup> მუხლში სიტყვები „სამას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „სამი ათას მანეთამდე“.
65. 206<sup>2</sup> მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
**„მუხლი 206.2 სახელმწიფო გერბის ან დროშის შებღალვა —**  
საქართველოს რესპუბლიკის, ასევე მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის ან დროშის შებღალვა —
- ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 2 წლამდე ან ჯარიმით ხუთი ათას მანეთამდე“.
66. 207-ე მუხლში სიტყვები „ორას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ორი ათას მანეთამდე“.
67. 208<sup>1</sup> მუხლში სიტყვები „ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“.
68. 214-ე მუხლში სიტყვები „ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“.

69. 220' მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 220'. მიტინგების, დემონსტრაციებისა და სხვა პოლიტიკური**

**ხასიათის აქციების ორგანიზაციისა და ჩატარების წესის დარღვევა**

მიტინგების, დემონსტრაციებისა და სხვა პოლიტიკური ხასიათის აქციების ორგანიზაციისა და ჩატარების წესის დარღვევა, ჩადენილი მიტინგების, დემონსტრაციებისა და სხვა პოლიტიკური ხასიათის აქციების ორგანიზატორის მიერ მის მიმართ ასეთი მოქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის ზომების გამოყენების შემდეგ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვს თვემდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმით ორი ათას მანეთამდე.

70. 225-ე მუხლის სათაურში სიტყვები „სსრ კავშირის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის“, ხოლო მუხლის პირველ აბზაცში სიტყვები „სსრ კავშირის ან მოკავშირე“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს“.

71. 230-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებში სიტყვები „სამას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“.

72. 236' მუხლში სიტყვები „ორასიდან სამას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“.

73. 237-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „ორას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“.

74. 241-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „ან მსუბუქი დაზიანება, ან რასაც მოჰყვა მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი“ შეიცვალოს სიტყვებით „დაზიანება“, აგრეთვე 241-ე და 241' მუხლებში სიტყვები „ნასვამ მდგომარეობაში“ შეიცვალოს სიტყვებით „ნასვამ მდგომარეობაში ან ნარკოტიკულ, ანდა ფსიქოტოქსიკურ საშუალებათა ზემოქმედების ქვეშ“, ხოლო სიტყვები „სამას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „სამი ათას მანეთამდე“.

75. 242' მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „სამას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთას მანეთამდე“.

76. 246-ე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

**„მუხლი 246. სახანძრო დაცვის წესების დარღვევა**

**! ხანძარსაწინააღმდეგო წესების დარღვევა, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა, —**

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე“.

77. 248' მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „ორას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“.

78. 251' მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „სამას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“.

79. 252-ე მუხლის ბოლო ნაწილში სიტყვები „ორას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ორი ათას მანეთამდე“.

80. 254-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „სამი ათას მანეთამდე“;

მეორე ნაწილში სიტყვები „ორას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთი ათას მანეთამდე“;

მესამე ნაწილში სიტყვები „სამას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „რვა ათას მანეთამდე“.

81. თავი მეტერთმეტე — „სამხედრო დანაშაული“ — ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

### „თავი მეტერთმეტე“

#### სამხედრო დანაშაული

##### **მუხლი 255. სამხედრო დანაშაულის ცნება**

სამხედრო დანაშაულად ჩაითვლება ქმედობა, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში სამხედრო სამსახურის შესრულების დადგენილი წესის წინააღმდეგ, ჩადენილი სამხედრო მოსამსახურის მიერ, აგრეთვე რეზერვისტის მიერ სასწავლო შეკრების გავლის დროს.

სამხედრო დანაშაულში იმ პირთა მონაწილეობა, რომლებიც მოხსენებულნი არ არიან ამ მუხლში, იწვევს პასუხისმგებლობას ამ კოდექსის შესაბამისი მუხლებით.

##### **მუხლი 256. ურჩობა**

ა) ურჩობა, ესე იგი აშკარა უარი უფროსის ბრძანების შესრულებაზე, აგრეთვე ბრძანების სხვაგვარი განზრახ შეუსრულებლობა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე;

ბ) იგივე ქმედობა, თუ იგი ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ, ან თუ მას მძიმე შედეგი მოჰყვა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე;

გ) ურჩობა, ჩადენილი ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე.

##### **მუხლი 257. ბრძანების შეუსრულებლობა**

ა) უფროსის ბრძანების შეუსრულებლობა, თუ არ არის ამ კოდექსის 256-ე მუხლის „ა“ პუნქტით მითითებული ნიშნები, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე;

ბ) იგივე ქმედობა, ჩადენილი შემამსუბუქებელ გარემოებაში, — იწვევს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სადისციპლინო წესდების წესების გამოყენებას;

გ) ამ მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედობა ჩადენილი ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე.

##### **მუხლი 258. წინააღმდეგობის გაწევა უფროსისათვის ან მისი იძულება დაარღვიოს სამსახურებრივი მოვალეობა**

ა) წინააღმდეგობის გაწევა უფროსისათვის, აგრეთვე სხვა პირისათვის, რომელიც ასრულებს სამხედრო სამსახურით მასზე დაკისრებულ მოვალეობას, ან მისი იძულება, დაარღვიოს ეს მოვალეობა, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე;

ბ) იგივე ქმედობა, თუ იგი ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ, ან იარაღის გამოყენებით, ან თუ მას მძიმე შედეგი მოჰყვა, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე;

გ) ამ მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედობა, თუ იგი დაკავშირებულია უფროსის ან იმ პირის განზრახ მკვლელობასთან, რომელიც სამხედრო სამსახურით დაკისრებულ მოვალეობას ასრულებს, ან ჩადენილი იყო



ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში, — ისჯება სიკვდილით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე.

**მუხლი 259. ძალმომრეობითი მოქმედება უფროსის მიმართ**

ა) უფროსისთვის სხეულის დაზიანება ან მისი ცემა მის მიერ სამხედრო სამსახურის მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე;

ბ) იგივე ქმედობა, ჩადენილი ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში, თუ მას მოჰყვა მძიმე შედეგი, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე.

**მუხლი 260. ხელქვეითის მიერ უფროსისა და უფროსის მიერ ხელქვეითის შეურაცხყოფა**

ხელქვეითის მიერ უფროსის, ასევე უფროსის მიერ ხელქვეითის შეურაცხყოფა, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე.

**მუხლი 261. სამხედრო ნაწილის ან სამსახურის ადგილის თვითნებურად დატოვება**

ა) საყოველთაო სავალდებულო სამხედრო ბეგარის მოხდისას სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო ნაწილის ან სამსახურის ადგილის თვითნებურად დატოვება, აგრეთვე მისი სამსახურში საპატიო მიზეზის გარეშე დროულად დადგენილ ვადაში გამოუცხადებლობა, ნაწილიდან დათხოვნის, დანიშვნის, გადაყვანის დროს, მივლინებიდან, შვებულებიდან ან სამკურნლო დაწესებულებიდან სამ დღე-ღამეზე მეტი ხანგრძლივობით, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვისა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე;

ბ) იგივე ქმედობა, ჩადენილი ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე;

გ) ოფიცერთა შემადგენლობის, ზეგადიანი სამსახურის ან ხელშეკრულებით სამხედრო სამსახურში მიღებული სამხედრო პირის მიერ ნაწილის ან სამსახურის ადგილის თვითნებურად დატოვება, აგრეთვე სამსახურში მისი ვადაზე გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზების გარეშე ათ დღე-ღამეზე მეტი ხანგრძლივობით, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვისა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე;

დ) ამ მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედობა, ჩადენილი ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში, თუ თვითნებურად არყოფნა გრძელდებოდა ერთ დღე-ღამეზე მეტი ხნით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

**მუხლი 262. დეზერტირობა**

ა) დეზერტირობა, ესე იგი სამხედრო ნაწილის ან სამსახურის ადგილის დატოვება სამხედრო სამსახურისაგან თავის არიდების მიზნით, აგრეთვე ამავე მიზნით სამსახურში გამოუცხადებლობა დანიშვნის, გადაყვანის დროს, მივლინებიდან, შვებულებიდან ან სამკურნლო დაწესებულებიდან, რომელიც ჩაიდინა საყოველთაო სავალდებულო სამხედრო ბეგარის მოხდისას სამხედრო მოსამსახურემ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე;

ბ) იგივე ქმედობა, ჩადენილი ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე;

გ) დეზერტირობა, ჩადენილი ოფიცერთა შემადგენლობის ან ზევადიანი სამსახურის ან ხელშეკრულებით სამხედრო სამსახურში მიღებული სამხედრო პირის მიერ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე;

დ) ამ მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედობა ჩადენილი ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე.

**მუხლი 263. საყოველთაო—სავალდებულო სამხედრო ბეგარის მოხდისაგან თავის არიდება სხეულის თვითდაზიანებით ან სხვა საშუალებით**

ა) საყოველთაო-სავალდებულო სამხედრო ბეგარის მოხდისაგან სამხედრო მოსამსახურის მიერ თავის არიდება სხეულის თვითდაზიანებით ან ავადმყოფობის სიმულაციით, ყალბი დოკუმენტის გაკეთებით ან სხვაგვარი მოტყუებით, აგრეთვე უარი საყოველთაო-სავალდებულო სამხედრო ბეგარის მოხდაზე, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე;

ბ) იგივე ქმედობა, ჩადენილი ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე;

გ) ამ მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედობა, ჩადენილი ოფიცერთა შემადგენლობის ზევადიანი სამსახურის ან ხელშეკრულებით სამხედრო სამსახურში მიღებულ სამხედრო პირთა მიერ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

**მუხლი 264. სამხედრო ქონების გაფლანგვა ან დაკარგვა**

ა) სამსახურებრივი სარგებლობისათვის მიცემული იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალებების, ტექნიკური მომარაგების საგნების თუ სხვა სამხედრო ქონების გაყიდვა, დაგირაუება, ან სხვის სარგებლობაში გადაცემა (გაფლანგვა), დაკარგვა ან გაფუჭება მათი შენახვის წესების დარღვევის შედეგად, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე;

ბ) იგივე ქმედობა, ჩადენილი ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე.

**მუხლი 265. სამხედრო ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება**

ა) იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალებების, სამხედრო ტექნიკის ან სხვა სამხედრო ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება თუ არ არის განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ნიშნები, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე;

ბ) იგივე ქმედობა, თუ მას შიშიმე შედეგი მოჰყვა, ან ჩადენილია ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

**მუხლი 266. მანქანების ტარების ან ექსპლუატაციის წესების დარღვევა**

საბრძოლო, სპეციალური ან სატრანსპორტო მანქანის ტარების ან ექსპლუატაციის წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა უბედური შემთხვევა ან სხვა შიშიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე.

**მუხლი 267. ფრენის ან ფრენისათვის მზადების წესების დარღვევა**  
ფრენის ან ფრენისათვის მზადების წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა კონტრბანდი ან სხვა მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლებას აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე.

**მუხლი 268. ხომალდის მართვის წესების დარღვევა**  
ხომალდის მართვის წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა ხომალდის დაღუპვა ან სერიოზული დაზიანება, ადამიანთა მსხვერპლი ან სხვა მძიმე შედეგი, — ისჯება თავისუფლებას აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე.

**მუხლი 269. საყარაულო სამსახურის საწესდებო წესების დარღვევა**

ა) საყარაულო (სავაბტო) სამსახურის საწესდებო წესების და ამ წესების გასავითარებლად გამოცემულ ბრძანებათა, განკარგულებათა და ინსტრუქციათა დარღვევა, ჩადენილი საბრძოლო მასალების, იარაღის, საბრძოლო ტექნიკის საწყობების ან სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვის ყარაულში და საგუშაგოებზე, რასაც მოჰყვა მანერე შედეგება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან შვიდ წლამდე;

ბ) საბადრაგო ან სადარაჯო სამსახურის საწესდებო წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა მანერე შედეგება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან შვიდ წლამდე;

გ) ამ მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული ქმედობა ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე.

**მუხლი 270. სასაზღვრო სამსახურის შესრულების წესების დარღვევა**

სასაზღვრო სამსახურის შესრულების წესების დარღვევა, იმ პირის მიერ, რომელიც შედის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის დაცვის განაწესის შემადგენლობაში, თუ მას მოჰყვა მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე.

**მუხლი 271. საბრძოლო მორიგეობის შესრულების წესების დარღვევა**

ა) საქართველოს რესპუბლიკის სახმელეთო, საზღვაო ან საჰაერო სივრცის ხელშეუხებლობის დასაცავად, ან საქართველოს რესპუბლიკაზე, მოულოდნელი თავდასხმის თავიდან ასაცილებლად, საბრძოლო მორიგეობის შესრულების წესების დარღვევა, რომელსაც მოჰყვა მძიმე შედეგი, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც შედის საბრძოლო გუფეულის, ეკიპაჟის, საგუშაგოს ან სხვა სამორიგეო ქვედანაყოფის შემადგენლობის შემორიგეო ცვლაში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე;

ბ) იგივე ქმედობა, ჩადენილი ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

**მუხლი 272. შინაგანი სამსახურის საწესდებო წესების დარღვევა**

ა) ნაწილის სადღეღამისო განაწესში ყარაულის და ვახტის ვარდა) შეშავალი პირის მიერ შინაგანი სამსახურის საწესდებო წესების დარღვევა, თუ მას მოჰყვა მძიმე შედეგი, რომლის აცდენა იმ პირის მოვალეობის შემადგენელია, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე;

ბ) იგივე ქმედობა, ჩადენილი ომიანობის დროს საბრძოლო ვითარებაში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

**მუხლი 273. სამხედრო საიდუმლოების განმაურება ან სამხედრო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტის დაკარგვა**

ა) სამხედრო ხასიათის ცნობების განმაურება; რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენენ, თუ არ არის სამშობლოს ღალატის ნიშნები, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე;

ბ) სამხედრო ხასიათის ცნობების შემცველი დოკუმენტების დაკარგვა, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენენ ან საგნებისა, რომელთა შესახებ ცნობები სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენენ იმ პირის მიერ, ვისაც ეს დოკუმენტები ან საგნები ჰქონდა მინდობილი, თუ დაკარგვა მოხდა აღნიშნულ დოკუმენტებთან ან საგნებთან მოპყრების დადგენილი წესების დარღვევის შედეგად, თუ მას მძიმე შედეგი მოჰყვა.

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

**მუხლი 274. ხელისუფლების ბოროტად გამოყენება, ხელისუფლების გადაშეტება და სამსახურისადმი დაუდევარი დამოკიდებულება**

ა) უფროსის ან თანამდებობის პირის მიერ ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, უმოქმედობა ან ხელისუფლების გადაშეტება, აგრეთვე სამსახურისადმი დაუდევარი დამოკიდებულება, თუ ეს მოქმედება ჩადენილია სისტემატურად ან ანგარებით, ან სხვა პირადი დაინტერესებით, აგრეთვე თუ მან არსებითი ზიანი გამოიწვია, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე;

ბ) იგივე ქმედობა, ჩადენილი შემამსუბუქებელ გარემოებებში იწვევს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების დისციპლინური წესდების წესების გამოყენებას;

გ) ამ მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედობა, ჩადენილი ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში; —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე.

**მუხლი 275. მოწინააღმდეგისათვის ომის წარმოების საშუალებათა ჩაბარება ან დატოვება**

უფროსის მიერ მისთვის მინდობილი სამხედრო ძალების ჩაბარება მოწინააღმდეგისათვის, აგრეთვე სიმაგრეების, საბრძოლო ტექნიკისა და ომის წარმოების სხვა საშუალებათა დატოვება მოწინააღმდეგისათვის, რაც გამოწვეული არ იყო საბრძოლო ვითარებით, თუ აღნიშნული მოქმედება მტრისათვის ხელის შეწყობის მიზნით არ არის ჩადენილი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე.

**მუხლი 276. იმ სამხედრო ხომალდის დატოვება, რომელიც იღუპება**

ა) მეთაურის მიერ, რომელსაც ბოლომდე არ შეუსრულებია თავისი სამსახურებრივი მოვალეობა, აგრეთვე ხომალდის ეკიპაჟის რომელიმე პირის მიერ მეთაურის სათანადო განკარგულების მოუღებლად იმ სამხედრო ხომალდის დატოვება, რომელიც იღუპება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე;

ბ) იგივე ქმედობა, ჩადენილი ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვადან სთათხმეტ წლამდე.

**მუხლი 277. ბრძოლის ველის თვითნებურად დატოვება ან იარაღით მოქმედებაზე უარის თქმა**

ბრძოლის ველის თვითნებურად დატოვება ბრძოლის დროს ან იარაღით მოქმედებაზე უარის თქმა ბრძოლის დროს, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით თხუთმეტი წლის ვადით.

**მუხლი 278. ნებაყოფლობით ტყვედ დანებება**

ნებაყოფლობით ტყვედ დანებება სიმხალის ან სულმოკლეობის გამო, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით თხუთმეტი წლის ვადით.

**მუხლი 279. ტყვეობაში მყოფი სამხედრო მოსამსახურის დანაშაულებრივი მოქმედება**

ა) ტყვეობაში მყოფი სამხედრო მოსამსახურის ნებაყოფლობითი მონაწილეობა სამუშაოებზე, რომელთაც სამხედრო მნიშვნელობა აქვთ ან სხვა ღონისძიებებში, რომელთაც წინასწარი შეცნობით შეუძლიათ ზიანი მიაყენონ სასაქართველოს რესპუბლიკას ან მის მოკავშირე სახელმწიფოებს, თუ არ არის სამშობლოს ღალატის ნიშნები, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე.

ბ) ძალმომრეობა სხვა სამხედრო ტყვეების მიმართ ან სასტიკი მოპყრობა მათდამი უფროსის მდგომარეობაში მყოფი სამხედრო ტყვის მხრივ, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე;

გ) ტყვედ მყოფი სამხედრო მოსამსახურის მიერ ისეთი მოქმედების ჩადენა, რომელსაც ზიანი მოაქვს სხვა სამხედრო ტყვეებისათვის, ანგარების მოტივით ან მოწინააღმდეგის მხრივ თავისადმი ლობიერი მოპყრობის უზრუნველყოფის მიზნით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

**მუხლი 280. მაროდორობა**

მოკლულთა და დაჭრილთა ნივთების გატაცება ბრძოლის ველზე (მაროდორობა), —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

**მუხლი 281. ძალადობა მოსახლეობის მიმართ საომარი მოქმედების რაიონში**

ყაჩაღობა, ქონების კანონსაწინააღმდეგო განადგურება, ძალადობა, აგრეთვე სამხედრო აუცილებლობის საბაბით ქონების კანონსაწინააღმდეგო ჩამორთმევა, ჩადენილი მოსახლეობის მიმართ საომარი მოქმედების რაიონში. —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტი წლამდე.

**მუხლი 282. ცუდი მოპყრობა სამხედრო ტყვეებისადმი**

ცუდი მოპყრობა სამხედრო ტყვეებისადმი, რასაც არაერთხელ ჰქონდა ადგილი ან რომელიც დაკავშირებულია განსაკუთრებულ სისასტიკესთან. ან მიმართულია დაჭრილთა და ავადმყოფთა წინააღმდეგ, აგრეთვე ავადმყოფთა და დაჭრილთა მიმართ მოვალეობის დაუღვევარი შესრულება იმ პირთა მიერ, რომელთაც აკისრიათ მათი მკურნალობა, თუ არ არის უფრო მძიმე დანაშაულის ნიშნები, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

**მუხლი 283. წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ნიშნების უკანონოდ ტარება და ამ ნიშნების ბოროტად გამოყენება**

საომარი მოქმედების რაიონში წითელი ჯვრის ან წითელი ნახევარმთვარის ნიშნების ტარება იმ პირთა მიერ, რომელთაც ამის უფლება არა აქვთ, აგრეთვე, ომიანობის დროს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის აღ-




მების ან ნიშნების, აგრეთვე სანიტარიული ევაკუაციის სატრანსპორტო საშუალებებისათვის მიკუთვნიებული შეფერადების ბოროტად გამოყენება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე“.

82. ამოღებულ იქნეს კოდექსიდან შემდეგი მუხლები:

მე-2 (საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის და სსრ კავშირის სისხლის სამართლის კანონმდებლობა); 95-ე (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცება); 98-ე (ქონებრივი სარგებლობის მიღება მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით); 98<sup>1</sup> (სატრანსპორტო საშუალებების, მანქანების ან მექანიზმების თვითნებური გამოყენება); 99-ე (ნაპოვნი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების მითვისება); 102-ე (დანაშაულებრივ-დაუდევარი დამოკიდებულება სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების დაცვისადმი); 102<sup>1</sup> (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანაშაულებრივ-დაუდევარი გამოყენება ან შენახვა); 121-ე მუხლის (მამათმავლობა) პირველი ნაწილი; 142-ე (პროფესიული კავშირების საქმიანობისათვის ხელის შეშლა); 148-ე (სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის კანონთა დარღვევა); 156-ე (მეგავშეობა); 160-ე (უხარისხო, უსტანდარტო ან უკომპლექტო პროდუქციის გამოშვება); 161-ე (უხარისხო საქონლის გასაყიდად გამოშვება); 163-ე (პროდუქციის მიწოდების გეგმებისა და გადავლებების სისტემატური შეუსრულებლობა); 163<sup>1</sup> (წამატება და სხვა დამახინჯება გეგმის შესრულების ანგარიშგებაში); 164-ე (კერძო მეწარმეობითი საქმიანობა); 167-ე (კომერციული შეუამავლობა); 168-ე (ბინების ან ოთახების უკანონო დათმობა); 169<sup>1</sup> (სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესების დარღვევა); 169<sup>2</sup> (მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულებისათვის მოქალაქეებისაგან უკანონო გასამრჯელოს მიღება); 169<sup>3</sup> ბენზინის ან სხვა საწვავ-საცხები მასალების უკანონო გაცემა); 169<sup>5</sup> (ინერტული მასალების მოპოვების მომწესრიგებელი დადგენილებების დარღვევა); 172-ე (აკრძალული სახეობის ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა); 172<sup>1</sup> (მემოსავლის შესახებ დეკლარაციის შეტანისაგან თავის არიდება); 173-ე (შინაჩხადი მაგარი სპირტიანი სასმელების გამოხდა, გასაღება, შენახვა); 173<sup>1</sup> (სახელმწიფო ან კოოპერატიულ მაღაზიებში პურისა და კვების სხვა პროდუქტების შესყიდვა პირუტყვისა და ფრინველის გამოსაკვებად); 174-ე (უკანონოდ მგზავრების გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა); 177<sup>1</sup> (ძვირფასბეწვიანი ტყავის შესყიდვა, გაყიდვა, გაცემა); 182-ე (სახელმწიფოსათვის ოქროს ჩაბარების წესების დარღვევა); 206<sup>1</sup> (საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის საჯარო შეურაცხყოფა ან შის მიმართ ცილისწამება); 210<sup>1</sup> (სსრ კავშირის ორდენის, მედლის, საპატიო წოდების სამკერდე ნიშნის ყიდვა, გაყიდვა, გაცემა, აგრეთვე ყაღბის გაცეობა ან განზრახ განადგურება); 216<sup>1</sup> (უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიერ სსრ კავშირში ყოფნისა და სსრ კავშირის ტერიტორიაზე ტრანზიტით მგზავრობის წესების დარღვევა); 222-ე (საშენი მასალების უკანონო შექმნა); 223-ე (მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის კანონების დარღვევა); 233-ე (მოქალაქეთა პიროვნებისა და უფლებების ხელყოფა რელიგიური წესების შესრულების საწინააღმდეგოდა); 234-ე (მაწანწალობა ან შათხოვრობა ანდა სხვაგვარი პარაზიტული ცხოვრება); 235-ე (ანარტული თამაში); 250<sup>1</sup> (კარატეს უკანონო სწავლება).



II. საქართველოს რესპუბლიკის 1960 წლის 80 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., მუხ, 11);

1. 6' მუხლიდან ამოღებულ იქნეს მე-3 პუნქტი;
2. მე-8 მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის“;
3. მე-9 მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „სოციალისტური“;
4. 9' მუხლში ამოღებულ იქნეს სიტყვები „ან არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას“ და „არასრულწლოვანთა საქმეების კომისიისათვის“;
- 25-ე მუხლის მე-6 პუნქტში, 117-ე მუხლის მე-6 პუნქტში და 126-ე მუხლის მესამე ნაწილში სიტყვები „სახელმწიფო უშიშროების ორგანოების“ შეიცვალოს სიტყვებით „საინფორმაცია-სადაზვერვო სამსახურის“.
5. 32-ე მუხლში ციფრების „242“ შემდეგ დაემატოს ციფრები „255-283“, ამოღებულ იქნეს სიტყვები „160-ე, 161' მუხლები“;
6. 117-ე მუხლის მეორე პუნქტში სიტყვები „სსრ კავშირის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის“.
7. 126-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს ციფრები და სიტყვები „95-ე, 99-ე, 169<sup>1</sup>, 169<sup>2</sup>, 169<sup>3</sup>, 169<sup>5</sup>, 172-ე მუხლის პირველი ნაწილით, 172<sup>1</sup>, 173-ე, 234-ე“, ციფრები „217-223“ შეიცვალოს ციფრებით „217-221-ე, 223<sup>1</sup>“. ამოღებულ იქნეს სიტყვები „250' მუხლის პირველი ნაწილით“. მესამე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს ციფრები „102<sup>1</sup>, 160-ე, 163-ე, 163<sup>1</sup>, 216<sup>1</sup>, 233-ე 235-ე“; ციფრები „139-149-ე“ შეიცვალოს ციფრებით „139-141-ე“, „143-147-ე, 149-ე“. ამავე ნაწილს სიტყვების „278-287-ე მუხლებით“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „255-283-ე მუხლებით“.
- მეოთხე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს ციფრები „98-ე, 98<sup>1</sup>, 102-ე, 161-ე, 164-ე, 172-ე მუხლის მეორე ნაწილით, 173<sup>1</sup>, 174-ე, 182-ე, 250' მუხლების მეორე ნაწილით“;
- „ციფრა „121-ე“ შეიცვალოს სიტყვებით „121-ე მუხლის მეორე ნაწილით“, ციფრები „150-156-ე“ შეიცვალოს ციფრებით „150-155-ე“; ციფრები „166-168-ე“ შეიცვალოს ციფრით „165-ე“.
8. 130-ე მუხლის ბოლო ნაწილი და 131-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები ამოღებულ იქნეს.
9. 250-ე მუხლის მეორე ნაწილს პირველ პუნქტში სიტყვები „სსრ კავშირის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკას“.
10. 251-ე და 251<sup>2</sup> მუხლებიდან სიტყვები „არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის და ინსპექციის“ ამოღებულ იქნეს.
11. 301-ე მუხლის სათაურიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ან სსრ კავშირის“ და ამ მუხლის მეორე ნაწილი.
12. 370-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სამართალწარმოების საფუძვლების 54-ე მუხლის შესაბამისად“ და „სსრ კავშირის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის“.
13. მე-400 მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „95-ე მუხლით, 169<sup>1</sup> მუხლით, 172-ე მუხლის პირველი ნაწილით, 173-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით“.
14. 374<sup>2</sup> მუხლის მეორე ნაწილიდან და 375-ე მუხლის პირველი ნაწილი-



დან ამოღებულ იქნეს სიტყვები „და მმართველობის ადგილობრივ ორგანოსთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის ერთობლივი“.

15. 374<sup>3</sup> მუხლიდან და 375-ე მუხლის მეორე ნაწილიდან, 376-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „მმართველობის ადგილობრივ ორგანოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის ერთობლივი“.

16. 380-ე მუხლის მესამე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „და სახალხო დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სამეთვალყურეო ან არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების ერთობლივი წარდგინებით“.

**III. 1984 წლის 15 დეკემბერს მიღებულ საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., № 12, მუხ. 421):**

1. 1-ლი მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის ამოცანაა საკუთრების, მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, მმართველობის დადგენილი წესის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სამართალდარღვევათა თავიდან აცილების უზრუნველყოფა, მოქალაქეთა აღზრდა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის, საქართველოს რესპუბლიკის კანონების ზუსტი და განუხრელი დაცვის, სხვა მოქალაქეთა უფლებების, პატივისა და ღირსების, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის, დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების სულისკვეთებით“.

2. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
**„მუხლი 2. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ“**

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან“.

3. მე-5, 30-ე და 34-ე მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირისა და“.

4. მე-7 მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „საბჭოთა“.


მეორე ნაწილში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა საბჭოები, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციისა და“ შეიცვალოს სიტყვებით, „სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები, რომლებიც“;

ამვე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ადმინისტრაციული კომისიების, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებისა და სხვა მათდამი ანგარიშვალდებული ორგანოების“.

5. მე-8, მე-10, მე-18, მე-19, 230-ე და 237-ე მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „სოციალისტური“;

6. მე-17 მუხლში სიტყვები „სსრ კავშირის მოქალაქეთა“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა“; ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირისა და“.

7. 21-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს მეორე ნაწილი, მესამე ნაწილიდან



ამოღებულ იქნეს სიტყვები „ლოთობასთან ბრძოლის კომისია“. ციფრები „163-171-ე“ შეიცვალოს ციფრებით „170-ე, 171-ე“.

8. 23-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „საბჭოთა“ და „სტრიალისტური“.

9. 24-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს მე-2 და მე-3 ნაწილები; მეოთხე ნაწილში სიტყვები „სსრ კავშირის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის“, ამოღებულ იქნეს სიტყვა „საბჭოთა“.

10. 27-ე მუხლის მესამე ნაწილში სიტყვები „ათი ათას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ოცი ათას მანეთამდე“.

11. 28-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირის კანონმდებლობა“.

12. 29-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „სსრ კავშირის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის“.

მესამე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირის კანონმდებლობა“.

13. 31-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 81. გამასწორებელი სამუშაოები**

გამასწორებელი სამუშაოები გამოიყენება ექვს თვემდე ვადით და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდგნა უნდა მოიხადოს მუდმივ სამუშაო აღვრზე. ამასთან, სახელმწიფოს სასარგებლოდ ხელფასიდან დაექვეთება ოც პროცენტამდე. გამასწორებელ სამუშაოებს შეუფარდებს რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მოსამართლე, ადმინისტრაციული მოსამართლე, გამასწორებელი სამუშაოების ვადა არ შეიძლება იყოს თხუთმეტ დღეზე ნაკლები, თუ საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი“.

14. 32-ე მუხლში სიტყვები „თხუთმეტ დღე-ღამემდე ვადით“ შეიცვალოს სიტყვებით „ოცდაათ დღე-ღამემდე ვადით“.

15. 33-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების“.

16. 34-ე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირისა და“.

17. 38-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირის“.

18. მე-40 მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ადმინისტრაციულ კომისიას, სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას“.

19. 47-ე, 48-ე, 49-ე, 49<sup>1</sup> მუხლებში სიტყვებით „ორმოცდაათ მანეთამდე“ და „ას მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „ხუთას მანეთამდე“ და „ათას მანეთამდე“.

20. 43-ე მუხლში სიტყვები „ათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთას მანეთამდე“, სიტყვები „ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“.

21. 44-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „ათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ას მანეთამდე“, სიტყვები „ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ორმოცდაათი მანეთიდან ხუთას მანეთამდე“.

მეორე ნაწილში სიტყვები „ოცდაათ მანეთამდე“ და „ათიდან ორმოცდა-



ათ მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „სამას მანეთამდე“ და „ორმოცდაათიდან ხუთას მანეთამდე“.

22. 45-ე მუხლში სიტყვები „ას მანეთამდე ან გამასწორებელ სამუშაოებს ვადით ერთიდან ორ თვემდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთას მანეთამდე ან გამასწორებელ სამუშაოებს ერთიდან ექვს თვემდე“.

23. 46-ე მუხლში სიტყვები „ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთას მანეთამდე“.

24. 50-ე მუხლის სანქცია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„გამოიწვევს დაჯარიმებას ათი ათას მანეთამდე ან გამასწორებელ სამუშაოებს ვადით ექვს თვემდე ხელფასიდან ოცი პროცენტის დაქვეითებით“, ხოლო შენიშვნაში სიტყვები „ორმოცდაათ მანეთს“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთას მანეთს“.

25. 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების სანქცია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„გამოიწვევს თანამდებობის პირთა დაჯარიმებას ათას მანეთამდე“.

26. 54-ე მუხლში სიტყვები „ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ას მანეთამდე“.

27. 55-ე მუხლში სიტყვები „ათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ორას მანეთამდე“.

28. 56-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთას მანეთამდე“, სიტყვები „ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“, მეორე ნაწილში სიტყვები „ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“, მესამე ნაწილში სიტყვები „ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ორი ათას მანეთამდე“.

29. კოდექსს დაემატოს 56<sup>1</sup> მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 56<sup>1</sup>. ინერტული მასალების მოპოვების რეგულირების წესების დარღვევა**

ინერტული მასალების მოპოვების მოწესრიგების შესახებ მთავრობის დადგენილებათა დარღვევა, ჩადენილი პირველად.

გამოიწვევს დაჯარიმებას ათი ათას მანეთამდე;

იგივე ქმედობა ჩადენილი განმეორებით.

გამოიწვევს დაჯარიმებას თბუთმეტი ათას მანეთამდე, ან გამასწორებელ სამუშაოებს ვადით ექვს თვემდე“.

30. კოდექსს დემატოს 56<sup>2</sup> მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**მუხლი 56<sup>2</sup>. სახელმწიფოსათვის ოქროს ჩაბარების წესების დარღვევა**

მოქალაქეთა მიერ მიწის წიალიდან მათ მიერ ამოღებულ ოქროს ან სხვა ძვირფასი ლითონის ან ძვირფასი ქვების სახელმწიფოსათვის ჩაბარების წესების დარღვევა, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთი ათას მანეთამდე ამოღებულ ფასეულობათა კონფისკაციით“.

31. 57-ე მუხლში სიტყვები „ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით: „ათას მანეთამდე“.

32. 58-ე და 61-ე მუხლების პირველ ნაწილში სიტყვები „ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთას მანეთამდე“, სიტყვები „ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“;

მეორე ნაწილში სიტყვები „ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით მანეთამდე“.

33. 62-ე, 63-ე და 64-ე მუხლებში სიტყვები „ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთას მანეთამდე“, სიტყვები „ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“.

34. 65-ე, 66-ე, 68-ე, 72-ე, 73-ე, 74-ე და 75-ე მუხლებში სიტყვები „ათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ას მანეთამდე“, სიტყვები „ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“.

35. 67-ე, 71-ე, 77-ე, 78-ე, 79-ე და მე-80 მუხლებში სიტყვები „ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“.

36. 70-ე მუხლში სიტყვები „ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთას მანეთამდე“.

37. 76-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „ათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ას მანეთამდე“, სიტყვები „ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთას მანეთამდე“;

მეორე ნაწილში სიტყვები „ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთას მანეთამდე“, სიტყვები „ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“.

38. 81-ე მუხლში სიტყვები „ოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთას მანეთამდე“.

39. 82-ე, 83-ე, 85-ე, 85<sup>1</sup>, 85<sup>2</sup>, 85<sup>3</sup>, 86-ე და 89-ე მუხლებში სიტყვები „ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთას მანეთამდე“, სიტყვები „ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“.

40. 84-ე მუხლში სიტყვები „ოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთას მანეთამდე“, სიტყვები „ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“.

41. 90-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“;

მეორე ნაწილი ამოღებულ იქნეს.

42. 91-ე მუხლში სიტყვები „ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“.

43. 92-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„იგივე ჭმედობა ჩადენილი განმეორებით.“

გამოიწვევს დაჯარიმებას ორი ათას მანეთამდე ან გამასწორებელ სამუშაოებს ვადით ერთ წლამდე“.

44. 93-ე მუხლში სიტყვები „ოცდახუთ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთას მანეთამდე“, სიტყვები „ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“.

45. 94-ე მუხლში სიტყვები „ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“, სიტყვები „ოციდან ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ორი ათას მანეთამდე“.

46. 95-ე მუხლში სიტყვები „ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“.

47. 96-ე მუხლში სიტყვები „ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთას მანეთამდე“, სიტყვები „ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“.

დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„ორივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით, ან რასაც არსებითი ზიანი მოჰყვა, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ათი ათას მანეთამდე ან გამასწორებელ სამუშაოებს ვადით ექვს თვემდე“.

48. 98<sup>1</sup> მუხლში სიტყვები „ორმოცდაათი მანეთით“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთასი მანეთით“, სიტყვები „ასი მანეთით“ შეიცვალოს სიტყვებით „ათასი მანეთით“.

49. 100<sup>1</sup> მუხლში სიტყვები „ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათასი მანეთით“.

50. 100<sup>2</sup> მუხლში სიტყვები „ოციდან ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათასი მანეთით“;

51. 116-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 116.** სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციის წესების დარღვევა

მძღოლების მიერ ისეთ სატრანსპორტო საშუალებათა მართვა, რომელთაც აქვთ უწყესიგრობა სამუხრუჭე სისტემაში ან საჭის სამართავ მექანიზმში, ან არა აქვთ მარკირება მაშუქებსა და საქარე მინებზე, ან რომლებიც გადაკეთებულია შესაბამისი ნებართვის გარეშე, ან რეგისტრირებული არ არის დადგენილი წესით, ან რომლებსაც არ გაუვლიათ სახელმწიფო ტექნიკური დათვალიერება, —

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას ორმოცდაათი მანეთით.

მოტოჩაფრუტებით სარკებლობის წესების დარღვევა, —

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას ოცი მანეთით.

**შენიშვნა:** ამ კოდექსის 116-123-ე და 125-127-ე მუხლებში აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებად ჩაითვლება ყველა სახის ავტომობილი, ტრაქტორი და სხვა თვითმავალი მანქანა, ტრამვაი და ტროლეიბუსი, აგრეთვე მოტოციკლი და სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალება“.

52. 117-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 117.** სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლების მიერ მოძრაობის სიჩქარის გადაჭარბება, საგზაო ნიშნების მოთხოვნათა დაუცველობა, მგზავრთა გადაყვანისა და საგზაო მოძრაობის სხვა წესების დარღვევა

სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლების მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება, საგზაო მოძრაობის რეგულარების სიგნალებისადმი დაუმორჩილებლობა, საგზაო ნიშნების ან გზების სავალი ნაწილის მონიშვნის მოთხოვნათა დაუცველობა, მგზავრთა გადაყვანის, სატრანსპორტო საშუალებათა გასწრების, გზაჯვარედინების ან საქვეითო გადასასვლელების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებათა გავლის, დღე-ღამის ბნელ დროს ან არასაკმარისი ხილვადობის პირობებში სანათი ბელსაწყობებით სარგებლობის, ხმოვანი სიგნალის მიცემის წესების დარღვევა, —

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას ასი მანეთით“.

53. 117<sup>1</sup> მუხლში სიტყვები „ორმოცდაათი მანეთით“ შეიცვალოს სიტყვებით „სამასი მანეთით“.

54. 118-ე მუხლში სიტყვები „ოცდაათი მანეთით“ შეიცვალოს სიტყვებით „სამასი მანეთით“.

55. 119-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 119.** სატრანსპორტო საშუალებათა მართვა ნახვამ მდგომარეობა-



ში ან ნარკოტიკულ ანდა ფსიქოტოქსიკურ საშუალებათა ზემოქმედების ქვეშ და სიმთვრალის დასაღვენად შემოწმებისაგან თავის არიდება

მძლოლების მიერ სატრანსპორტო საშუალებათა მართვა ნასვამ მდგომარეობაში ან ნარკოტიკულ ანდა ფსიქოტოქსიკურ საშუალებათა ზემოქმედების ქვეშ, ან სატრანსპორტო საშუალებათა მართვის გადაცემა ნასვამ ან ნარკოტიკული ანდა ფსიქოტოქსიკურ საშუალებათა ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირისათვის, განსაზღვრული წესით სიმთვრალის ან ნარკოტიკულ ანდა ფსიქოტოქსიკურ საშუალებათა ზემოქმედების დასაღვენად შემოწმებისაგან თავის არიდება, —

გამოიწვევს დაჯარიმებას სამი ათასი მანეთით ან სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამოერთმევის ერთიდან სამ წლამდე.

იგივე მოქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც არა აქვს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება, ან სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა ნასვამ მდგომარეობაში ან ნარკოტიკულ ანდა ფსიქოტოქსიკურ საშუალებათა ზემოქმედების ქვეშ მყოფი მართვის უფლების არმქონე პირისათვის, —

გამოიწვევს დაჯარიმებას სამი ათასი მანეთით

56. 120-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 120. სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლების მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან სატრანსპორტო, ან სხვა ქონების დაზიანება, საგზაო მოძრაობის სხვა წესების დარღვევა.**

სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლების მიერ ამ კოდექსის 116-117-ე მუხლებით გათვალისწინებული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, რამაც გამოიწვია საავარიო ვითარება ან მოძრაობის შეფერხება, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასი მანეთით ან მართვის უფლების ჩამოერთმევის სამი თვის ვადით.

იგივე დარღვევები, რასაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალებათა ტვირთის, გზების, საგზაო და სხვა ნაგებობების ან სხვა ქონების დაზიანება, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ათასი მანეთით ან მართვის უფლების ჩამოერთმევის ექვსი თვის ვადით.

საგზაო მოძრაობის წესების სხვა დარღვევა, რომელიც გათვალისწინებული არ არის ამ კოდექსის 116-119-ე მუხლებით და რასაც მოჰყვა ამ მუხლების პირველ და მეორე ნაწილებში აღნიშნული შედეგები, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასი მანეთით

იგივე დარღვევები, რასაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალებათა ტვირთის, საგზაო და სხვა ნაგებობათა დაზიანება, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასი მანეთით

57. 121-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 121. სატრანსპორტო საშუალებათა მართვა იმ პირის მიერ, რომელსაც არა აქვს მართვის უფლება, ან მართვის გადაცემა არასრულწლოვანი სათვის**

სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მიერ, რომელსაც არა აქვს ამ საშუალებათა მართვის უფლება, ან სატრანსპორტო საშუალებათა მართვის გადაცემა იმ პირისათვის, რომელსაც არა აქვს მართვის უფლება, —



გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან ათას მანეთამდე.

იგივე დარღვევა, რასაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალებათა, ტვირთის გზების, საგზაო ან სხვა ნაგებობათა, ან სხვა ქონების დაზიანება, — გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან ხუთი ათას მანეთამდე, ან სატრანსპორტო საშუალებათა სასყიდლით ჩამორთმევას.

სატრანსპორტო საშუალებათა მართვის გადაცემა არასრულწლოვანისათვის, —

გამოიწვევს დაჯარიმებას სამი ათასიდან ხუთი ათას მანეთამდე ან სატრანსპორტო საშუალებათა სასყიდლით ჩამორთმევას.

ამ მუხლის შესამე ნაწილით ვათვალისწინებულნი ქმედობა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც მართავს სხვისი საკუთრების სატრანსპორტო საშუალებას, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან სამი ათას მანეთამდე.

სატრანსპორტო საშუალებათა მართვა იმ პირის მიერ, რომელსაც თან არა აქვს მძღოლის მოწმობა ან მართვის დროებითი ნებართვა, ან სატრანსპორტო საშუალებათა სარეგისტრაციო და სხვა დოკუმენტები, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ასი მანეთით.

58. 122-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 122. სატრანსპორტო საშუალებათა მართვა სახელმწიფო სანომრე ნიშნების გარეშე**

სატრანსპორტო საშუალებათა მართვა სახელმწიფო სანომრე ნიშნების გარეშე, ან სხვისი, ან შენიღბული, ან სხვაგვარად შეცვლილი სახელმწიფო სანომრე ნიშნებით, —

გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების სასყიდლით ჩამორთმევას.

იგივე ქმედობა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც მართავდა სხვა პირის ან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის კუთვნილ სატრანსპორტო საშუალებას, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთი ათასი მანეთიდან ათი ათას მანეთამდე.

შენიშვნა: ის პირები, რომლებიც ამ საშუალებებით სარგებლობენ ინვალიდობა-სთან დაკავშირებით, დაჯარიმდებიან ათასი მანეთით“.

59. 123-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 123. საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის ადგილის მითვება ან სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ მილიციის მუშაკის მოთხოვნის შეუსრულებლობა**

მძღოლის მიერ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილის მითვება, რომლის მონაწილეც თავად არის, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ათასი მანეთიდან ორი ათას მანეთამდე, ან სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევას ვადით ერთიდან სამ წლამდე.

სატრანსპორტო საშუალების შეჩერების შესახებ მილიციის მუშაკის მოთხოვნის ბოროტად შეუსრულებლობა, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან ორი ათას მანეთამდე, ან მართვის უფლების ჩამორთმევას ერთიდან სამ წლამდე“.

60. 124-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 124. ქვეითად მოსიარულეთა და საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეთა მიერ მოძრაობის წესების დარღვევა**

ქვეითად მოსიარულეთა, ველოსიპედისტთა, მზიდავთა და გზით მოსარ-



გებლე სხვა პირთა მიერ საგზაო მოძრაობის რეგულირების სიგნალებში დადგენილ დაუმორჩილებლობა, საგზაო ნიშნების ან გზების საგალი ნაწილის მონიშვნის მოთხოვნათა უგულვებლყოფა, —

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას ოცდაათი მანეთიდან ორმოცდაათ მანეთამდე.

ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული პირების მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევათა ჩადენა, რასაც მოჰყვა ავარიული ვითარების შექმნა ან მოძრაობის შეფერხება, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ასი მანეთით.

იგივე დარღვევები, რასაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალებათა ტვირთის, საგზაო და სხვა ქონების დაზიანება, —

გამოიწვევს დაჯარიმებას სამასი მანეთით“.

61. 125-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**მუხლი 125.** გაუმართავ სატრანსპორტო საშუალებათა ხაზზე გაშვება და სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლოატაციის სხვა წესების დარღვევები

სატრანსპორტო საშუალებათა ისეთი ტექნიკური უწყისიგრობებით ხაზზე გაშვება, რომლის გამოც მათი ექსპლუატაცია აკრძალულია, ან რომელიც გადაკეთებულია ნებართვის გარეშე, ან არ გაუვლიათ სახელმწიფო ტექნიკური შემოწმება, ან არ გააჩნია მამუქეფსა და საქარე მინებზე მარკირება, ან გამოწვრილებული ალენიშნებათ გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ისეთი შემცველობა, რომელიც აჭარბებს დადგენილ ნორმებს, —

გამოიწვევს საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელობის ან სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლუატაციისათვის პასუხისმგებელი სხვა თანამდებობის პირების დაჯარიმებას სამასი მანეთით“.

62. 126-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 126.** სატრანსპორტო საშუალებათა სამართავად დაშვება ნასვამ მდგომარეობაში ან ნარკოტიკულ ანდა ფსიქოტოქსიკურ საშუალებათა ზემოქმედების ქვეშ მყოფი მძღოლებისა ან იმ პირებისა, რომელთაც არა აქვთ სათანადო მართვის მოწმობა ან სატრანსპორტო საშუალებათა სახელმწიფო ნომრების გარეშე, ან სხვა სახელმწიფო ნომრებით ხაზზე გაშვება

სატრანსპორტო საშუალებათა სამართავად დაშვება ნასვამ მდგომარეობაში ან ნარკოტიკულ ანდა ფსიქოტოქსიკურ საშუალებათა ზემოქმედების ქვეშ მყოფი მძღოლებისა ან იმ პირებისა, რომელთაც არა აქვთ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება, ასევე იმ სატრანსპორტო საშუალებათა ხაზზე გაშვება, რომლებიც არ არიან დადგენილი წესით რეგისტრირებული, ან სხვა სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო სანომრე ნიშნებით ან სახელმწიფო სანომრე ნიშნების გარეშე, —

გამოიწვევს საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ან სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლუატაციისათვის პასუხისმგებელი სხვა თანამდებობის პირების დაჯარიმებას სამასი მანეთით“.

63. 136-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 136.** გზების, რკინიგზის გადასასვლებებისა და სხვა საგზაო ნაგებობის მოვლა-შენახვის წესების დარღვევა

მოძრაობისათვის უსაფრთხო მდგომარეობაში გზების, რკინიგზის გადა-

სასვლელებისა და სხვა საგაზო ნაგებობის მოვლა-შენახვის წესების დარღვევა ან გზების ცალკეულ უბნებზე მოძრაობის დროულად აკრძალვის ან შეზღუდვის ზომების მიუღებლობა, როცა ამ გზებით სარგებლობა საფრთხეს უქმნის მოძრაობას, —

გამოიწვევს გზების, რკინიგზის გადასასვლელებისა და სხვა საგაზო ნაგებობების მდგომარეობისათვის პასუხისმგებელ თანამდებობის პირთა დაჯარიმებას სამასი მანეთით.

საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებთან გზების თვითნებურად მიერთება, გზის ღერძიდან 100 მეტრზე ახლოს სხვადასხვა ობიექტების მშენებლობა, გზის პირზე და ტროტუარზე გარე ვაჭრობის წარმოება, რითაც ხელი ეშლება საგაზო მოძრაობას, სათანადო შეთანხმების გარეშე გზის სავალი ნაწილის გადათხრა, არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ სახელმწიფო ავტონისპექციის მიერ მიცემული მითითების უგულვებელყოფა ან შესაბამისი ნებართვის გარეშე საგაზო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების სარემონტოდ მიღება, —

გამოიწვევს საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელების, პასუხისმგებელი თანამდებობის პირთა დაჯარიმებას ათასი მანეთით“.

64. 137-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 137. საავტომობილო გზების გასწვრივ პირუტყვის ძოვების წესების დარღვევა**

რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზების გასწვრივ მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის უმეტესადაა დატოვება. —

გამოიწვევს პირუტყვის მფლობელის დაჯარიმებას ასი მანეთით,

იგივე დარღვევა, რამაც გამოიწვია საგაზო-სატრანსპორტო შემთხვევა, —

გამოიწვევს პირუტყვის მფლობელის დაჯარიმებას სამასი მანეთით“.

65. 146-ე მუხლში სიტყვები „ოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთას მანეთამდე“, სიტყვები „ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“.

66. 147-ე მუხლში სიტყვები „ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ორი ათას მანეთამდე“;

67. 148-ე მუხლში სიტყვები „ათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთას მანეთამდე“, სიტყვები „ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“.

68. 149-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „ოც მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ას მანეთამდე“;

მეორე ნაწილში სიტყვები „ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ორას მანეთამდე“.

69. 151-ე მუხლში სიტყვები „ათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ას მანეთამდე“, სიტყვები „ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთას მანეთამდე“.

70. 152-ე მუხლში სიტყვები „ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“.

71. 172-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 172. ბავშვების აღზრდისა და სწავლების მოვალეობათა შეუსრულებლობა**

მშობლების ან მათ შემცვლელ პირთა მიერ არასრულწლოვანი ბავშვების აღზრდისა და სწავლების მოვალეობათა ბოროტად შეუსრულებლობა, აგრეთვე არასრულწლოვანის მიერ ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარება ექიმის და ნიშნულების გარეშე ან მათ მიერ სხვა სამართალდარღვევათა ჩადენა (საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მთვრალ მდგომარეობაში ყოფნა, აგრეთვე, მათ მიერ სპირტიანი სასმელების მიღება), —

გამოიწვევს მშობლების ან მათ შემცვლელ პირთა გაფრთხილებას ან დაჯარიმებას ხუთას მანეთამდე;

წვრილმანი ხულიგნობა ან ხულიგნობა, ჩადენილი თოთხმეტიდან თექვსმეტ წლამდე მოზარდის მიერ, —

გამოიწვევს მშობლების ან მათ შემცვლელ პირთა დაჯარიმებას ხუთასიდან ათას მანეთამდე“.

72. 174<sup>1</sup> მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 174<sup>1</sup>. მიტინგების, დემონსტრაციებისა და სხვა პოლიტიკური ხასიათის აქციების ორგანიზაციისა და ჩატარების წესის დარღვევა**

მიტინგების, დემონსტრაციებისა და სხვა პოლიტიკური ხასიათის აქციების ორგანიზაციისა და ჩატარების წესის დარღვევა, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთას მანეთამდე; ხოლო გამონაკლის შემთხვევაში, თუ საქმის გარემოებათა მიხედვით და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომის გამოყენება ჩაითვლება არასაკმარისად, — ადმინისტრაციულ პატიმრობას ვადით თხუთმეტ დღემდე“.

73. 174<sup>2</sup> და 174<sup>4</sup> მუხლებში სიტყვები „ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთას მანეთამდე“, ხოლო სიტყვები „ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“.

74. 174<sup>3</sup> მუხლში სიტყვები „ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ორი ათას მანეთამდე“.

75. კოდექსს დაემატოს 177<sup>1</sup> მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 177<sup>1</sup>. ლიცენზირების წესების დარღვევა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დამტკიცებული ლიცენზიების გაცემისა და ლიცენზიებით სარგებლობის წესების დარღვევა, —

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას ხუთას მანეთამდე, თანამდებობის პირთა გაფრთხილებას ან დაჯარიმებას ათას მანეთამდე“.

76. 186-ე მუხლში სანქცია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გამოიწვევს დაჯარიმებას ას მანეთამდე“.

77. 191-ე მუხლში სიტყვები „სსრ კავშირში“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკაში“;

პირველ ნაწილში სიტყვები „ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთას მანეთამდე“;

მეორე ნაწილში სიტყვები „ათიდან ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათას მანეთამდე“;

მესამე და მეოთხე ნაწილებში სიტყვები „ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთას მანეთამდე“.

78. 193-ე მუხლში სიტყვები „ათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ას მანეთამდე“, სიტყვები „ორმოცდაათ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ორას მანეთამდე“.



79. მე-200 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 200.** ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განსახილველად უფლებამოსილი ორგანოები (თანამდებობის პირები) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავენ:  
1) რაიონის (ქალაქის) სასამართლოები, მოსამართლეები (ადმინისტრაციული მოსამართლეები);

2) შინაგან საქმეთა ორგანოები, სახელმწიფო ინსპექციის ორგანოები და საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით სამისოდ უფლებამოსილი სხვა ორგანოები (თანამდებობის პირები)“.

80. 201-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 201.** ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განსახილველად უფლებამოსილი ორგანოების (თანამდებობის პირთა) კომპეტენციის გამოქვანა

რაიონის (ქალაქის) სასამართლოები (მოსამართლეები, ადმინისტრაციული მოსამართლეები), შინაგან საქმეთა ორგანოები, სახელმწიფო ინსპექციათა ორგანოები და სხვა უფლებამოსილი ორგანოები განიხილავენ ადმინისტრაციულ საქმეებს, რომლებიც ამ კოდექსითა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით მათ გამგებლობას განეკუთვნება“.

81. 202-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 202.** ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განსახილველად უფლებამოსილი კოლექტიური ორგანოს შექმნის წესი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განსახილველად უფლებამოსილი კოლექტიური ორგანოების შექმნის წესი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით“.

82. 204-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„იმ თანამდებობის პირთა ნუსხას, რომლებიც ამ კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ორგანოების სახელით განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, ადგენს საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტები და მთავრობის დადგენილებები“.

83. 208-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 208.** რაიონის (ქალაქის) სასამართლოები (მოსამართლეები, ადმინისტრაციული მოსამართლეები)

რაიონის (ქალაქის) სასამართლოები (მოსამართლეები, ადმინისტრაციული მოსამართლეები) განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც ვათვალისწინებულა ამ კოდექსის 45-ე, 46-ე, 47-100<sup>2</sup> მუხლებით, 103-105<sup>1</sup> მუხლებით, 119-123-ე მუხლებით, 134-138<sup>1</sup> მუხლებით, 141-ე, 142-ე, 143-154-ე მუხლებით, 156-ე, 165-ე, 166-ე, 167-ე, 170-ე, 171-ე მუხლის მესამე ნაწილით, 172<sup>3</sup>, 173-ე, 173<sup>1</sup>, 173<sup>2</sup>, 174-ე, 174<sup>1</sup>, 174<sup>2</sup>, 174<sup>3</sup>, 174<sup>4</sup>, 175-ე, 176-ე მუხლებით, 180-188<sup>1</sup> მუხლებით, 135-139-ე მუხლებით, 192-ე, 195-ე, 196<sup>2</sup>-196<sup>3</sup> მუხლებით“.

84. 209-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 209.** შინაგან საქმეთა ორგანოები  
შინაგან საქმეთა ორგანოები განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც ვათვალისწინებულა ამ კოდექსის 106-ე მუხლის პირველი, მეორე, მესამე და მეხუთე ნაწილებით, 107-109-ე მუხლებით, 113-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 116-118-ე მუხლებით,



124-126-ე მუხლებით, 128-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით (გარდა საავტომობილო ტრანსპორტზე ჩადენილი დარღვევებისა), 132-ე, 133-ე მუხლებით, 171-ე მუხლის პირველი, მეორე და მეოთხე ნაწილებით.

შინაგან საქმეთა ორგანოების სახელით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახელის დაღების უფლება აქვთ:

1) ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 131-ე მუხლით (გარდა საავტომობილო ტრანსპორტზე ჩადენილი დარღვევებისა); 132-ე და 190-ე მუხლებით — შინაგან საქმეთა ორგანოების უფროსებსა და მათ მოადგილეებს;

ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 106-ე მუხლის პირველი, მეორე, მესამე და მეხუთე ნაწილებით, 107-109-ე მუხლებით, 113-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 128-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით — შინაგან საქმეთა ორგანოს უფროსსა და მის მოადგილეს, პოლიციის სახაზო პუნქტის უფროსს,

ამ კოდექსის 106-ე მუხლის მეხუთე ნაწილით, 107-ე მუხლის მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილებით, 113-ე მუხლის მეორე ნაწილით, 130-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჯარიმა ვადახდებთ სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე ოქმის შეუდგენლად, თუ დამრღვევი სადავოდ არ ზღის მასზე დაკისრებულ ადმინისტრაციულ სახელს, პოლიციის სახაზო პუნქტის უფროსის მიერ დადებული ჯარიმის ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს ორმოც მანეთს.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 106-ე მუხლის მეხუთე ნაწილით, 107-ე მუხლის მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილებით — პოლიციის სხვა მუშაკებს, რომელთაც ეკისრებათ ზედამხედველობა წესაბამისი წესების დაცვაზე, ამასთან ჯარიმა ვადახდებთ სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე ოქმის შეუდგენლად, თუ დამრღვევი სადავოდ არ ზღის მასზე დაკისრებულ ადმინისტრაციულ სახელს;

2) ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 117-ე მუხლის მეორე ნაწილით, 117, 118-ე მუხლით, 124-ე მუხლის მეორე ნაწილით, 125-ე, 126-ე მუხლით, 133-ე მუხლის პირველი ნაწილით, — სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის ქვეგანყოფილების (განყოფილების), სამმართველოს უფროსს ან უფროსის მოადგილეს, შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსს ან უფროსის მოადგილეს, ამგვარ საქმეთა განხილვაში შეუძლიათ მონაწილეობის მიღება შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს;

3) ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 116-ე მუხლით, 117-ე მუხლით, 124-ე მუხლის პირველი ნაწილით — საგზაო-საპატრულო სამსახურის ქვეგანყოფილება მეთაურებსა და მათ მოადგილეებს, სახელმწიფო საავტომობილო ინსპექტორებს — დაჯარიმებისა ორმოცდაათ მანეთამდე, საგზაო-საპატრულო სამსახურის ინსპექტორებს და სხვა ინსპექტორებს, რომლებიც ახორციელებენ კონტროლს საგზაო მოძრაობის წესების და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სხვა ნორმატივების დაცვაზე, — დაჯარიმებისა ორმოც მანეთამდე.



85. 210-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირის სახანძრო ზედამხედველობის მთავარ სახელმძღვანელო ინსპექტორსა და მის მოადგილეებს“.

86. 211-ე მუხლის მეორე ნაწილის მეოთხე აბზაციდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირის გზათა სამინისტროს გასამხედროებელი დაცვის სამმართველოს განყოფილების უფროსს და მის მოადგილეს“.

87. 212-ე მუხლის მეორე ნაწილის მესამე აბზაციდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს გასამხედროებელი დაცვის რაზმის“.

88. 213-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საპაერო ტრანსპორტის ორგანოების სახელით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება აქვთ:

საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსს და მის მოადგილეებს, გაერთიანებული ავიარაზმის მეთაურს და მის მოადგილეს, ავიასაწარმოს (აეროპორტის) უფროსს და მის მოადგილეს, ავიასაწარმოს (აეროპორტის) გადაზიდვის ორგანიზაციის სამსახურის უფროსს, ინსპექციის (ფრენის უსაფრთხოების ხაზით) უფროსს, საპაერო ხომალდის მეთაურს, საკონტრაქტო-სარევიზიო განყოფილების უფროსს და მის მოადგილეს ამ განყოფილების უფროს რევიზორს, კომერციულ რევიზორს, რევიზორს, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის მთავარ ექიმს“.

89. 220-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 220. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ორგანოები**

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ორგანოები განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 116-ე მუხლით, 117-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 118-ე მუხლის პირველი ნაწილით და 120-ე მუხლის მესამე ხაწილით (რომლებიც ჩადენილია საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლების — სამხედრო მოსამსახურეთა და შეკრებაზე გაწვეულ სამხედრო ვალდებულთა მიერ) 196<sup>1</sup>, 197-ე და 198-ე მუხლებით;

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ორგანოების სახელით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება აქვთ:

1) ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 196<sup>1</sup>, 197-ე და 198-ე მუხლებით — რაიონის (ქალაქის) სამხედრო კომისრებს;

2) ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 116-ე მუხლით, 117-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 118-ე მუხლის პირველი ნაწილით და 120-ე მუხლის მესამე ნაწილით სამხედრო საავტომობილო ინსპექციის თანამდებობის პირებს, უფროსს ან მის მოადგილეს, სამხედრო საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარეს, უფროს ინსპექტორს, ინსპექტორს, აგრეთვე სამხედრო საავტომობილო ინსპექციის შტატგარეშე ინსპექტორებად დადგენილი წესით დანიშნულ ოფიცრებს — გაფრთხილების სახით.

ოქმებს შეიარაღებული ძალების სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლებს, სამხედრო მოსამსახურეთა და შეკრებაზე გაწვეულ სამხედრო ვალდებულთა მიერ ჩადენილ იმ დარღვევათა შესახებ, რისთვისაც შეიძლება დადებული იქნეს ადმინისტრაციული სახდელი სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევის სახით, სამხედრო საავტომობილო ინსპექცია გადისცემს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციას“.

90. 221-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„შუხლი 221. სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის განმხორციელებელი ორგანოები და დაწესებულებები**

სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის განმხორციელებელი ორგანოები და დაწესებულებები განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 43-ე და 44-ე მუხლებით.

სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის განმხორციელებელი ორგანოებისა და დაწესებულებების სახელით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვთ:

სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდსაწინააღმდეგო წესებისა და ნორმების დარღვევისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავარ სახელმწიფო სანიტარიულ ექიმს და მის მოადგილეებს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავარ სახელმწიფო სანიტარიულ ექიმებს და მათ მოადგილეებს, რაიონული დაყოფის მქონე მოქალაქეების მთავარ სახელმწიფო სანიტარიულ ექიმებს, რაიონული დაყოფის არმქონე ქალაქების, რაიონების მთავარ სახელმწიფო სანიტარიულ ექიმებს და პორტების მთავარ სახელმწიფო სანიტარიულ ექიმებს“.

91. 223-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი და მეორე აბზაცები ამოღებულ იქნეს.

92. 228-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„შუხლი 228. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს სისტემის ელექტროკავშირის სახელმწიფო ინსპექციის ორგანოები**

საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს სისტემის ელექტროკავშირის სახელმწიფო ინსპექციის ორგანოები განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 140-ე მუხლით.

ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ორგანოების სახელით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება აქვთ საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს ელექტროკავშირის სახელმწიფო ინსპექციის სამმართველოს უფროსს, კავშირგაბმულობის რესპუბლიკური (ავტონომიური რესპუბლიკის) საწარმო-ტექნიკური სამმართველოების ელექტროკავშირის სახელმწიფო ინსპექციების უფროსებს“.

93. 229-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სახელმწიფო სასინჯი ზედამხედველობის განმხორციელებელი ორგანოების სახელით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და დაჯარიმების უფლება აქვთ საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს“.



ტროს სახელმწიფო ინსპექციის უფროსს და მის მოადგილეებს — ორას მაგისტრატურაზე  
ნეთამდე“.

94. 231-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლები, სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით“.

მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებით“.

95. 235-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად“.

96. 239-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 239. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი**

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ შედგება ოქმი, საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისა თუ საზოგადოებრივი თვითმმართვების ორგანოს წარმომადგენლის მიერ, ოქმი არ დგება ამ კოდექსის 242-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

47-ე, 56-ე, 57-ე, 90-ე და 91-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ სახტექზედამხედველობის ორგანოები;

47-ე, 48-ე, 49-ე, 49<sup>1</sup>, 51-55-ე, 56-ე, 57-ე, 58-ე, 59-ე, მე-60, 61-ე, 62-75-ე, 77-83-ე, 84-ე, 89-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ გარემოს დაცვის ორგანოები;

ამ კოდექსის 76-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ სატყეო მეურნეობის ორგანოები და გარემოს დაცვის ორგანოები;

ამ კოდექსის 85-ე, 85<sup>1</sup>, 85<sup>2</sup>, 85<sup>3</sup>, 86-ე მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის ორგანოები და გარემოს დაცვის ორგანოები;

ამ კოდექსის 86-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ თევზდაცვის ორგანოები და გარემოს დაცვის ორგანოები;

ამ კოდექსის 88-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები.

ამ კოდექსის 119-ე, 123-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ დარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოები (პოლიცია);

ამ კოდექსის 145-ე, 152-ე მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები;

ამ კოდექსის 153-ე, 165-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის ოქმს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები, საგადასახადო ინსპექციის თანამდებობის პირები ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები;



ამ კოდექსის 174<sup>2</sup>, 174<sup>3</sup>, 174<sup>4</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისია, მისდამი დაქვემდებარებული საარჩევნო კომისიები ან ამ კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები“.

97. 242-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „76-ე მუხლით (226-ე მუხლის მეექვსე აბზაცით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა ჩადენისას, თუ ჭარბის თანხა ხუთას მანეთს არ აღემატება)“; 120-ე მუხლის მესამე ნაწილით, 124-ე მუხლის პირველი ნაწილით“, აგრეთვე 116-ე მუხლით, 117-ე მუხლის პირველი ნაწილით“.

98. 243-ე მუხლის მესამე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ან სახალხო დემოკრატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შენობაში“.

99. 244-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირისა და“;

მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირის კანონმდებლობით“.

100. 246-ე მუხლის პირველი პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „უცხოური ვალუტით და საგადასახადო დოკუმენტებით უკანონო ოპერაციების, წვრილმანი სპეკულაციის, საზოგადოებრივ ადგილებში სპირტიანი სასმელების სმის ან“ და სიტყვები „სსრ კავშირისა და“.

მეორე და მეოთხე პუნქტებში სიტყვები „სსრ კავშირის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის“.

101. 247-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირისა და“;

მეორე ნაწილში სიტყვები „სსრ კავშირის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის“.

102. 248-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირისა და“;

მეხუთე და მეექვსე ნაწილებში სიტყვები „სსრ კავშირის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის“.

103. 249-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „სსრ კავშირის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის“; ხოლო სიტყვები „შინახად არაყს და სხვა მაგარ სპირტიან სასმელებს, მათ გამოსახდელ აპარატებს საქმის განხილვის შემდეგ განადგურებენ“ ამოღებულ იქნეს.

ამავე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირის“, ხოლო მეორე ნაწილში სიტყვები „სსრ კავშირში“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკაში“.

104. 250-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „სსრ კავშირის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის“.

105. 252-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ამ კოდექსის 45-ე, 47-100<sup>2</sup> მუხლებით, 103-105<sup>1</sup> მუხლებით, 141-154-ე მუხლებით, 156-ე, 166-ე, 167-ე, 170-ე, 174-ე, 174<sup>1</sup>, 174<sup>2</sup>, 174<sup>3</sup>, 174<sup>4</sup>, 175-ე, 176-ე მუხლებით, 180-183<sup>1</sup> მუხლებით, 185-189-ე მუხლებით; 192-ე, 195-ე, 196<sup>2</sup>-196<sup>6</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას ადმინისტრაციულ პალატებში მიცემული პი-

რის დასწრება სავალდებულოა, თუ იგი თავს არიდებს შინაგან საქმეთა ორგანოს ან ადმინისტრაციული მოსამართლის (მოსამართლის) გამოძახებით მოცხადებას, ასეთი პირი შეიძლება იძულებით იქნეს მიყვანილი შინაგან საქმეთა ორგანოს მიერ;

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სხვა შემთხვევებიც, როცა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის გამოცხადება საქმის გადამწყვეტ ორგანოში (თანამდებობის პირთან) სავალდებულოა“.

106. 261-ე მუხლის მეორე ნაწილში ციფრები „116-123-ე“ შეიცვალოს ციფრებით „116-118, 124-ე“;

მესამე ნაწილი ამოღებულ იქნეს;

მეოთხე ნაწილში ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირისა და“.

107. 262-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „ხოლო ამ კოდექსის 95-ე მუხლით, 121-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, 122-ე მუხლით, 173<sup>1</sup> და 173<sup>2</sup> მუხლებით“ შეიცვალოს სიტყვებით „ამ კოდექსის 47-100<sup>2</sup> მუხლებით, 103-105<sup>1</sup> მუხლებით, 141-ე, 143-153-ე მუხლებით, 156-ე, 167-ე, 170-ე მუხლებით, 174-ე, 175-ე, 176-ე მუხლებით, 180-183<sup>1</sup> მუხლებით, 185-189-ე მუხლებით, 192-ე, 195-ე, 196<sup>2</sup>-196<sup>6</sup> მუხლებით“;

მესამე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირისა და“.

108. 264-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ლოთობასთან ბრძოლის კომისიის“.

109. 266-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება მიიღება გადაწყვეტილების ფორმით“;

მესამე ნაწილში სიტყვები „მე-200 მუხლის 1-4 პუნქტებში“ შეიცვალოს სიტყვებით „მე-200 მუხლის 1-2 პუნქტებში“;

მეშვიდე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირისა და“.

110. 268-ე მუხლში სიტყვები „სსრ კავშირის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის“.

111. 269-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „167<sup>1</sup>, 168-ე მუხლებით, 171-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილებით“.

112. 271-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირისა და“.

113. 272-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი და მეორე პუნქტები ამოღებულ იქნეს; მე-3 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „სხვა“;

მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „თუ სსრ კავშირის კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი“;

114. 276-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „თუ სსრ კავშირის კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი“.

115. 279-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ადმინისტრაციული მოსამართლის (მოსამართლის) დადგენილება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე შეიძლება გატყმდეს ან შეიცვალოს პროკურორის პროტესტით თვით ადმინისტრაციული მოსამართლის (მოსამართლის) მიერ, აგრეთვე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა პროკურორის პროტესტი — ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ“.

116. 283-ე და 284-ე მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „სსრ კავშირის კანონმდებლობით“.

117. 287-ე, 290-ე, 294-ე, 297-ე მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირისა და“.

118. 289-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს მესამე ნაწილი.

119. 291-ე, 296-ე და 309-ე მუხლებში სიტყვები „სსრ კავშირი“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკა“.

120. 295-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე და მესამე აბზაცები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სასამართლო აღმასრულებელი — ამ კოდექსის 208-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა ჩადენისას; შინაგან საქმეთა ორგანოს საამისოდ უფლებამოსილი პირი — ამ კოდექსის 167-ე, 176-ე, 180-ე მუხლებით, 181-ე მუხლის მეორე ნაწილით, 183<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა ჩადენისას“;

მეოთხე აბზაცს სიტყვების „ამ კოდექსის“ შემდეგ დაემატოს ციფრები „85<sup>3</sup>“.

121. მე-300 მუხლის მეოთხე ნაწილში სიტყვები „სსრ კავშირის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის“.

122. 310-ე მუხლში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს“ შეიცვალოს სიტყვებით „ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს“.

კოდექსიდან ამოღებულ იქნეს მე-3 (სსრ კავშირის კომპეტენცია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კანონმდებლობის დარგში); მე-4 (საქართველოს რესპუბლიკის კომპეტენცია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კანონმდებლობის დარგში); მე-6 (სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების და მათი აღმასრულებელი კომიტეტის უფლებამოსილება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა დარგში); მე-14 (არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობა); 69-ე (თვითნებური თიბვა და პირუტყვის ძოვება, თვითნებურად ველური ხილის, კაკლოვნების, სოკოს, კენკრის მოკრება); 127-ე (სატრანსპორტო საშუალებების, მანქანების ან მექანიზმების ანგარიშითი მიზნით გამოყენება); 157-ე (საკოლმეურნეო ბაზრებში ვაჭრობის წესების დარღვევა); 158-ე (ხელზე ვაჭრობა დაუწესებელ ადგილებში); 158<sup>1</sup> (სამშენებლო მასალების შექმნის წესის დარღვევა); 160-ე (სახელმწიფო ან კოოპერაციულ მალაზიებში პურისა და კვების პროდუქტების შესყიდვა პირუტყვისა და ფრინველის გამოსაკვებად); 161-ე (უკანონო ოპერაციები უცხოეთის ვალუტით და საგადასახადო დოკუმენტებით); 162-ე (უკანონო გაყიდვა საგადასახადო დოკუმენტებისა, რომლებიც შექმნილია უცხოეთის ვალუტით ასეთ ვალუტად მათი გადაქცევის უფლების გარეშე); 163-ე (ბენზინის ან სხვა საწვავ-საცხები მასალების უკანონო გაცემა ან შექმნა); 164-ე (შინამრეწველურ-ხელოვნურ რეწვისა და სხვა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესის დარღვევა); 164<sup>1</sup> (შემოსავლის შესახებ დაკლარაციის შეტანისაგან თავის არიდება); 167<sup>1</sup> (გასაღების მიზნის გარეშე შინნახადი არყის ან სხვა მაგარი სპირტიანი სასმელების შინ გამოხდა ან შენახვა, აგრეთვე მათი გამოსახდელი აპარატების დამზადება ან შენახვა); 168-ე (შინგამოხდილი მაგარი სპირტიანი სასმელების შექმნა); 168<sup>1</sup> (მოქალაქეთა მიერ შინ დაყენებული ისეთი ღვინის გაყიდვა, რომელიც მაგარ სპირტიან სასმელებს არ განეკუთვნება); 169-ე (სპირტიანი სასმე-

ლების სმა წარმოებაში); 172-ე (მშობლების ან მათ შემცველ პირთა მიერ ბავშვების აღზრდისა და სწავლების მოვალეობათა შეუსრულებლობა); 172<sup>1</sup> (შევიბრებებზე ფსონის მიღება კერძო პირების მიერ); 172<sup>2</sup> (საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, რაც გამოიხატება უცხოელ მოქალაქეებზე გადაკიდებაში მათგან ნივთების შეძენის მიზნით); 175<sup>1</sup> (უკანონო მოქმედებანი სახელმწიფო ჯილდოების მიმართ); 178-ე (პროდუქციის სტანდარტიზაციის და ხარისხის, საზომ საშუალებათა ხმარებაში შემოღების, მოვლა-შენახვისა და მათი სარგებლობის წესების დარღვევა); 184-ე (კარატის სწავლების წესების დარღვევა); 196-ე (ნადირობით მოპოვებული ძვირფასბეწვიანი სახეობის ნადირის ტყავის სახელმწიფოსათვის სავალდებულო ჩაბარებისაგან თავის არიდება, ტყავის უკანონო გაყიდვა, შესყიდვა და გადამუშავება); 203-ე (კოლეგიურ სხდომათა უფლებამოსილება); 205-ე (ადმინისტრაციული კომისიები); 206-ე (სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები); 207-ე (არასრულწლოვანთა კომისიები); 207<sup>1</sup> (ლოთობას, ალკოჰოლიზმსა და ნარკომანიასთან ბრძოლის კომისიები); 216-ე (სახსამთოტექსტადამხედლებელი ორგანოები); 229-ე (სახსოფლტექსტადამხედველობის ორგანოები) 218-ე (სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის სამინისტროს და სსრ კავშირის საშუალო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ინსპექციების ორგანოები); 222-ე (სანიტარიული ზედამხედველობის განმხორციელებელი სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სამედიცინო სამსახურები); 224-ე (წყლის რესურსების დაცვის ორგანოები); 225-ე (თევზდაცვის ორგანოები); 226-ე (სატყეო მეურნეობის ორგანოები); 227-ე (ნადირობის წესების დაცვაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განმხორციელებელი ორგანოები); 229-ე (სახსოფლტექსტადამხედველობის ორგანოები) ნუხლები.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე **მ. შვიპარდნაძე**,

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მდივანი **მ. გოგუაძე**.

თ ბ ი ლ ი ს ი,  
1992 წლის 3 აგვისტო.



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს

პლენუმის 1992 წლის 29 აპრილის № 15

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციასთან დაკავშირებული დავის სასამართლოებში ჯეროვანი განხილვის უზრუნველსაყოფად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმი

ადგენს:

1. თანახმად „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის დადგენილების მე-11 პუნქტისა, საცხოვრებელი სახლის (ბინის) მოქალაქის საკუთრებად გადაცემასთან დაკავშირებულ დავას განიხილავს სასამართლო საერთო სასარჩელო წესით.
2. საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ დადგენილების პირველი და მეორე პუნქტის თანახმად, მოცემული კატეგორიის საქმეზე სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის უფლება აქვს როგორც ბინის დამქირავებელს, ისე დამქირავებლის ოჯახის წევრს.
3. ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის თანხმობით, სახლი (ბინა) მათ შეიძლება გადაეცეთ საერთო საკუთრებაში წილთა განსაზღვრით (წილადი საკუთრება) ან, კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, წილთა განუსაზღვრელად (თანასაკუთრება).
- სახლის (ბინის) საერთო საკუთრებიდან რეალური წილის გამოყოფის შესახებ დავა სასამართლოს შეუძლია განიხილოს დამოუკიდებელი სარჩელის საფუძველზე, მოცემული სადავო სახლის (ბინის) პრივატიზაციის დაშთავრების შემდეგ.
4. ბინაში მცხოვრებ ოჯახის სრულწლოვან წევრთა შორის იგულისხმება ის პირიც, რომელიც პრივატიზაციის პერიოდში ოჯახში არ ცხოვრობს, მაგრამ მოცემულ ბინაზე უფლებდაკარგულად ცნობილი არ არის; აგრეთვე ის პირი, რომლის უფლებება ბინაზე დადგენილია სასამართლოს გადაწყვეტილებით, მაგრამ ჯერ ბინაში შესახლებული არ არის.
5. ბინა, რომელიც სასამართლო დავის საგანს წარმოადგენს, არ შეიძლება იყოს პრივატიზაციის ობიექტი ამ დავის გადაწყვეტამდე.
6. ავარიულ სახლში მცხოვრებ პირებს უფლება აქვთ მოითხოვონ ამ სახლის (ბინის) საკუთრებაში მათზე გადაცემა იმ პირობით, თუ ვალდებულებას იკისრებენ ის საცხოვრებლად ვარჯის მდგომარეობაში მოიყვანონ.



7. ბინა, რომელიც საარგებლოების უფლებით გადაცემული აქვს რამდენიმე დამკვირვებელს, მათ საკუთრებად შეიძლება გადაეცეს ყველა დამკვირვებლის თანხმობით, ხოლო თუ ასეთი თანხმობა მიღწეული არ იქნა, დავა შეიძლება გადაწყვიტოს სასამართლომ.

8. სახლი (ბინა) საკუთრებად გადაეცემა სრულწლოვან მოქალაქეს (მოქალაქეებს).

ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის თანხმობით, სახლი (ბინა) საკუთრებად შეიძლება გადაეცეს ბინაში მცხოვრებ ოჯახის არასრულწლოვან წევრსაც, ასეთ შემთხვევაში გამოიყენება საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-13 და მე-14 მუხლები.

სახლის (ბინის) საერთო საკუთრებაში გადაცემისას თანამესაკუთრე შეიძლება იყოს არასრულწლოვანიც.

9. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის სრულწლოვანი წევრები ვერ შეთანხმდნენ იმაზე, თუ ვისზე გადავიდეს სახლი (ბინა) საკუთრებად, დავას ამ საკითხზე სასამართლო გადაწყვეტს. სასამართლომ ამ დავის გადაწყვეტისას უნდა გაითვალისწინოს ოჯახის წევრთა ყურადსადები მოსაზრებები და ინტერესები.

10. თანახმად მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით მე-10 პუნქტისა, საბინაო სამშენებლო კოოპერატივის წევრი, რომელმაც მილიანად გადაიხდა საცხოვრებელი ბინის ღირებულება, ითვლება ბინის მესაკუთრედ, რის შესახებაც იდება ხელშეკრულება კოოპერატივის წევრსა და კოოპერატივის გამგეობას შორის.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დავა ბინის საკუთრებად გადაცემასთან დაკავშირებით წარმოიშვა იმ საფუძველით, რომ კოოპერატივის წევრს ბინის ღირებულება მილიანად არა აქვს გადახდილი, სასამართლო მოსაზრების თანხმობით, აწესებს თანხის მილიანად დასაფარავად ვადას და ამ ვადით გადადებს საქმეს შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლისა, თუ თანხა არ იქნა გადახდილი, სასამართლო საქმეს არსებითად განიხილავს.

11. თანახმად მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით მე-9 პუნქტისა, სახლის (ბინის) საკუთრებად გადაცემისას ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის, 1991-1992 წლების პერიოდში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების დროს დაღუპულ პირთა ოჯახში, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები, ამ ომში დაღუპულ პირთა ოჯახის წევრები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები.

ის ფაქტი, რომ პირი დაიღუპა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის ან 1991-1992 წლების პერიოდში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების დროს, დაატურდება კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული ცნობით.

აღნიშნულ პირთა ოჯახის შემადგენლობა განისაზღვრება მშწესის ანალოგიურად, რომელიც დადგენილია მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ პირთა ოჯახების მიმართ.

12. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას დაევალოს სისტემატურად განაზოგადოს ბინების პრივატიზაციასთან დაკავშირებულ საქმეთა განხილვის სასამართლო პრაქტიკა და მიიღოს სათანადო ზომები რესპუბლიკაში სწორი, ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დასამყვიდრებლად.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე **მ. უპრანაძე**,  
 პლენუმის მდივანი, უზენაესი სასამართლოს წევრი — **ა. ხალაია**.

მეორე ნაწილი

## დანაშაულის შეფასებაც, როგორც პრაბრალულობის პრაქტიკის საფუძველი

თავდაპირველად მოკლედ მაინც უნდა შევჩერდეთ ტერმინოლოგიურ საკითხზე. სახელდობრ, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში უფრო გავრცელებულია „უდანაშაულობის პრეზუმფცია“, ვიდრე „არაბრალეულობის პრეზუმფცია“. რომელი ტერმინი აჯობებს? დანაშაული სისხლის სამართლის ცნებაა და ამ თვალსაზრისით ტერმინი „უდანაშაულობის პრეზუმფცია“ გამართლებული ჩანს. მაგრამ სიძნელე ისაა, რომ „დანაშაულიდან“ ლოგიკურად გამოკვეთთ ხოლმე „დამნაშავე“, რომელიც თითქოს პირის სამართლებრივ მდგომარეობას გამოხატავს. ტერმინი „უდანაშაულობის პრეზუმფცია“ ლოგიკურად მოითხოვს ტერმინ „დამნაშავეს“, რაც სავსებით ლოგიკური ჩანს. მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1992 წლის 19 აპრილის უაღრესად აქტუალურ და საინტერესო დადგენილებაში „უდანაშაულობის პრეზუმფცია და ექვემდებარების, ბრალდებულის, განსასჯელის დაცვის უფლების შესახებ“ ნათქვამია: „ბრალდებული (განსასჯელი) მხოლოდ მაშინ შეიძლება ცნობილ იქნეს დამნაშავედ, და დაისაჯოს სისხლის სამართლებრივი წესით, თუ მისი ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში უტყუარად იქნება დამტკიცებული და დადგინდება კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით“<sup>1</sup>.

ამრიგად, ტერმინი „უდანაშაულობის პრეზუმფცია“ ლოგიკურად მოითხოვს ტერმინს „დამნაშავე“, მაგრამ არის თუ არა „დამნაშავე“ იურიდიული ტერმინი? სამწუხაროდ, ყოფილ საბჭოთა კავშირში ამ მხრივ ბევრი რამ იქნა გაყალბებული. მაგალითად, ვაბატონებული დებულება, რომ სისხლის სამართ-

<sup>1</sup> „სამართალი“, 1992, № 5, გვ. 41.





თალში ურთიერთობა დანაშაულის ჩადენის გამო ყალიბდება, ლოგიკურად მოითხოვს ტერმინ „დამნაშავეს“, რომელიც თითქოს სისხლის სამართლის ნორმის ადრესატია, ან ვალდებულია პასუხი აგოს ჩადენილი დანაშაულისათვის. მაგალითად, ამტკიცებენ, რომ სანქციის „გამოყენება ქმნის სისხლისსამართლებრივ სტატუსს დამნაშავისა, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობის ტვირთი დანაშაულის ჩადენისათვის“<sup>2</sup>. მაშასადამე, სანქციის გამოყენება თურმე ქმნის „დამნაშავის სისხლისსამართლებრივ სტატუსს“. მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ სანქციის გამოყენება ხდება სისხლის სამართლის პროცესუალური ურთიერთობის ფორმაში, ხოლო პროცესუალური ურთიერთობის ფარგლებში პირის სამართლებრივ მდგომარეობას გამოხატავს არა ტერმინი „დამნაშავე“, არამედ „ექვემოტანილი“, „ბრალდებული“, „განსასჯელი“, „მსჯავრდებული“ მაშასადამე, ტერმინი „დამნაშავე“ პროცესუალური ტერმინი არ არის. მაგრამ არის თუ არა იგი სისხლისსამართლებრივი ტერმინი? როგორც ყველაფერიდან ჩანს, ეს ტერმინი „დამნაშაულიდანაა“ ნაწარმოები, მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ სისხლის სამართალი არ ადგენს დანაშაულის ჩამდენი პირის სამართლებრივ მდგომარეობას? მართლაც, სისხლის სამართალში დავას არ უნდა იწვევდეს სისხლის სამართლის ნორმის ადრესატის ცნება. სისხლის სამართლის ნორმა მიმართულია შერაცხად და სათანადო ასაკის პირზე, რომელიც ვალდებულია განახორციელოს სისხლის სამართლის ნორმის მოთხოვნა, ე. ი. ვალდებულია არ ჩაიდინოს დანაშაული. ეს პირი არის სისხლის სამართლის სუბიექტი, რომელიც ურთიერთობაშია სახელმწიფოსთან. სწორედ ამ ასპექტით ვლინდება სუბიექტის სისხლისსამართლებრივი სტატუსი. თუ სისხლის სამართლის სუბიექტმა დანაშაულის შემადგენლობა განახორციელა, მაშინ ის „დამნაშაულის სუბიექტია“, მაგრამ ეს ტერმინი მხოლოდ სისხლის სამართლის თეორიაში გამოიყენება. სისხლის სამართალში კი დანაშაულის შემადგენლობის განმახორციელებელი პირის აღმნიშვნელი ტერმინი არ არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართალი ამ პირის სამართლებრივ მდგომარეობას არ ადგენს. „დამნაშავე“ იურიდიული ტერმინი არ არის, რადგან ჯერ ერთი, დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების ფაქტიდან არ შეიძლება გაკეთდეს კატეგორიული დასკვნა, რომ ჩადენილია დანაშაული. არ არის გამორიცხული, რომ ჩადენილი ქმედობა ფორმალურად შეესაბამებოდეს სისხლის სამართლის კანონში აღწერილი დანაშაულის შემადგენლობას, მაგრამ არ იყოს საზოგადოებრივად საშიში და, მაშასადამე, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული. მეორეც, პირს, რომლის ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში დადგენილია კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით, იურიდიულად „მსჯავრდებული“ ეწოდება, მაგრამ იურიდიული მსჯავრდება ჯერ კიდევ არ უდრის „დამნაშავეს“, რადგან უკანონო მსჯავრდებაც არ არის გამორიცხული, როდესაც იურიდიულ მსჯავრდებულს არ შეიძლება „დამნაშავე“ ეწოდოს.

ამრიგად, „დამნაშავე“ იურიდიული ტერმინი არ არის და იგი პირის სამართლებრივ მდგომარეობას არ გამოხატავს. ამიტომ, ჩვენ მართებულად არ მიგვაჩნია სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული ტერმინოლოგია, როდესაც გამამტყუნებელ განაჩენში აცხადებენ, რომ ესა თუ ის პირი (განსასჯელი) „ცნო-

<sup>2</sup> Курс советского уголовного права, т. 5, ЛГУ, 1981, с. 604.

ბილ იქნეს დამნაშავედ“. გამამტყუნებელ განაჩენში უნდა ჩაიწეროს, რომ განსასჯელი „ცნობილ იქნეს ბრალეულად“. მით უმეტეს, რომ არაბრალეულობის პრეზუმფცია ეხება სწორედ პირის არაბრალეულად გულგებას იქამდე, სანამ არ დამტკიცდება საწინააღმდეგო. გარდა ამისა, სამართლის სხვა დარგებშიც საქმე ეხება სწორედ ბრალეულობას ან არაბრალეულობას. მაგალითად, სამოქალაქო სამართალში, როგორც წესი, მოქმედებს ბრალეულობის პრეზუმფცია, როდესაც ივარაუდება, რომ ზიანის მიმყენებელი ზიანის მიყენებაში ბრალეულია იქამდე, სანამ არ დაამტკიცებს საწინააღმდეგოს. ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევაში, მაგალითად, ანგარებითი სამართალდარღვევის დროს, სამოქალაქო სამართალში მოქმედებს არაბრალეულობის პრეზუმფცია:

ყოველივე აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ტერმინი „დამნაშავე“ სოციოლოგიური ტენდენციის მარჯვენა ბოლოზეა, მაშინ, როდესაც აქ საქმე ეხება იურიდიული პრობლემატიკის გადაჭრას. „უდანაშაულობის პრეზუმფცია“ ამიტომ იურიდიულად სწორი არ არის და არ შეესაბამება აღნიშნული პრინციპის შინაარსობრივ მხარეს. ამიტომ, ჩვენ მართებულად მიგვაჩნია ტერმინი „არაბრალეულობის პრეზუმფცია“. ამ ტერმინის მართებულობა უფრო ნათლად მაშინ გამოჩნდება, როდესაც დანაშაულის შემადგენლობის ბუნებას შევხებით. სახელდობრ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ დანაშაულის შემადგენლობა არაბრალეულობის პრეზუმფციის საფუძველია. სამწუხაროდ, სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში დანაშაულის შემადგენლობის ბუნება დღემდე არ არის ნათელი. მართო ის რად ღირს, რომ დიდი ხნის მანძილზე გაბატონებული იყო დებულება, რომლის თანახმად, დანაშაულის შემადგენლობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთი და საკმარისი საფუძველია. ამ დასკვნის ლოგიკურ საფუძველს შეადგენს ვარაუდი, რომ ყოველი კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება ამავე დროს არის დანაშაულის ჩადენა. ა. ტრანინი ამტკიცებდა, რომ დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშნის დადგენა ამავე დროს არის ჩადენილი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების დადგენა<sup>3</sup>. მაშასადამე, გამოდის, რომ კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება ამავე დროს არის დანაშაულის ცნების ზოგადი ნიშნების განხორციელება. მაგრამ ეს დასკვნა ეწინააღმდეგება დანაშაულის ნორმატულ, საკანონმდებლო ცნებას. სახელდობრ, საქართველოს სსკ მე-8 მუხლის მეორე ნაწილში ნათქვამია, რომ, თუ ქმედობა ფორმალურად შეესაბამება დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს (მცირემნიშვნელოვანია), მაშინ ის დანაშაულად არ ჩაითვლება, მაშასადამე, დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობის ნიშნებიდან დანაშაულის ძირითად ნიშნებზე პირდაპირი ლოგიკური გადასვლა შეუძლებელია.

ამ დებულებას კარგად ასაბუთებს ვ. ჟერებკინი. მისი აზრით, დანაშაულის შემადგენლობა უნიკალური ტერმინია, რომლის მსგავსი არც ერთმა მეცნიერებამ არ იცის. დანაშაულის შემადგენლობის ცნებას „საერთოდ არა აქვს გვარი, ის არ შედის რომელიმე სხვა ცნებაში, დანაშაულის შემადგენლობა არის ფართო ცნება, სისხლის სამართლის კატეგორია“<sup>4</sup>.

<sup>3</sup> А. Н. Трайнин. Состав преступления по советскому уголовному праву, 1961, с. 82.

<sup>4</sup> В. А. Жеребкин. Содержание понятий права, Автореферат докт. дисс. Харьков, 1980, с. 18.

მაგრამ უფრო საინტერესო ისაა, რომ ავტორი ცნებათა ლოგიკური მართების საკითხსაც ეხება. მისი აზრით, დანაშაულის შემადგენლობის ცნება ლოგიკურ მიმართებაში არა დანაშაულის ცნებასთან, არამედ კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის ცნებასთან, მაგალითად, ქურდობის შემადგენლობის ცნება სახეობით მიმართებაში არა დანაშაულის ცნებასთან, არამედ დანაშაულის შემადგენლობის ცნებასთან<sup>5</sup>. აქედან ლოგიკურია დასკვნა, რომ დანაშაულის ჩადენა კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებით ხდება, მაგრამ ყოველი კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობას როდია შეუძლია პირდაპირი ლოგიკური გზით გამოხატოს დანაშაულის ცნების ძირითადი ნიშნები (საზოგადოებრივი საშიშროება, მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობა). მართლაც, ავტორი თავადვე ამტკიცებს, რომ დანაშაულის ნიშნებისა და კონკრეტული დანაშაულის ნიშნების ანუ შემადგენლობის ცოდნიდან ჯერ კიდევ არ შეიძლება ვამტკიცოთ დანაშაულის ჩადენა. მაგალითად, ძარცვის ცნების ძირითადი შინაარსის ცოდნიდან ჯერ კიდევ არ შეიძლება ჩადენილ ქმედობას „სამართლებრივი შეფასება მიეცეს“<sup>6</sup>.

ამრიგად, დანაშაულის ცნების ძირითად ნიშნებსა და კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის ძირითად ნიშნებს შორის პირდაპირი ლოგიკური მიმართება არ არის, რის გამოც არ შეგვიძლია კატეგორიულად ვამტკიცოთ, რომ კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობით განხორციელებულია დანაშაულის ცნების ძირითადი ნიშნები. მაგრამ, სამწუხაროდ, ვ. ჟერებკინი ბოლომდე თანმიმდევრული არ აღმოჩნდა. ეტყობა, ავტორი დააფრთხო იმან, რომ დანაშაულის შემადგენლობის ცნება პირდაპირ ლოგიკურ კავშირში არ არის დანაშაულის ცნებასთან და ამან იგი აიძულა უკან დაეხია. სახელდობრ, ავტორი საბოლოოდ მიდის დასკვნამდე, რომ დანაშაულის შემადგენლობის ფაქტობრივი ნიშნებიდან თითქოს შესაძლებელია ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების გამოყვანა და რომ ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა დანაშაულის შემადგენლობაში შედის<sup>7</sup>. ეს დასკვნა კი კვლავ ტრადიციული თვალსაზრისისაკენ გვაბრუნებს: თუ დანაშაულის შემადგენლობის ცნებაში შედის ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა, მაშინ მასში შედის ბრალეულობაც, ხოლო ამ ლოგიკით დანაშაულის ცნება და დანაშაულის შემადგენლობის ცნება არსებითად ერთი და იგივეა. ავტორი კი საეგსებით მართებულად ამტკიცებდა, რომ დანაშაულის ცნება „ერთ საგანს ასახავს, ხოლო შემადგენლობის ცნება — მეორეს“<sup>8</sup>. მაშასადამე, შემადგენლობის ცნება ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას, მართლწინააღმდეგობას და ბრალეულობას არ ასახავს, მაგრამ ავტორმა ყველაფერი ეს საბოლოოდ უარყო. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ავტორი ამტკიცებს, რომ „დანაშაულისა და დანაშაულის შემადგენლობის თანაფარდობის საკითხი — ლოგიკური საკითხია“<sup>9</sup>. სინამდვილეში აქ მხოლოდ ლოგიკური საკითხი არ

<sup>5</sup> ვ. ჟერებკინის დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

<sup>6</sup> В. А. Жеребкин. Логический анализ понятий права, Киев, 1976, с. 20.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 112.

<sup>8</sup> ვ. ჟერებკინის დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 48.



დგას. საქმე ის გახლავთ, რომ დანაშაულის ცნება ნორმატიული, შეფასებითი ცნებაა, მაშინ, როდესაც დანაშაულის შემადგენლობის ცნება არ შეიძლება მხოლოდ ფასებით ცნებად ჩაითვალოს, როგორც მართებულად მიუთითებს პროფ. გ. ტყეშელიძე, დანაშაულის შემადგენლობა არის აღწერილობითი მსჯელობა, მაშინ, როდესაც მართლწინააღმდეგობა არის ღირებულებითი მსჯელობა<sup>10</sup>.

დებულება, რომ დანაშაულის შემადგენლობა არის აღწერილობითი მსჯელობა, მეორენაირად ნიშნავს: დანაშაულის შემადგენლობა არის ფაქტის მსჯელობა, რადგან აღწერა შეიძლება იმისა, რაც ამ აღწერას ექვემდებარება, ე. ი. დანაშაულის შემადგენლობის ფაქტიური ნიშნებისა, მაშინ როდესაც შეფასებითი ნიშნების აღწერა შეუძლებელია. მაგალითად, საზოგადოებრივი საშიშროების ვაგება ნამდვილად შეიძლება, მაგრამ არა მისი აღწერა. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ დანაშაულის შემადგენლობას, როგორც აღწერილობით, ფაქტის მსჯელობას, არაფრით არ შეუძლია პირდაპირი ლოგიკური გზით გამოხატოს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება, მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობა. ამ დასკვნას კიდევ უფრო ნათელს გახდის იმის დადგენა, თუ რატომაა დანაშაულის შემადგენლობა აღწერილობითი, ფაქტის მსჯელობა, მართლაც, ცნობილია, რომ ყოველ ცნებას თავისი საგანი აქვს. იგივე ითქმის დანაშაულის შემადგენლობის ცნების შესახებაც. რა არის დანაშაულის შემადგენლობის ცნების საგანი? ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ამ ცნების საგანია დანაშაულის შემადგენლობის ფაქტიური ნიშნები. მაგრამ სინამდვილეში საქმის ვითარება უფრო სხვაგანაა საძიებელი.

ჩვენი აზრით, დანაშაულის შემადგენლობის ბუნების გასაგებად საჭიროა სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის მართებული ვაგება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას ქმნის არა დანაშაული, როგორც ამას ფიქრობენ, არამედ სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლისა და მოქმედების კონკრეტული გარემოებანი. სისხლის სამართლის ნორმის ადრესატი ანუ სისხლის სამართლის სუბიექტი ვალდებულია განახორციელოს სისხლისსამართლებრივი ნორმის მოთხოვნა. სახელმწიფოს უფლება, განსაზღვრული ტიპის ქმედობათა დასჯადობის დაწესებაზე, გამოხატული სისხლის სამართლის კანონში, და სისხლის სამართლის სუბიექტის ვალდებულება—არ ჩაიდინოს დანაშაული,— შეადგენს სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იურიდიულ შინაარსს. ეს ურთიერთობა გამოხატავს სახელმწიფოსა და სისხლის სამართლის სუბიექტის იურიდიულ კავშირს, რომელიც სისხლის სამართლის ნორმის განხორციელების ფორმას წარმოადგენს.

სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა, ისევე როგორც საზოგადოდ ნორმატიული ურთიერთობა (ზნეობრივი, ესთეტიკური, სამართლებრივი და ა. შ.), ღირებულებით ურთიერთობას წარმოადგენს. ეს იმიტომ, რომ სისხლის სამართლის ნორმა ჯერარსულია და მოითხოვს იმას, რაც უნდა იყოს, ხოლო უნდა იყოს ის, რაც ღირებულებითია, ყოფნის ღირსია. დანაშაულის თავიდან აცილება, რომელიც სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის მიზანია, ანიჭებს მას ღირებულებით შინაარსს.

<sup>10</sup> Г. Г. Ткешеладзе, Судебная практика и уголовный закон. Тбилиси, 1975, с. 54.

რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც სისხლის სამართლის სუბიექტი თავის სისხლისსამართლებრივ მოვალეობას დაარღვევს და დანაშაულს ჩაიდენს? ამ კითხვაზე პასუხისათვის კვლავ უნდა ითქვას, რომ სისხლის სამართალი დანაშაულის ჩამდენი პირის სამართლებრივ მდგომარეობას არ ადგენს, დანაშაულის ჩამდენი პირი მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო და ფარგლებში სისხლისსამართლებრივად არც ვალდებულია და არც უფლებამოსილი<sup>11</sup>. ეს იმას ადასტურებს, რომ აღნიშნული პირი სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის გარეთ აღმოჩნდა. ცხადია, დანაშაულის ჩადენას არ შეუძლია გავყვიტოს სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა, ვინაიდან კონკრეტული დანაშაულის ჩამდენი პირი კვლავ რჩება ვალდებულად არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჩადენილი დანაშაულის გამო და ფარგლებში ის სისხლისსამართლებრივად არც ვალდებულია (მაგალითად, ვალდებული არ არის გამოცხადდეს მართლმსაჯულების ორგანოებში), და არც უფლებამოსილი (მაგალითად, მიმალვის იურიდიული უფლება არა აქვს, რადგან მიმალვას ხანდაზმულობის დინების შეჩერება მოჰყვება). თუ პირი არც ვალდებულია და არც უფლებამოსილი, მაშინ ის სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტა არ არის. სხვა საკითხია დანაშაულის ჩამდენი პირის პროცესუალური მდგომარეობის დადგენა, მაგრამ დანაშაულის ჩადენიდან პროცესუალური მდგომარეობის დადგენამდე იგი იურიდიულად გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფება. სისხლის სამართალში არ არსებობს ტერმინი, რომელიც სუბიექტის ამ მდგომარეობას გამოხატავდა. ლიტერატურაში ამ თავისებური სამართლებრივი ვაკუუმის შესავსებად „დამნაშავე“ იქნა გამოყენებული, მაგრამ იურიდიულად ეს ყოვლად დაუშვებელია. ჯერ-ერთი, დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება ჯერ კიდევ არ უდრის დანაშაულის ჩადენას: გამოირიცხული არ არის შემადგენლობისადმი ქმედობის ფორმალური შესაბამისობა. მეორეც, თუ „დამნაშავე“ მაინც შეიძლება იქნეს გამოყენებული, ეს მხოლოდ მაშინ, თუ გამატყუებელი განაჩენით დადგენილია პირის ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში, თუმცა ამ პირს იურიდიულად „მსჯავრდებული“ უნდა ეწოდოს და არა „დამნაშავე“. ყოველ შემთხვევაში დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების მომენტში ტერმინი „დამნაშავე“ იურიდიულად შეუძლებელია.

ამრიგად, რადგან დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებული პირი ამ შემადგენლობის გამო და ფარგლებში სისხლისსამართლებრივად არც ვალდებულია და არც უფლებამოსილი, ის სამართლებრივი ურთიერთობის გარეთაა. ამიტომაც არ ჰქვია მას „სამართლებრივი სახელი“. ის მხოლოდ დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტია, მაგრამ ეს ტერმინი, როგორც უკვე ითქვა, სამართლებრივი კი არაა, არამედ სისხლის სამართლის თეორიაშია შემუშავებული. თუ აღნიშნული პირი სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის გარეთაა, მაშინ ის, ცხადია, არაიურიდიულ მდგომარეობაში იმყოფება. თუ სამართლებრივი ურთიერთობა ღირებულებითი ურთიერთობაა, მაშინ ამ ურთიერთობის ფარგლებს გარეთ არალირებულებითი ვითარება იკულისხმება. „არაიურიდიული“, „არალირებულებითი“ — ეს უკვე ფაქტობრივი ვითარებაა, რო-

<sup>11</sup> ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. გ. ნაჭყებია, კანონით აუკრძალავის ნებადართულობის შესახებ, „სამართალი“, 1992 წ., № 1, გვ. 18.



მელშიც დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტი აღმოჩნდა. მაშასადამე, ნიშნული სუბიექტი ფაქტობრივ მდგომარეობაშია, აქედან კი ძნელი არ უნდა იყოს იმ დასკვნის გაკეთება, რომ დანაშაულის შემადგენლობის ცნება სუბიექტის ამ ფაქტობრივ მდგომარეობას ასახავს: აი, რატომღა დანაშაულის შემადგენლობა აღწერილობითი ანუ ფაქტის მსჯელობა. მაშასადამე, დანაშაულის შემადგენლობის ცნების საგანია დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა.

ისმის კითხვა: თუ დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტი ფაქტობრივ მდგომარეობაშია, მაშინ შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობა, რომელიც სუბიექტმა განახორციელა, უკვე დანაშაულია? ამ კითხვაზე უარყოფითად უნდა ვუბასუხოთ. მართლაც, დანაშაულის ცნების ძირითადი ნიშნებია: საზოგადოებრივი საშიშროება, მართლწინააღმდეგობა და ბრალი შეფასებითი ცნებებია, რომლებიც მხოლოდ ღირებულებით ურთიერთობებში ვლინდება, დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტი კი ფაქტობრივ მდგომარეობაში გადადის. რის გამოც შეუძლებელია იმის თქმა, რომ პრაქტიკულად განხორციელებული შემადგენლობა უკვე გამოხატავს ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას, მართლწინააღმდეგობას და ბრალეულობას. მით უმეტეს, რომ ბრალი სულაც არ არის ფაქტიური ვითარების ასახვა: ჯერ — ერთი, ბრალი არის გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება საზოგადოებრივად საშიშა ქმედობისადმი და მისი საზოგადოებრივად საშიში შედეგებისადმი. მეორეც, ბრალი ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებასა და მართლწინააღმდეგობაზე დამოკიდებულყოველივე ამის გამო შეუძლებელია იმის თქმა, რომ დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა ჩადენილი ქმედობის ბრალეულობაზე ლაპარაკობს. ბრალი უბრალო ფსიქიკური დამოკიდებულება კი არაა, როგორც ეს ხდება ხოლმე ყველა მართლზომიერა საქციელის ჩადენისას, არამედ გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება, ე. ი. უარყოფითად შესაფასებელი, ხოლო იმ პოზიციიდან, რომელშიც დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტი იმყოფება, ანუ ფაქტობრივი პოზიციიდან, შეფასება შეუძლებელია. ამიტომ ჩადენილი ქმედობაც ფაქტია და არა „ნორმატული ფაქტი“.

ამრიგად, იმის გამო, რომ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებით სუბიექტი გადადის ფაქტობრივ მდგომარეობაში, ჩადენილი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების, მართლწინააღმდეგობისა და ბრალეულობის შესახებ პირდაპირი ლოგიკური დასკვნა შეუძლებელია. მაშასადამე, დანაშაულის შემადგენლობაში ბრალი შეუძლებელია. ანუ ამ ლოგიკურ ვითარებაში ბრალს შემადგენლობის სტრუქტურაში შევიტანდით, მაშინ ბრალი ფსიქოლოგიური კატეგორია იქნებოდა, ვინაიდან დანაშაულის შემადგენლობა დანაშაულის სუბიექტის ფაქტობრივ მდგომარეობას ასახავს, ხოლო ამ პოზიციიდან შესაძლებელია ვილაპარაკოთ მხოლოდ ფსიქიკურ დამოკიდებულებაზე, როგორც ფსიქოლოგიის საგანზე, და არა ბრალზე, როგორც ბრალის საპარტოლის მეცნიერების საგანზე.

სამწუხაროდ, ყოფილ სსბჭოვს კავშირში თითქმის აგნატონებულნი იყვნენ დებულება, რომ ბრალის გარეშე დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური



მხარე შეუძლებელია. რომ, თუ დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარე არსებობს, მაშინ არსებობს ბრალიც. შემთხვევითი არც ისაა, რომ დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარისა და ბრალის ცნებებს თითქმის ერთნაირად განსაზღვრავდნენ. ამ მხრივ ლიტერატურის ანალიზის ადგილი არა გვაქვს. ვიტყვით იმას, რომ ბოლო წლებში ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში დაისვა საკითხი დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარისა და ბრალის მიმართების შესახებ, მაგრამ ამ დისკუსიებში ჩაბმის ადგილიც არა გვაქვს. ჩვენ მეთოდოლოგიური თვალსაზრისით გვინდა მივანიშნოთ ამ პრობლემის გადაჭრის პრინციპულ შესაძლებლობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს პრობლემა შემდგომ დაბუთებას მოითხოვს.

ჩვენი აზრით, დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარე მოტივის, მიზნის, განზრახვის და გაუფრთხილებლობის გარეშე შეუძლებელია, მაგრამ ამ შემთხვევაში იგულისხმება შემადგენლობის შესაბამისი ქმედობისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეიძლება ჰქონდეს ბრალის მნიშვნელობა. თუ პირმა ჩაიდინა მცირე მნიშვნელობის ნივთის ქურდობა, განზრახვა უეჭველად არსებობს, მაგრამ არ არსებობს ბრალი, ვინაიდან ჩადენილი ქმედობა აღარ არის საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგო. იგივე შეიძლება ითქვას მცირემნიშვნელოვან გაუფრთხილებელ ქმედობაზეც, როდესაც ფსიქოლოგიურად ჩადენილია გაუფრთხილებელი ქმედობა, მაგრამ ის არ შეიძლება ბრალად ჩაითვალოს, თუ კი ჩადენილი ქმედობა საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგო არ არის.

ამრიგად, შეიძლება ვთქვათ, რომ დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარე ყოველთვის არსებობს, თუ დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობა განხორციელდა, მაგრამ დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარე ჯერ კიდევ არაა ბრალი, რადგან წინასწარ არავინ იცის, ჩადენილი ქმედობა, რომელიც დანაშაულის საკანონმდებლო შემადგენლობას შეესაბამება, არის თუ არა საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგო. მით უმეტეს, რომ დანაშაულის შემადგენლობის საკანონმდებლო ცნებას, როგორც უკვე ითქვა, პირდაპირი ლოგიკური გზით არ შეუძლია გამოხატოს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა, ისევე როგორც საზოგადოდ ფაქტის მსჯელობას არ შეუძლია პირდაპირი ლოგიკური გზით გამოხატოს ღირებულება.

ჩვენი აზრით, დანაშაულის შემადგენლობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი კი ვერაა, როორც ამას ამტკიცებდნენ დაწინააღმდეგობრივ დღესაც ამტკიცებენ, არამედ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემის საფუძველი. დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების მომენტიდან ფუნქციონალურად უნდა წარმოიშვას არა სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა, არამედ სისხლის სამართლის პროცესუალური ურთიერთობა. შემთხვევითი სულაც არაა ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის მრაცესში ცნობილია სისხლის სამართლის საქმის ატმერის საბაბი და კანონიერი საფუძველი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 108-ე მუხლში ნათქვამია, რომ „სისხლის სამართლის საქმე შეიძლება აღიძრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოიპოვება საკმარისი მონაცემები, რომლებიც დანაშაულის ნიშნებზე მიუთითებს“.

უეჭველია, რომ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების ფაქტზე უნდა მოხდეს. სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაზი და კანონიერი საფუძველი სწორედ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებზე უნდა მიუთითებდეს.

ცხადი უნდა იყოს, რომ წინასწარი გამოძიების სტადიაზე მხედველობაში არა ბრალის დადგენა, არამედ დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარის დადგენა. წინასწარმა გამოძიებამ უნდა დაადგინოს ჩადენილი ქმედობის მოტივი, მიზანი, განზრახვა, გაუფრთხილებლობა, მაგრამ ამ ეტაპზე ჯერ კიდევ არ შეიძლება ბრალეულობაზე ლაპარაკი, ვიდრე არ მოხდება მთელი სისხლის სამართლის საქმის სასამართლო შეფასება. მაგრამ სისხლის სამართლის საქმის ცესო ურთიერთობის პოზიციიდან ამგვარი შეფასება შეუძლებელია. სანამ სასამართლოს სისხლის სამართლის პროცესუალური ურთიერთობის პოზიცია უჭირავს, ის ლოგიკურად დგას სისხლის სამართლის საქმის გარშემო კემარიტების დადგენის პოზიციაზე. ამ პოზიციიდან კი ბრალის დადგენა შეუძლებელია: ამ პოზიციიდან შეიძლება დადგენილ იქნეს დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარე. იმისათვის, რომ სასამართლომ დაიკავოს საქმის მასალებისადმი შეფასებითი პოზიცია, საჭიროა ობიექტური მომენტი, რომელიც სასამართლოს შეფასებით პოზიციაზე გადაიყვანს. ეს ობიექტური მომენტი, ჩვენი აზრით, არის სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც განსახილვამ თვითნებურად მიატოვა. სასამართლომ უნდა დაადგინოს ის კონკრეტული სისხლისსამართლებრივი ნორმა, რომლითაც განსახილვითი სახელმწიფოსთან სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა, ამ ობიექტურ ნიშანზე სასამართლო, ბუნებრივია, ლოგიკურად მიადგება ხოლმე დანაშაულის ნორმატიულ, საკანონმდებლო ცნებას, რათა მისი ძირითადი ნიშნების მიხედვით მოახდინოს ჩადენილი ქმედობის შეფასება. თუ სასამართლომ დაადგინა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე კემარიტების დადგენის დროს დადგენილია დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარე, ხოლო ამავე დროს სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის პოზიციიდან დაადგინა ჩადენილი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა, როგორც ეს დაადგინა კანონმდებელმა დანაშაულის ნორმატიულ ცნებაში, მაშინ დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარე ბრალის მნიშვნელობას შეიძენს. მაშასადამე, სასამართლო დაასკვნის, რომ მოცემულ შემთხვევაში დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებით ჩადენილი ყოფილა დანაშაული. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია არა დანაშაულის შემადგენლობა, არამედ დანაშაული, რომელიც სასამართლო განაჩენითაა დადგენილი.

ამრიგად, ჩვენ ფრაგმენტულად შევხებით ამ დიდი პრობლემის ზოგიერთ მომენტს და მივდივართ დასკვნამდე, რომ დანაშაულის შემადგენლობა თავისი ბუნებით არაბრალეულობის პრეზუმეციის საფუძველია. რაკი დანაშაულის შემადგენლობა ფაქტის მსჯელობაა იმიტომ, რომ იგი სუბიექტის ფაქტობრივ მდგომარეობას ასახავს, შემადგენლობის სტრუქტურაში შესაძლებელია დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარე და არა ბრალი. იმიტომ, ბრალზე მსჯელობის ობიექტური საფუძველიც არ არსებობს იქამდე, სანამ სასამართლო შეფასება მას არ გამოავლენს. ცხადია, ბრალს სასამართლო შეფასება კი



არ კმნის, არამედ დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტურ მხარეს ობიექტურად ენიჭება ბრალის მნიშვნელობა, თუ ჩადენილი ქმედობა საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგოა. აქედან გამომდინარეობს, რომ სასამართლო შეფასების სტადიამდე ბრალეულობაზე ლაპარაკი შეუძლებელია. წინასწარი გამოძიება, როგორც უკვე ითქვა, ადგენს დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტურ მხარეს და არა ბრალეულობას, მართალია, „ბრალდებული“ პროცესუალურად არის პირი, რომელსაც ბრალი ედება დანაშაულის ჩადენაში, მაგრამ, ჯერ — ერთი, ბრალდებას მხოლოდ წინასწარი ხასიათი აქვს და იგი ემყარება დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტურ მხარეს; მეორეც, ბრალდებული ჯერ კიდევ არ არის ბრალეული, რადგან ბრალეულობა მხოლოდ სასამართლო შეფასების სტადიაზე ვლინდება. აქედან ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ წინასწარი გამოძიება ბრალდებულის ბრალეულობას კი არ ადგენს, არამედ ბრალის ფორმებად წოდებულ ფსიქიკურ დამოკიდებულებებს, რომელთაც ჯერ კიდევ არ შეიძლება ჰქონდეთ ბრალის მნიშვნელობა. ამიტომ წინასწარი გამოძიებას შეუძლია პირის გათავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ისე, რომ არ დაირღვეს არაბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპის მოთხოვნა: რაკი ამ ეტაპზე ბრალეულობაზე ლაპარაკი არ არის, მაშასადამე, არც არაბრალეულობის პრეზუმფცია ირღვევა, თუ პირი, ვთქვათ, გადაცემული იქნა თავდებქვეშ.

ამრიგად, არაბრალეულობის პრეზუმფცია ფიქცია ან ფორმალური პრინციპი კი არაა, რომელიც გვაიძულებს ბრალის არსებობის მიუხედავად მასზე თვალი დაეხუჭოთ და არსებული არარსებულად მივიჩნიოთ, არამედ განსაზღვრულია ობიექტური ვითარებით, დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარისა და ბრალის განსხვავებით, ბრალეულობის ობიექტური შინაარსით. ცხადია, ამ რთულ პრობლემას შემდგომი დამუშავებაც სჭირდება, მაგრამ, ვფიქრობთ, მისი გადაჭრის აღნიშნული გზაც შეიძლება გამოდგეს.

საქართველოს სალიბრარიო

## საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ნუსხე და ტექნიკა

1. საგამოძიებო ექსპერიმენტის ცნება. საგამოძიებო ექსპერიმენტი როგორც დამოუკიდებელი საგამოძიებო მოქმედება პირველად არის გათვალისწინებული მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, მანამდე საგამოძიებო ექსპერიმენტი განიხილებოდა როგორც კრიმინალისტიკური ტაქტიკური ხერხი ჩვენებათა და სხვა მტკიცებულებათა სისწორის შემოწმების მიზნით.

ზოგიერთი რესპუბლიკის საპროცესო კოდექსი საგამოძიებო ექსპერიმენტს უწოდებს „მდგომარეობისა და ვითარების აღდგენას“ (იხ. მაგალითად, უკრაინის სსს კოდექსის 194-ე მუხლი). ასეთივე სახელწოდებით იყო ცნობილი საგამოძიებო ექსპერიმენტი უზბეკეთის სსს კოდექსის 166-ე მუხლით, მაგრამ შემდგომში, 1976 წლის 28 მაისიდან, იგი წოდებულია საგამოძიებო ექსპერიმენტად.

საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 183-ე მუხლი აყალიბებს საგამოძიებო ექსპერიმენტის ცნების ძირითად ნიშნებს. საგამოძიებო ექსპერიმენტი არის საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ტარდება დათვალიერების, შემოწმების, დაკითხვის, ამოსაცნობად წარდგენის, საგამოძიებო ვერსიების, სხვა საგამოძიებო მოქმედებათა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელების დროს მიღებული მონაცემების შემოწმების, დაზუსტების ან ახალი მტკიცებულებათა მიღების მიზნით.

ამგვარად, საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება მიზნად ისახავს საგამოძიებო მოქმედებათა, ოპერატიულ ღონისძიებათა შედეგად მიღებული მონაცემებისა და საგამოძიებო ვერსიების: ა) შემოწმებას, ბ) დაზუსტებას, გ) ახალი მტკიცებულების მიღებას.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ამოცანაა გარკვეული ვითარების აღდგენის გზით შემოწმდეს, დაზუსტდეს, დადგინდეს; გარკვეული ფაქტების არსებობა; გარკვეული მოქმედების შესრულების შესაძლებლობა; ფაქტებისა და გარემოებათა წარმოშობის მექანიზმი; გარკვეული პროფესიული ჩვევების გამოუმუშავების ფაქტი.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების სახეებს მიეკუთვნება: 1) აღქმის უნარის შემოწმება-დადგენა. ამ მხრივ, პრაქტიკაში შედარებით ხშირად აქვს ადგილი სმენადობის შემოწმებას, ხილვადობის დადგენას, კონკრეტული საუბრის და ინტონაციის აღქმას. 2) ცალკეული მოქმედების შესრულების შესაძლებლობა. მაგალითად, შეეძლოს თუ არა პირს უწყობრეტული ვითარებისა და პირობების გათვალისწინებით, გამონგრეული ხვრელით რაიმე საგნების გატანა; სიმძიმის გატანა გარკვეულ მანძილზე და გარკვეულ დროში; მოცემულ დრო-

ში გარკვეული მანძილის გავლა გარბენით, ჩვეულებრივი სიარულით; სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით გარკვეული მანძილის გავლა მოცემულ დროში და ა. შ. 3) ამა თუ იმ ფაქტის არსებობის შესაძლებლობა ან გარკვეული შედეგების დადგომა. საგამოძიებო ექსპერიმენტის ამ სახეს მიეკუთვნება, მაგალითად, საკითხის დადგენა იმის შესახებ, შესაძლო იყო თუ არა სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან პირადი ქონების გაფუჭება, დაღობა, ხარისხის დაკარგვა მათი გარკვეულ პირობებში და გარკვეული დროის განმავლობაში შენახვის შედეგად; შესაძლებელი იყო თუ არა საგნების თვითაალების შედეგად ხანძრის გაჩენა და ა. შ. საგამოძიებო ექსპერიმენტის აღნიშნულ სახეს მიეკუთვნება აგრეთვე გარკვეული პროფესიული ჩვევების განსაზღვრა-გამომკვლავების უნარის დადგენა, ღურგლის, ზეინკლის, ხატვის ან ძერწვის და სხვა სახის პროფესიული ჩვევების განსაზღვრა. 4) ფაქტებისა და გარემოების წარმოშობის მექანიზმის დადგენა. მაგალითად, შესაძლებელი იყო თუ არა გარკვეული კვალის დატოვება (ხელის, ფეხის, სატრანსპორტო საშუალების, გატეხის იარაღისა და ა. შ.) მოცემული პიროვნების მიერ ან კონკრეტული საგნის მეშვეობით და რა პირობებში წარმოიშვა კვალი.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება უნდა ეფუძნებოდეს მთელ რიგ ისეთი პრინციპული ხასიათის მოთხოვნებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების კანონიერებას, ობიექტურობასა და ყოველმხრივობას. ამ პრინციპული ხასიათის მოთხოვნებს მიეკუთვნება საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების კანონიერება; მისი ჩატარება იგივე ან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში; ცდების განმეორება; ნებაყოფილობითი პრინციპი და ეთიკურ-ზნეობრივი ნორმების დაცვა საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროს.

**კანონიერება.** კანონიერების პრინციპი გულისხმობს იმ საპროცესო ნორმების მტკიცე და განუხრელ დაცვას, რომლებიც არეგულირებს საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების წესსა და პირობებს, საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილე პირთა კანონით გარანტირებული უფლებების დაცვას. საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგებს მხოლოდ მაშინ შეიძლება მიენიჭოს მტკიცებულების ძალა, როდესაც ისინი მიღებულია კანონის დაცვის საფუძველზე.

**საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება იგივე პირობებში.** ამ პრინციპის არსი იმაში გამოიხატება, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტო უნდა ჩატარდეს იგივე პირობებში, როგორც ამას სინამდვილეში ჰქონდა ადგილი. თუ ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, მაშინ იგი ტარდება მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში. იგივე პირობების შექმნა გულისხმობს საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებას იმავე ადგილზე და იმავე დროს, როგორც შესაძლებელ მოვლენას ჰქონდა ადგილი, იგივე ობიექტების გამოყენებას. როდესაც ხმაურის ფონს, ამინდს, ჰაერის ტემპერატურას, ქარის მიმართულებას აქვს მნიშვნელობა, ეს პირობებიც უნდა იყოს დაცული საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროს.

**ცდების განმეორება.** საგამოძიებო ექსპერიმენტის პროცესში ცდების განმეორებას და მათ შესრულებას სხვადასხვა პირობებში აქვს გარკვეული მნიშვნელობა კანონზომიერებათა დადგენის საქმეში. ცდები შეიძლება განმეორდეს რამდენჯერმე, იგი შეიძლება შესრულდეს გაუარესებულ და გაუმჯობესებულ პირობებში იმისათვის, რომ დადგინდეს, თუ როგორ კონკრეტულ პირობებში ჰქონდა გარკვეულ ფაქტს ადგილი.

**ნებაყოფილობის პრინციპი** საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროს გამოიხატება იმაში, რომ ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პი-



რები თავიანთი ნებითა და სურვილით ასრულებენ იმ მოქმედებას, რომელსაც მათ გამოძიებელი ავალებს. ექვმიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულის მოწმის თუ სხვა პირის იძულება ფიზიკური ძალადობით, მუქარით, შანტაჟით გამორიცხული უნდა იყოს ყველა შემთხვევაში.

**ეთიკურ-წინააღმდეგობის ნორმების დაცვა** საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროს გულისხმობს იმას, რომ ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირებს არ უნდა დაევალოს ისეთი მოქმედების შესრულება, რაც ამცირებს მათ პატივსა და ღირსებას, შეურაცხმყოფელია მათთვის და საშიშია ჯანმრთელობისათვის. ასევე, არ შეიძლება ისეთი მოქმედების ჩატარება, რაც საშიშია სხვა პირთა ჯანმრთელობისათვის ან დაკავშირებულია საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევასთან.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროს დაცული უნდა იყოს საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 183-ე მუხლით დადგენილი პროცესუალური წესი. კერძოდ: საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაში უნდა მონაწილეობდნენ დამსწრეები; გამოძიებელს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია მოიწვიოს ექვმიტანილი, ბრალდებული, დაზარალებული, მოწმე, ექსპერტი, სპეციალისტი; სპეციალისტის მონაწილეობით შეიძლება მიღებული იყოს ნიმუშები შედარებითი გამოკვლევის ჩატარებისათვის; საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროს შეიძლება გამოყენებული იყოს ტექნიკური საშუალებები: გაზომვა, ფოტოგადაღება, კინოგადაღება, გეგმებისა და სქემების შედგენა; საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება შეიძლება იმ პირობით, თუ იგი არ ამცირებს მასში მონაწილეთა და გარშემო მყოფ პირთა ღირსებას და არ არის საშიში მათი ჯანმრთელობისათვის; საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების შესახებ დგება ოქმი დადგენილი წესების დაცვით.

**2. საგამოძიებო ექსპერიმენტის მომზადება.** საგამოძიებო ექსპერიმენტის

მომზადების მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ ეს საგამოძიებო მოქმედება ჩატარდეს ორგანიზებულად და მიზანსწრაფილად, მივალწივით ოპტიმალურ და უტყუარ შედეგებს. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების მომზადება ითვალისწინებს ორ საფეხურს, კერძოდ: 1) მოსამზადებელი საკითხების განხილვა-გადაწყვეტას გამოძიების ადგილზე, 2) საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ადგილზე, ვიდრე უშუალოდ დაიწყება ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარება.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების მომზადება გამოძიების ადგილზე გულისხმობს შემდეგი საკითხების განხილვა-გადაწყვეტას: სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობას, საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების შესაძლებლობის საკითხის გადაწყვეტას, ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირთა რაოდენობის განსაზღვრას, საგამოძიებო ექსპერიმენტის საგნების, ობიექტებისა და საჭიროების მომზადებას, საჭირო ტექნიკურ საშუალებათა განსაზღვრას და საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დაგეგმვას.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ეფექტიანად ჩატარებისათვის დადებითი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის საქმის მასალების დეტალურ შესწავლასა და ანალიზს, რაც საფუძველს გვაძლევს დავადგინოთ: რა ვითრებაში და პირობებში ჩატარდა შესამოწმებელი ფაქტები და გარემოებანი; კონკრეტულად ვინ მონაწილეობდა შესამოწმებელ ურთიერთობაში; რომელი მტკიცებულების სისწორე უნდა შემოწმდეს (მოწმის, დაზარალებულის, ექვმიტანილის, ბრალდებულის ჩვენებები, დაპირისპირებების და ამოცნობის შედეგები, თუ სხვა სახის მტკიცებულება).



შემდეგ საკითხს, რომელიც გამოძიებულმა უნდა გადაწყვიტოს, განეკუთვნება საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების შესაძლებლობა და მისი ჩატარების აუცილებლობა. პირველ რიგში, უნდა გაირკვეს საკითხი, თუ რამდენად ეფექტიანი იქნება საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება და რა შედეგის მიღება შეიძლება; სასურველი ფაქტის არსებობა ხომ არ არის უკვე ობიექტურად და უტყუარად დადგენილი სხვა მტკიცებულებათა მეშვეობით. უნდა გადაწყდეს აგრეთვე საკითხი პრაქტიკულად შესაძლებელია თუ არა საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება; შესაძლებელია თუ არა იმ პირების და ობიექტების შერჩევა და გამოყენება, რომლებიც მონაწილეობდნენ სინამდვილეში მომხდარ შემთხვევაში.

საგამოძიებო ექსპერიმენტის მომზადება გულისხმობს იმ პირთა წრის განსაზღვრას, ვინც მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში. ამ საკითხს წყვეტს უშუალოდ ის გამოძიებელი, ვინც უნდა ჩაატაროს საგამოძიებო ექსპერიმენტი.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაში აუცილებელ მონაწილეებს განეკუთვნებიან დამსწრეები. იმ შემთხვევაში, როდესაც საგამოძიებო ექსპერიმენტი უნდა ჩატარდეს დასახლებული ადგილიდან მოშორებით და მისი ჩატარების ადგილზე, პრაქტიკულად შეუძლებელია დამსწრეთა მოწვევა, გამოძიებელი ამ საკითხს წყვეტს გამოძიების ადგილზე. დამსწრეთა მოწვევის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მათი ობიექტურობა და საგამოძიებო ექსპერიმენტის მსვლელობისა და შედეგების სწორი აღქმის უნარი.

ექვმიტანილი, ბრალდებული, მოწმე ან დაზარალებული უნდა იყოს მოწვეული საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად იმ შემთხვევაში, როდესაც საგამოძიებო ექსპერიმენტი ტარდება მათი ჩვენებათა სისწორის შემოწმების მიზნით და, როდესაც აღნიშნული პირები იყვნენ შესამოწმებელი მოქმედების უშუალო შემსრულებლები და მონაწილენი.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება იყოს მოწვეული შესაბამისი სპეციალისტი (სპეციალისტ-კრიმინალისტი, სპეციალისტ-მედიკოსი, სპეციალისტ-ტექნიკერი დარგის წარმომადგენელი და ა. შ.), რომლის სპეციალური ცოდნის გამოყენება ან კონსულტაციის გაწევა საჭირო იქნება საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების პროცესში. სპეციალისტს ასევე შეიძლება დაევალოს საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების პირობების შექმნა, ამ საგამოძიებო მოქმედების ობიექტების მომზადება, განლაგება, საგამოძიებო ექსპერიმენტის პროცესის ფოტოგრაფირება, კონტაქტის და ა. შ.

გარკვეულ შემთხვევაში, საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად საჭირო ხდება პოლიციის თანამშრომელთა მოწვევა ადგილმდებარეობის დაცვისა და საგამოძიებო ექსპერიმენტის ნორმალურ პირობებში ჩატარების მიზნით. ზოგჯერ საჭირო ხდება საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მოწვევა დახმარების აღმოჩენის მიზნით და იმ პირების მოწვევა, რომელთაც შეუძლიათ შეასრულონ დამხმარე ხასიათის სამუშაოები (ზეინკალი, დურგალი და ა. შ.).

საგამოძიებო ექსპერიმენტის მომზადება გულისხმობს იმ ობიექტების საგნების განსაზღვრასა და მომზადებას, რაც გამოყენებული უნდა იყოს ამ საგამოძიებო მოქმედების შესრულების პროცესში. საერთო წესის მიხედვით, საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს გამოიყენება ის საგნები და ობიექტები, რომლებიც იყო გამოყენებული და ნახმარი სინამდვილეში, მაგრამ, თუ ამის პრაქ-

ტიკული საშუალება არ არსებობს, გამომძიებელმა უნდა შეარჩიოს და მოამზადოს ანალოგიური ობიექტები და საგნები, გამომძიებელმა საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისათვის უნდა შექმნას ის პირობები რომელთაც სინამდვილეში ჰქონდა ადგილი.

საგამოძიებო ექსპერიმენტის მომზადების მიზნით, გამომძიებელმა წინასწარ უნდა განსაზღვროს რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე ის ტექნიკური საშუალებები, რომელთა გამოყენება საჭირო იქნება ამ საგამოძიებო მოქმედების მომზადებისა და ჩატარების პროცესში. ყველა შემთხვევაში უნდა მოამზადოს საგამოძიებო ჩემოდანი.

ბოლოს, საგამოძიებო ექსპერიმენტის მომზადება გულისხმობს ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გეგმის შედგენას, რომელიც, როგორც წესი, უნდა იყოს წერილობითი. საგამოძიებო ექსპერიმენტის გეგმაში უნდა აღინიშნოს, თუ რა სახის ექსპერიმენტი ტარდება, სად და როდის არის დაგეგმილი მისი ჩატარება, რა პირობებში და ვითარებაში უნდა ჩატარდეს იგი, ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა მის ჩატარებაში (თითოეული მონაწილის როლისა და ფუნქციების განსაზღვრა) და რა სახის ტექნიკური საშუალებები შეიძლება იყოს გამოყენებული საგამოძიებო ექსპერიმენტის პროცესში.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ადგილზე მისვლიდან მის უშუალო ჩატარებამდე, გამომძიებელმა უნდა გადაწყვიტოს მრავალი ორგანიზაციული ხასიათის საკითხი, უშუალოდ გამომძიებელი არ ატარებს და არ ასრულებს საგამოძიებო ექსპერიმენტის კონკრეტულ მოქმედებებს, იგი ხელმძღვანელობს და წარმართავს ამ საგამოძიებო მოქმედების შესრულებას და წყვეტს ორგანიზაციულ საკითხებს, რომლებიც აღმოცენდება საგამოძიებო ექსპერიმენტის მომზადებისა და ჩატარების პროცესში.

პირველ რიგში, გამომძიებელმა უნდა მიიღოს ზომები საგამოძიებო ექსპერიმენტის ადგილის განთავისუფლებაში გარეშე პირებისაგან, ამ მოქმედებას გამომძიებელი ასრულებს უშუალოდ ან პოლიციის თანამშრომელთა დახმარებით. შემდგომ გამომძიებელი შეარჩევს დამსწრეებს, თუ ისინი ადრე არ იყვნენ მოწვეული.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ყველა მონაწილეს განემარტება ის მიზეზი, მიზანი და როლი, რისთვისაც ისინი არიან მოწვეული. გამომძიებელი მათ განუმარტავს უფლებებს და ვალდებულებებს, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 139-ე მუხლის შესაბამისად, გამომძიებელი აფრთხილებს საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაში მონაწილე პირებს პასუხისმგებლობის შესახებ, გამოძიების მონაცემის გახმაურების დაუშვებლობის შესახებ და ჩამოართმევს მათ შესაბამის ხელწერილს. ამ საგამოძიებო მოქმედებაში ყველა მონაწილე პირს გამომძიებელი უტარებს შესაბამის ინსტრუქტაჟს და უნაწილებს მათ როლებს.

საგამოძიებო ექსპერიმენტის დაწყებამდე, გარკვეული სამუშაოს განხორციელებას მოითხოვს ამ საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად შესაბამისი პირობების შექმნა: იმ ადგილის განსაზღვრა და საზღვრების დადგენა, სადაც უნდა ჩატარდეს ექსპერიმენტი; დროის განსაზღვრა; იმ საგნებისა და ობიექტების დადგენა და მომზადება, რომლებიც უნდა იყოს გამოყენებული ცდების ჩატარებისას; იმ პირების განსაზღვრა, ვინც უნდა შეასრულოს გარკვეული მოქმედებები საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების პროცესში.

ყოველივე აღნიშნული მდგომარეობები სამუშაოების შესრულების შემ-



დგგ, გამომოციბელი იწყებს და ხელმძღვანელობს საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებას.

მ. საგამოძიებო ექსპერიმენტის ტაქტიკური ხერხები. ტაქტიკური ხერხების გამოყენება საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს მიზნად ისახავს ნაკლები დროის დახარჯვით, ოპტიმალურ პირობებში, შიზანსწრაფულად ჩავატაროთ იგი, მივიღოთ ობიექტური და უტყუარი შედეგები. ამ თუ იმ ტაქტიკური ხერხის გამოყენება დაკავშირებულია საგამოძიებო ექსპერიმენტის გარკვეულ სახესთან და კონკრეტულ პირობებთან, მაგრამ არსებობს ისეთი ტაქტიკური ხერხებიც, რომლებიც ატარებენ ზოგად ხასიათს და მათი გამოყენება შეიძლება ყველა შემთხვევაში.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ერთ-ერთი ძირითადი ტაქტიკური ხერხი იმაში გამოიხატება, რომ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება ყველა შემთხვევაში უნდა ჩატარდეს იმავე პირობებში ან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში, იგივე პირობების და საგნების გამოყენებით, როგორც ანას სინამდვილეში ჰქონდა ადგილი. ამ შემთხვევაში იგულისხმება ცალკეული მოქმედებებისა და ცდების ჩატარება იმავე ადგილზე, იმავე დროს და იმავე პირობებში (განათება, პეტეოროლოგიური პირობები), პიროვნების იგივე ფიზიკური მონაცემები (მხედველობა, სმენა, ასაკი, აგებულება, ფიზიკური ნაკლოვანებანი და ა. შ.), იგივე ობიექტების გამოყენება (საგანი ნივთი, იარაღი და ა. შ.).

ცალკეულ შემთხვევებში საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების პირობებში და საგნები შეიძლება შეიცვალოს ანალოგიური პირობებთან და საგნებით, თუ ასეთი შეცვლა გავლენას არ მოახდენს ექსპერიმენტის შედეგებზე. მაგალითად, პეტეოროლოგიური პირობების დაცვას შეიძლება არ მიუქცეს ყურადღება იმ შემთხვევაში, როდესაც საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების შედეგად უნდა დადგინდეს გამონგრეული კედლიდან გარკვეული საგნის გატანის შესაძლებლობა.

ერთ-ერთი ტაქტიკური ხერხია საგამოძიებო ექსპერიმენტის პროცესში გარკვეულ მოქმედებათა განმეორება. ამ ტაქტიკური ხერხის გამოყენება საშუალებას იძლევა გამოვარიცხოთ შემთხვევითობა და დავადგინოთ კანონზომიერება. მაგალითად, თუ საჭიროა გაირკვეს საკითხი საუბარის მოსმენის შესახებ, მესობელ ოთახში, ასეთი საუბარი უნდა ატარებდეს არა ერთჯერად ხასიათს, არამედ უნდა განმეორდეს რამდენჯერმე, გარკვეული ინტერვალების დაცვით. ამ დროს ტაქტიკურად გამართლებულია საუბარი მიმდინარეობდეს იმავე თემაზე და საკითხებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა სინამდვილეში.

საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს, საჭიროების შემთხვევაში, გამოყენება ისეთი ტაქტიკური ხერხი, როგორიცაა ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების პირობების შეცვლა. ასეთი ხერხი საშუალებას იძლევა სწორად შეფასდეს ექსპერიმენტის შედეგები და ამ დროს გათვალისწინებულ დროს ყველა შესაძლო ვარიანტი.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების პირობები შეიძლება შეიცვალოს როგორც გაუმჯობესების, ისე გაუარესების თვალთახედვით. თუ ცდების ჩატარება გარკვეულ პირობებში იძლევა დადებით შედეგებს, საგამომძიებელს შეუძლია ცდები ჩატაროს გაუარესებულ პირობებში. მაგალითად, თუ მოწმობდება ხილვადობის საკითხი და მოცემულ პირობებში კარგად დაინახა პირმა საგანი ან სხვა პირი, საგამომძიებელს შეუძლია გაუარესოს ეს პირობები და ცდები ჩატაროს უფრო შორი მანძილიდან, ღრუბლიან ამინდში და ა. შ. თუ



ორივე შემთხვევაში ცდებმა მოგვცა დადებითი შედეგი, ეს იმას ნიშნავს, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგები სარწმუნოა და უტყუარი.

იმ შემთხვევაში, როდესაც საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება გარკვეულ პირობებში არ იძლევა დადებით შედეგს, გამომძიებელს შეუძლია ცდები ჩაატაროს გაუმჯობესებულ პირობებში. მაგალითად, თუ ბრალდებულის საუბარი ვერ მოისმინა მოწმემ მეზობელ ოთახში, გამომძიებელი შესთავაზებს ბრალდებულს, რომ მან ისაუბროს შედარებით ხმამაღლა. ასეთ შემთხვევაში გამომძიებელი აკეთებს დასკვნას, შეეძლო თუ არა მეზობელ ოთახში მოწმეს მოესმინა საუბარი და თუ შეეძლო რა ტემპრით საუბარის მოსმენა შეეძლო.

რადგან გამომძიებელი ხელმძღვანელობს და წარმართავს საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებას, მას შეუძლია შეეწყვიტოს ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და შესაბამისი მითითებები მისცეს ექსპერიმენტში მონაწილე პირებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ იცავენ ექსპერიმენტის ჩატარების პირობებს.

ტაქტიკური თვალსაზრისით, სასურველია, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროს გამოყენებულ იყოს კინო და ვიდეო-გადაღება იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპერიმენტის ჩატარება დაკავშირებულია მოძრაობის პრაქტიკასთან და ამ პრაქტიკის ასახვას მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს ხდება, როგორც წესი, ექსპერიმენტის ჩატარების ადგილის ფოტოგადაღება.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების შემდეგ გამომძიებელი კრიტიკულად აფასებს ამ საგამოძიებო მოქმედების შედეგად მიღებულ ფაქტობრივ მასალას. შეფასების ძირითადი მიზანია, დადგინდეს საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგად მიღებული და დადგენილი ფაქტების ჭეშმარიტება, უტყუარობა ან მათი უსაფუძვლობა და მცდარობა. ფაქტებისა და გარემოებათა შეფასების დროს გათვალისწინებულ უნდა იყოს საგამოძიებო ექსპერიმენტის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები.

პირველ რიგში, კრიტიკულ შეფასებას ექვემდებარება საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების პირობები და სისწორე, რადგან ამ საკითხების სწორ გარკვევაზე დამოკიდებული ამ საგამოძიებო მოქმედების შედეგების სარწმუნობა თუ უნდობლობა.

საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგად მიღებული დადებითი შედეგების უტყუარობისა და ობიექტურობის განსაზღვრა იმას ნიშნავს, რომ დადგენილ მოვლენას (მოქმედებას, ფაქტს) ჰქონდა ადგილი, მაგრამ ჰქონდა თუ არა მას ადგილი მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში, ეს საკითხი უნდა გადაწყდეს საქმის სხვა მასალების ერთობლივად შეფასების შედეგად.

საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგად დადგენილ უარყოფით ფაქტებს ის მნიშვნელობა აქვს, რომ იგი კატეგორიულად გამორიცხავს ამა თუ იმ ფაქტისა და მოქმედების შესრულების შესაძლებლობას მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში. უარყოფითი ფაქტის დადგენა შეიძლება იყოს იმის მიზეზი, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტის მონაწილე პირი (პირები) არასათანადოდ ასრულებენ მათე დაკისრებულ მოქმედებას. ბოლოს, უარყოფითი ფაქტების დადგენის საფუძველზე, შეიძლება გაეკიდეს დასკვნა, რომ მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში ადგილი ჰქონდა დანაშაულის ჩადენის სიმულაციას. მაგალითად, თუ საწყობის გაგე და მატერიალურად პასუხისმგებელი პირი ამტკიცებს, რომ საწყობიდან ყულები გატანილ იქნა გამონგრეული კედლიდან და ეს ფაქტი ვერ



დადასტურდა ექსპერიმენტის ჩატარების შედეგად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა დანაშაულის ჩადენის სიმულოციის შესახებ.

იმ შემთხვევაში, როდესაც საგამოძიებო ექსპერიმენტი ტარდება სხვადასხვა (გაუარესებულ) პირობებში და შედეგი ყოველთვის დადებითია, ამ ფაქტის შეფასება გვაძლევს საშუალებას გავაკეთოდ დასკვნა, რომ დადგენილი ფაქტი არის ჭეშმარიტი და უტყუარი.

4. საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგების ფიქსაცია. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების პირობებისა და შედეგების ფიქსაცია აბსოლუტურად აუცილებელია. აქ გამოიყენება არ არსებობს, ამ გარემოებათა ფიქსაცია უნდა მოხდეს საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმში, რომელიც დგება საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 96-ე და 183-ე მუხლების შესაბამისად. წერილობითი ოქმი საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგების ფიქსაციის ძირითადი საშუალებაა. ფიქსაციის დამატებით საშუალებად განიხილება საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების პროცესში დამზადებული ფოტო, კინო და ვიდეოგადაღების ფირები, სქემები, გეგმები, ტვიფარები. ყოველივე ეს ერთვის წერილობით ოქმს დანართის სახით და ოქმთან ერთად განიხილება, როგორც მტკიცებულების დამოუკიდებელი წყარო.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის შესავალ ნაწილში აღინიშნება ოფიციალური მონაცემები.

ოქმის აღწერილობით ნაწილში, სხვა მონაცემებთან ერთად, მიეთითება საგამოძიებო ექსპერიმენტის მიზანზე, მის ჩატარების ადგილსა და დროზე, მეტეოროლოგიურ პირობებზე, ექსპერიმენტის ჩატარების ვითარებაზე, ექსპერიმენტის ობიექტებზე და მათ განლაგებაზე ექსპერიმენტის დაწყების მომენტში. ოქმის აღწერილობით ნაწილში დაფიქსირდება აგრეთვე ექსპერიმენტში მონაწილე პირთა შესახებ, მათ როლზე.

ოქმში განსაკუთრებით დაწვრილებით უნდა იყოს აღწერილი იმ ცდების შესახებ, რომლებიც ტარდება. მათი შესრულების თაობაზე და პირობების შესახებ. აქვე ხაზი უნდა გაესვას, თუ რა პირობებში და რამდენჯერ განმეორდა ცდები და იმ შედეგს, რაც დადგინდა ექსპერიმენტის ჩატარების შედეგად.

ოქმის აღწერილობით ნაწილში უნდა მიეთითოს, თუ რა სახის ტექნიკური საშუალებები იყო გამოყენებული, რა მიზნით იყო გამოყენებული, ტექნიკური საშუალების მონაცემები და დამდგარი შედეგები.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის დასკვნით (სარეზოლუციო) ნაწილში მიეთითება იმ განცხადებათა და შუამდგომლობათა შესახებ, რომლებიც აღძრულ იყო ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირების მიერ და ამ საკითხზე გამომძიებლის გადაწყვეტილება. აქვე უნდა იყოს მითითებული იმ საგანთა თაობაზე, რომელიც ამოღებული იყო ექსპერიმენტის ჩატარების შედეგად, მათი შეფუთვისა და დალუქვის შესახებ, აგრეთვე საგამოძიებო ექსპერიმენტის დაწყებისა და დამთავრების დროზე, იმ შემთხვევაში თუ საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილე პირები გაფრთხილებული იყვნენ გამოძიების მონაცემების გაუხმაურებლობის შესახებ და მათ ჩამოერთვათ სათანადო ხელწერილი ამის შესახებ, ეს მიეთითება ოქმის დასკვნით ნაწილში.

ნოემბერი 1934 წელი

## ადვოკატის მონანიშნობა პატრისტრიანსპორტო დანაშაულობათა საქმეების სასამართლო განხილვაში

როგორი მძიმე შედეგითაც უნდა დამთავრდეს ავტოსაგზაო შემთხვევა, იგი მიეკუთვნება გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულთა კატეგორიის და მძღოლები ისჯებიან საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის, კოდექსის 241-ე მუხლით, რომელიც 4 ნაწილისაგან შედგება და ითვალისწინებს სამიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას. დამნაშავე პირი, რომელსაც პირველად ედება მსჯავრი, სასჯელს იხდის დანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებაში, ხოლო ისინი ვინც სატრანსპორტო საშუალებას მართავდა ნასვამ მდგომარეობაში ან მიატოვა დაზარალებული დახმარების გარეშე, სასჯელს იხდიან განზრახ დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონიაში.

ამ კატეგორიის საქმეთა გამოძიება-განხილვა თავისი სპეციფიკურობით უპარესად რთულია, რადგან არცოდნით ან უბრალოდ დაშვებული შეცდომით შეიძლება დამნაშავე პირი იოლად დაუხსლტეს მართლმსაჯულებას, ხოლო უდანაშაულო ადამიანი მოხვდეს საბრალდებო სკამზე.

სამწუხაროდ, პრაქტიკამ დაგვიანხა, რომ ყველა გამოძიებელი, მოსამართლე, ადვოკატი თუ სამართალდამცავი დარგის სხვა მუშაკები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არიან დაკავშირებული ასეთი კატეგორიის საქმეთა გამოძიება-განხილვასთან, ყოველთვის როდი იჩენენ ღრმა სპეციალურ ცოდნას. ისინი შემთხვევის ადგილზე თუ სასამართლო პროცესზე ყოველთვის ვერ ატოვებენ ან არ ატოვებენ იმ საჭირო მონაცემებს, რომლებსაც არსებითად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

ზემოაღნიშნულის გამო დადგენილია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოებში და საკასაციო ინსტანციაში ასეთი კატეგორიის საქმეების განხილვა და მოხსენება უნდა დაევალოთ გამოცდილ მოსამართლეებს, აგრეთვე უნდა მოიწვიონ ისეთი მსაჯულები, რომლებმაც იციან გზებზე მოძრაობის წესები და იცნობენ ტრანსპორტზე მუშაობის სპეციფიკურ პირობებს.

სამართალდამცავი ორგანოს ყველა მუშაკი, ვინც ასეთი კატეგორიის საქმეებს იხილავს, ვალდებულია გადაწყვიტოს სამი ძირითადი საკითხი:

1. ტექნიკური თვალსაზრისით, შეიძლებოდა თუ არა საგზაო შემთხვევის

თავიდან აცილება სატრანსპორტო საშუალების გაჩერებით ან მანევრირების საშუალებით?

2. სატრანსპორტო საშუალების მძღოლს აქვს თუ არა დარღვეული გზაზე ზე მოძრაობის წესები?

3. რა მიზეზობრივ კავშირშია ეს დარღვევა მომხდარ საგზაო შემთხვევასთან?

იმისათვის, რომ სწორად დადგინდეს საგზაო შემთხვევის მექანიზმი და სრულყოფილად გადაწყდეს ეს სამი რთული საკითხი საჭიროა, თითოეულ მათგანზე დადგინდეს ძირითადი მონაცემები, რომლებიც უნდა შეგროვდეს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმიდან, ცნობიდან, სქემიდან, ტრანსპორტის ტექნიკური დათვალიერების ოქმიდან, აგრეთვე, უნდა დადგინდეს შეჯახების წესდგად მოწყვეტილი კვანძებისა და ნაწილების დავარდნის, ჩამონახარის მიწის ნაწილაკებისა და მინის ნამსხვრევების გაფანტვის, გვამის ადგილის კოორდინატები, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოწმეთა ჩვენებებსა და ექსპერტთა დასკვნებს. ყველაფერი ეს უნდა შეჯერდეს შესაბამის სპეციალურ ცნობარებსა და ცხრილებთან.

ავტონისპექციის და გამომძიებლის მისვლამდე, ხშირად, სხვა მანქანების მძღოლები და მგზავრები ავარიაში მონაწილე სატრანსპორტო საშუალებათა, მოგლეჩილი კვანძების და ნაწილების გადაადგილებას ახდენენ დაზარალებულებს დახმარებისა და სავალი გზის განთავისუფლების მიზნით. აღდგენილი მოძრაობით იშლება ყოველგვარი კვალი და ძნელი ხდება შემთხვევის მნახველი ძირითადი მოწმეების მონახვა, იკარგება შეჯახების ადგილის კოორდინატები, რაც დიდად აფერხებს საქმის ობიექტურ გამოძიებას და საგზაო შემთხვევის სწორად დადგენას.

შემთხვევის ადგილზე მისული გამომძიებელი და ავტონისპექტორი, მეტწილად მძღოლებისა და საგზაო შემთხვევის სხვა მონაწილეთა დაუსწრებლად, აღგენენ საგზაო შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს, საგზაო შემთხვევის ცნობას და სქემას, ავარიაში მონაწილე ტრანსპორტის შემოწმებისა და ტექნიკური დათვალიერების ოქმს, ობიექტური მიზეზების გამო, ისინი ყოველთვის ვერ ახერხებენ შემთხვევის ადგილის ფოტოგრაფირებას და ზომების ხელსტად აღებას. ხშირ შემთხვევაში, ზომებს იღებენ სავარაუდო მონაცემებით, მაშინ, როცა ყოველ სანტიმეტრს გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. სიჩქარეში, ზუნებრივია, სრულყოფილად არ ხდება ხილული და უხილავი კვალის დაფიქსირება.

ასეთი კატეგორიის საქმეებში ადვოკატი მაშინ ჩაერთვება ხოლმე, როცა ყველა სავამოძიებო მოქმედება თითქმის დამთავრებულია. შედგენილია შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, სქემა და საგზაო შემთხვევის ცნობა. შემოწმებულია ავტოსაგზაო შემთხვევაში მოხვედრილი სატრანსპორტო საშუალებები, უკვე გადატანილია საჯარიმო მოედანზე ან პატრონებს წაღებული აქვთ სახლში, ერთი სიტყვით, პირველადი დოკუმენტები ძირითადად გაფორმებულია და ზოგ შემთხვევაში ავტოტრასოლოგიური და ავტოტექნიკური ექსპერტიზაც კი ჩატარებულია. ასე რომ, უკვე გამოკვეთილია მძღოლის ბრალეულობა.

ადვოკატებს სრულყოფილი იურიდიული დახმარების გაწევა მაშინ შეუძლიათ, თუ იციან მოძრაობის წესები, იცნობენ საავტომობილო ტექნიკას და ტრანსპორტზე მუშაობის პირობებს, ერკვევიან შემთხვევის ადგილზე შედგენილ



პირველად დოკუმენტებში, შესწევთ უნარი აღმოაჩინონ და სწორად გააანალიზონ შემთხვევის ადგილზე და ავარიის მოხვედრილ ტრანსპორტზე დაზარალებული ხილული და უხილავი კვალი, მათი წარმოშობის პირობები და კავშირი. მოსახვევში ერთმანეთს შეეჯახა „მოსკვიჩი“ და „ვოლგა“. „მოსკვიჩის“ მძღოლი ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო მეორე მძღოლი, მიღებული დაზიანების გამო, მოათავსეს საავადმყოფოში. შემთხვევის ადგილზე მისულმა ავტომობილ-პექტორმა და გამომძიებელმა მძღოლებისა და სხვა დაზარალებულების დაუსწრებლად გააფორმეს პირველადი დოკუმენტები, ზეთის დაღვრის ადგილზე ასფალტი ამოტეხეს და ნატეხები შორს გადაყარეს, რითაც ხელოვნურად მოისპო მტკიცებისათვის მეტად მნიშვნელოვანი კვალი. ტრანსპორტის ტექნიკური შემოწმებით დადგინდა, რომ „ვოლგას“ გატეხილი ჰქონდა ზეთის რადიატორი. წინასწარმა გამოძიებამ, ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, სარწმუნოდ მილო ზეთის დაღვრის ადგილი შეჯახების ადგილად და საქმე „ვოლგის“ მძღოლის მიმართ საბრალდებო დასკვნით წარმართა სასამართლოში. სამსჯავრო სხდომის დროს დადგინდა, რომ დაზარალებულებისათვის დახმარების მიზნით, ავტომობილები გადაუადგილებიათ და ზეთის დაღვრის ადგილზე იდგა უკვე „მოსკვიჩი“. „ვოლგის“ მძღოლის დამცველმა ადვოკატმა იშუამდგომლა, რათა გარკვეულიყო, თუ რომელ მანქანას ეკუთვნოდა ზეთი. საქმე დაბრუნდა დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად, მაგრამ ზეთის დაღვრის ადგილზე ამოტეხილი ასფალტის ნატეხები ვერ იპოვეს, ზეთის შემოწმება ვერ დადგინდა და საქმე შეწყდა წარმოებით.

საგზაო შემთხვევის მოწმეს, როგორი ობიექტურიც უნდა იყოს, არ შეუძლია, ერთდროულად განსაზღვროს ავტომობილისა და ქვეითად მოსიარულის მოძრაობის სიჩქარე, მათ მიერ განვლილი მანძილები, ავტომობილის დაშორების მანძილი დაჯახების ადგილამდე, დაჯახების მომენტი და მძღოლის მანევრირება. ცხადია, მოწმე ყოველივე ამისათვის მზად არ არის და მის მიერ მოცემულ მონაცემებზე ჩამოყალიბებული საქმე ყოველთვის ზუსტი როდი იქნება. ამას ისიც ემატება, რომ ზოგჯერ, დაინტერესებული გამომძიებელი ადვილად აცვლევიანებს ჩვენებას მოუმზადებელ მოწმეს.

ავტოსაგზაო შემთხვევების საქმის განხილვა მოითხოვს სპეციალურ პროცესიულ ცოდნას. ამიტომ ამ კატეგორიის საქმეებზე დიდად მნიშვნელოვანია ავტოტრასპოლოგიური და ავტოტექნიკური ექსპერტიზების დასკვნები. ამაშიად საქართველოში ამ სახის ექსპერტიზას ატარებენ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული ცენტრალური სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორია, სოხუმის, ბათუმის და ქუთაისის ფილიალები, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ-ტექნიკური განყოფილების ექსპერტება. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საავტომობილო კათედრის თანამშრომლები, რაიონების შინაგან საქმეთა განყოფილებების კრიმინალ-ექსპერტები. ამათგან ყველას არ გააჩნია ავტოსაინჟინრო, და რაც მთავარია, ავტოექსპერტისათვის აუცილებელი განათლება, ამიტომ, არა აქვთ დასკვნაზე ხელმოწერის უფლება, არ იცნობენ და ზოგ შემთხვევაში კი ექსპერტიზის ჩატარების დროს განზრახ არ იყენებენ კვლევისათვის საჭირო რეკომენდირებულ მეთოდს და ამდენად, სწორად ვერ პასუხობენ დასმულ კითხვებზე.

ადვოკატი, რომელიც ასეთი კატეგორიის საქმეების დაცვას კისრულობს, დეტალურად უნდა გაეცნოს ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებას, გაარკვე-

ოს, როგორ მონაცემებს აძლევს გამოძიებელი და საიდანაა აღებული ეს მონაცემები. არსებული ინსტრუქციის თანახმად, ექსპერტები ხელმძღვანელობენ ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებაში აღნიშნული მონაცემებით, მათ არა აქვთ უფლება, თვითნებურად აიღონ კვლევისათვის საჭირო მონაცემები. საქმის მასალებიდან ისინი ღებენ მხოლოდ ტექნიკური ხასიათის მონაცემებს, არსებული წესისამებრ კი დასკვნის დაწერის დროს მათ უნდა იხელმძღვანელონ მეთოდური რეკომენდაციით და სპეციალური ცნობარებით, ექსპერტებმა უნდა უპასუხონ კითხვებზე იმ თანმიმდევრობით, როგორც დადგენილებაშია აღნიშნული. ექსპერტს არა აქვს უფლება თვითნებურად აიღოს კვლევისათვის საჭირო მონაცემები ან შეცვალოს დასმული კითხვის რიგითობა და შინაარსი.

ავტორტექნიკური ექსპერტის დასკვნა შედგება სამი ნაწილისაგან:

1. შესავალი ნაწილი — აქ მოცემულია ექსპერტის სატიტულო მონაცემები, ექსპერტის წინაშე გადასაწყვეტად დასმული საკითხები, მონაცემები, რომლებითაც ხელმძღვანელობდა ექსპერტი დასკვნის გაცემის დროს და სხვა შენიშვნები.

2. კვლევითი ნაწილი — აქ ასახულია საგზაო შემთხვევის მოკლე შინაარსი და თითოეული კითხვის მიხედვით თანმიმდევრობით ჩატარებული კვლევის მეთოდი.

3. დასკვნითი ნაწილი — სადაც აქ დასმულ კითხვებზე თანმიმდევრობით მოცემულია კონკრეტული პასუხები.

საქართველოს რესპუბლიკის სსსკ 70-ე მუხლის მიხედვით „ექსპერტიზა დანიშნება იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის გამოძიების ან სასამართლოში განხილვის დროს საჭიროა მეცნიერული, ტექნიკური ან სხვა სპეციალური ცოდნა. ექსპერტების დასკვნები სავალდებულო არ არის სასამართლოსათვის. პროკურორისათვის, გამოძიებლისა და მომკვლევე პირისათვის, მაგრამ თუ ისინი არ ეთანხმებიან დასკვნას, ეს მათ უნდა დაასაბუთონ შესაბამისად დადგენილებაში, განჩინებასა და განაჩენში“. საქმეც სწორედ ის არის, რომ ისინი ხშირად ვერ ფლობენ საავტომობილო ტექნიკას და კვლევის მეთოდს, ამიტომაც, იძულებული არიან, ყოველგვარი კრიტიკისა და შემოწმების გარეშე, ეს დასკვნები საფუძვლად დაუდონ საბრალდებო დასკვნას, განჩინებასა თუ განაჩენს.

ადვოკატმა, როგორც პროცესის მონაწილემ, უნდა იკისროს დასკვნების გაკრიტიკება და შემოწმება. ამიტომ, საქმის მასალების გაცნობის შემდეგ, აუცილებელია, თვითონ მივიდეს შემთხვევის ადგილზე და პირადად დაათვალიეროს ავარიის მონაწილე ავტომობილები, გაარკვიოს მათზე დარჩენილი კვალი და გამოარკვიოს რამ წარმოშვა ავარია, საგზაო შემთხვევის სქემის მიხედვით გააკეთოს მონახაზი, თუ სად მოხდა დაჯახება, სად გაჩერდა შეჯახების შემდეგ ავტომობილი, სად იყო დავარდნილი დაზარალებული და სხვა ნივთმტკიცებანი, ავტომობილებიდან ჩამოცვენილი მიწის ნაწილაკები, მინის ნამსხვრევები, სად დაიღვარა ზეთი და წყალი, საიდან იწყებოდა და სად მთავრდებოდა დამუხრუჭების კვალი, როდის მოხდა დაჯახება — სამუხრუჭე კვალის დასაწყისში, სამუხრუჭე კვალის ბოლოს, თუ დამუხრუჭების დაწყებიდან მოშორებით. შემთხვევის ადგილზე გასულ ადვოკატს აუცილებლად შეექმნება თავისი სუბიექტური წარმოდგენა მომხდარი საგზაო შემთხვევის ირგვლივ. რაც დიდად დაეხმარება სასამართლო პროცესზე დაცვის ფუნქციების განხორციელებაში.

# ბრალდებულის დაცვის უფლება

## სასამართლოს განმეხსრიგებელ სხდომაზე

დაცვის უფლება არსებითია ყველა იმ უფლებათა შორის, რომელიც, ბრალდებულს გააჩნია, რადგან ამ უფლების სრულყოფილად განხორციელებაზე დამოკიდებული ყველა დანარჩენი უფლების ფაქტობრივი რეალიზაცია.

ცნობილია, რომ დაცვის უფლება შეიძლება ბრალდებულმა განახორციელოს როგორც პირადად, ასევე დამცველის მეშვეობით. დაცვის უფლება მოქმედებს იწყებს კონკრეტული პირის, ექვემდებარების სახით დაკავების მომენტიდან და საბოლოოდ რეალიზდება სისხლის სამართლის საპროცესო საქმიანობის და შესაბამისი პროცესუალური ურთიერთობის დამთავრებასთან ერთად.

ბუნებრივია, რომ ბრალდებული ამ უფლებით აღჭურვილია სასხლის სამართალწარმოების ყველა სტადიაზე. ამ მხრივ რაიმე გამოწვევისა არ არსებობს, ქაგრამ, სამწუხაროდ, სამართალში მიცემის სტადიაზე ბრალდებულის დაცვის უფლების ჩეროვანი უზრუნველყოფა ვერ ხერხდება. მსეველობაში გვაქვს სამართალში მიცემა სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაზე (ცნობილია, რომ სამართალში მიცემა ასევე ხორციელდება მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად), რადგან განმწესრიგებელ სხდომას არა თუ ბრალდებული, არამედ მისი დამცველიც კი არ ესწრება. როგორც სასამართლო პრაქტიკა მოწმობს, უმნიშვნელოა სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაზე თავიანთი შუამდგომლობის საფუძველზე დამცველთა დასწრების რაოდენობა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როგორც წესი, შუამდგომლობას აღძრავს მხოლოდ ის დამცველი, რომელიც უკვე გაეცნო საქმეს. ამიტომ თუ დამცველი არ ღებულა მონაწილეობას წინასწარ გამოძიებაში, იგი კანონის შესაბამისად სამართალში მიცემის სტადიაზე ვერ გაეცნობა საქმეს და, ბუნებრივია, ვერც შუამდგომლობას აღძრავს ამ სტადიაზე. ეს გარემოება გარკვეულწილად კანონის ხარვეზად უნდა ჩაითვალოს.

კანონის მიხედვით, როგორც უკვე აღინიშნეთ, დამცველის მონაწილეობა განმწესრიგებელ სხდომაზე არ არის საავალდებულო, ხალის რაც შეეხება პროკურორს, საქართველოს რესპუბლიკის სსკ 227-ე მუხლის შესაბამისად, მისი მონაწილეობა სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაზე საავალდებულოა.

პროცესუალური იტერაქტურაში განმწესრიგებელ სხდომაზე პროკურორის პროცესუალური მდგომარეობის შესახებ სხვადასხვა აზრია გაითქმული. პროფ. ა. ფელიაშვილი თვლის, რომ განმწესრიგებელ სხდომაზე პროკურორი გამოდის როგორც შედამხედველობის განმხორციელებელი ორგანოს წარმომადგენელი და არა როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. ამ აზრს იზიარებენ ი. მ. გალპერინი, ვ. ზალუქაშვილი და სხვები. პროფ. მ. სტოიკოვიჩის აზრით, განმწესრიგებელ სხდომაზე პროკურორი არ უჭერს მხარს ბრალდებას, ამ წესით, როგორც ეს ხდება სასამართლო სხდომაზე, მაგრამ განმწესრიგებელ სხდო-

1. ა. ფელიაშვილი, ბრალდებულის სამართალში მიცემა, უკრნ, სტატიის სამართალი, 1984, № 6.



მაზე იგი ფიგურირებს სწორედ როგორც სახელმწიფო ბრალდებული, მსგავსად დამცველისა, რომელიც თუკი დაშვებულია. განმწესრიგებელ სხდომაზე მონაწილეობს სწორედ როგორც დამცველი, თუმცა ის აქ არ ახორციელებს დაცვას იმ წესით, როგორც ეს ხდება სასამართლო განხილვისას.

მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურაში არ არის ერთგვაროვანი აზრი განმწესრიგებელ სხდომაზე პროკურორის პროცესუალური მდგომარეობის შესახებ, ფაქტია, რომ მისი მონაწილეობა სავალდებულოა განმწესრიგებელ სხდომაზე, სადაც იგი იძლევა დასკვნას შუამდგომლობათა განხილვასთან დაკავშირებით. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია დამცველის სავალდებულო მონაწილეობა განმწესრიგებელ სხდომაზე, რადგან ბრალდებულისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე საკითხების განხილვა არ შეიძლება მიმდინარეობდეს დაცვის მექანიზმის იგნორირების შირობებში.

აღნიშნულ საკითხზე ჩვენი მოსაზრება ერთგვარად ემთხვევა გ. ყოლბაის მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს.<sup>2</sup> კერძოდ, სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაზე პროკურორი არა მარტო ასაბუთებს თავის დასკვნას, არამედ გამოთქვამს თავის მოსაზრებებს ამ სტადიაზე გამოსარკვევ ყველა საკითხზე (საქართველოს რესპუბლიკის სსსკ 230-ე მუხლი) და აგრეთვე საქმის სასამართლო სხდომაზე განსახილველად მომზადებასთან დაკავშირებით გადასაწყვეტ საკითხებზე (სსსკ 231-ე მუხლი).

ამიტომ, მოსამართლე რომ სრულყოფილად გაერკვეს წინასწარი გამოძიების მასალებში, მან უნდა მოისმინოს არა მხოლოდ პროკურორის მოსაზრებები (რომელიც უმთავრესად გამოიხატება ბრალდებულის სამართალში მისაცემად საქმარისი საფუძვლის არსებობის შესახებ სასამართლოს დარწმუნებაში), არამედ აუცილებელია მან მოისმინოს დამცველის მიერ გამოთქმული ბრალდებულის სასარგებლო მოსაზრებებიც. მოსამართლე ხომ „პროკურორისა და დამცველის დახმარებით აღიქვამს საქმის გარემოებებს; მსგავსად ადამიანისა, რომელიც იხედება სტერეოსკოპში ორივე თვალით, რომელთაგან თითოეული ხედავს სავანს თავისი პოზიციით, რის შედეგადაც ეს საგანი ჩანს არა მხოლოდ სიბრტყით გამოსახულებაში, არამედ როგორღაც რელიეფურად, განვრცობილად, ღრმად“.

ბრალდებისადმი და საერთოდ წინასწარი გამოძიების მასალებისადმი დამცველის კრიტიკულმა მიდგომამ შესაძლებელია გამოავლინოს ისეთი გარემოებები, რომლებიც ბრალდებულის სამართალში მიცემას ხელს შეუშლიან. ამიტომ, ვფიქრობთ, აუცილებელია მოსამართლემ მოისმინოს როგორც პროკურორის, ასევე დამცველის მოსაზრებები განმწესრიგებელ სხდომაზე განსახილველ საკითხებზე და მათი შეჯერების საფუძველზე მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმ ოთხი შემთხვევიდან, რომელთა არსებობისას კანონით აუცილებელია ბრალდებულის სამართალში მიცემა განხორციელდეს განმწესრიგებელ სხდომაზე (ლიტერატურაში უამოთქმულია მოსაზრებები სამართალში მიცემა განმწესრიგებელ სხდომაზე განხორციელდეს ყველა საქმეზე), ორ შემთხვევაში დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში კერძოდ, საქართველოს რესპუბლიკის სსსკ 44-ე მუხლის შესაბამისად არასრულწლოვანთა საქმეებზე, აგრეთვე იმ პირთა საქმეებზე, რომლებსაც ბრალად ედებათ ისეთი დანაშაულის ჩადენა,

<sup>2</sup> Г. Колбая, Предание суду: пути преодоления формализма, «Соц. законность», 1988, № 10, стр. 17.



როგორცაა სასჯელის ზომად შეიძლება დაინიშნოს სიკვდილით დასჯა და დამცველის მონაწილეობა სისხლის სამართალწარმოებაში სავალდებულოდ მაგრამ რატომღაც კანონის ეს მოთხოვნა სამართალში მიცემის სტადიაზე (მხედველობაში გვაქვს სამართალში მიცემა განმწესრიგებელ სხდომაზე) უსაფუძვლოდ არის უფლებებელყოფილი.

რაც შეეხება კიდევ ორ შემთხვევას, როცა მოსამართლე არ ეთანხმება ბრალდებო დასკვნას და როცა მოსამართლეს მიაჩნია, რომ ბრალდებულის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება უნდა შეიცვალოს ან გაუქმდეს, ბუნებრივია, აღნიშნული საკითხების განხილვისას დამცველის მონაწილეობა და მისი განმარტება ამ საკითხებზე განუზომლად დიდ როლს შეასრულებს ბრალდებულის დაცვის უფლების საფუძვლიანად რეალიზებაში და გარკვეულწილად ხელს შეუწყობს წინასწარ გამოძიებაში დაშვებული შეცდომების გამოსწორებას სამართლო განხილვის სტადიამდე. მართალია, ბრალდებულის ბრალეულობის საკითხის განხილვა სასამართლო პრეროგატივია და ამდენად, ამ სტადიაზე არ ხდება მისი განხილვა. ასევე, აქ არც მტკიცებულების შეფასება ხდება მათი სარწმუნოების თვალსაზრისით, მაგრამ გარკვეული ანალიზი ხომ კეთდება ბრალდებულის სამართალში მიცემისათვის ფაქტობრივი მონაცემების საკმარისობის დასადგენად. ამიტომ ბრალდებულისათვის უაღრესად განსაკუთრებულ მომენტში, როცა იგი შეიძლება გახდეს ან არ გახდეს სამართალში მიცემული (განსასჯელი), მეტად დიდ მნიშვნელობას იძენს მისი დაცვის უფლების რეალური განხორციელების გარანტია, სწორედ ასეთ გარანტიად გვესახება განმწესრიგებელ სხდომაზე დამცველის მონაწილეობა.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რათა კოლეგიალურად სამართალში მიცემა განხორციელდეს არა მხოლოდ კანონში მითითებული საფუძვლების არსებობისას, არამედ ყველა შემთხვევაში, როცა ამას საჭიროდ ჩათვლის მოსამართლე, ბრალდებულის, დამცველი და პროცესის სხვა მონაწილე.<sup>4</sup>

ანასთან, ვერ დავეთანხმებით ი. ასტაფიევს, როცა იგი აღნიშნავს, რომ დამცველი პირობად უნდა მონაწილეობდეს მხოლოდ მისი ინიციატივით ჩატარებულ განმწესრიგებელ სხდომაზე, რადგან, ჩვენი აზრით, ბრალდებულის რეალური დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, დამცველი განმწესრიგებელ სხდომაზე უნდა მონაწილეობდეს ყველა შემთხვევაში, ვისი ინიციატივითაც უნდა ჩატარდეს იგი.

საგულისხმოა, ერთი მომენტიც, დღეს დამცველი საქმეში მონაწილეობს უკვე ექვმიტანილის დაკავების მომენტიდან. ხოლო გამოძიების დამთავრების შემდეგ სამართალში მიცემის სტადიის გვერდის ავლით მონაწილეობს სასამართლო განხილვის სტადიაზე, ვფიქრობთ, რომ ეს ერთგვარი ვაკუუმი აუცილებლად უნდა შეივსოს, რადგან დამცველის სავალდებულო მონაწილეობა განმწესრიგებელ სხდომაზე გააძლიერებს ბრალდებულის დაცვის უფლებას და როგორც უკვე აღვნიშნეთ, იქნება მისი რეალური განხორციელების გარანტი. ასევე ეს გარკვეულწილად ხელს შეუწყობს აღნიშნული სტადიისადმი ფორმალური მიდგომის აღმოფხვრასაც, რაც სამწუხაროდ დღემდე შეიმჩნევა.

3 ცნობილია, რომ 1992 წლის 21 თებერვალს საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ მოახდინა 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენის დეკლარაცია. აღნიშნული კონსტიტუცია სიკვდილით დასჯას გაუქმებულად აცხადებს.

4 Ю. Астафьев, Стадия предания суду нуждается в совершенствовании, в журн. «Советская юстиция», 1989, № 9, с. 23.



ზაბი აბაიელი

# უფლება

რომაელები ამბობდნენ: *Omne jus hominum causa constitutum est.*<sup>1</sup> ადამიანის უფლებების აღიარება, მათთვის იურიდიული მნიშვნელობის მიწება სამართლის ჰუმანური, მისი არსების გამამართლებელი მიზანია.

სამართლის მეცნიერება მოწოდებულია თეორიულად განსაზღვროს უფლების არსი, მისი ბუნება, რასაც ლოგიკურად უკავშირდება მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი — უფლებისა და სამართლის დამოკიდებულების საკითხი.

ჩვენი მიზანია უფლების რაობის შესახებ თეორიების ანალიზი. გზადაგზა შევეხებით სამართალთან უფლების მიმართულების საკითხსაც.

იურისპრუდენციის აკვანი რომია. მან მოგვცა სამოქალაქო სამართლის, ესე იგი სამოქალაქო უფლებების სისტემა, რომლის საფუძველზე თეორიული დასკვნები უნდა აგებულიყო.

მაგრამ უფლების რაობის შესახებ ასეთი ფილოსოფიური თეორია რომში არ შექმნილა. ამის მიზეზი, ერთის მხრივ ისაა, რომ რომაული აზროვნება განყენებული იურიდიული პრობლემებით დაინტერესებული არ ყოფილა; მეორეც, როცა რომაელები იურიდიულ ურთიერთობებს განიხილავდნენ, მათ არ აინტერესებდათ ურთიერთობის პირველი ელემენტი — უფლება, მათი განსაკუთრებული ინტერესის საგანს მეორე ელემენტი — მოვალეობა შეადგენდა.

ეპოქაში, როცა სამართალი რკინის დისციპლინით აერთიანებდა ხალხს, რომელი იურისტებისათვის უფლებაზე უფრო მნიშვნელოვანი მოვალეობა იყო, რომლითაც იბოჰებოდა ადამიანი. *Juris vinculum* — სამართლის კვანძი, ბოჩკილი — იმ დროის ტიპური გამოთქმაა.

უფლების რაობაზე პირველ თეორიულ შეხედულებათა ძეგლაში დიდი ქრონოლოგიური ნაბრძანის გაკეთება მოგვიწევს — თერმეტი საუკუნის გაველა დღემდელით.

XVII-XVIII საუკუნეებში ბუნებითი სამართლის ცნობილი სკოლა წარმოიშვა, რომელმაც უფლების პრობლემას თავისებური პასუხი გასცა. ამ სკოლას მრავალი წარმომადგენელი ჰყავდა. უფლების ბუნებისადმი მათ აერთიანებდათ სამი საერთო ტენდენცია: პირველი, უფლება ადამიანში იშთავითვე არსებული, ბუნებრივი მოვლენაა, რომელიც ადამიანს მისი ადამიანობის გამო

<sup>1</sup> ყოველი სამართალი დაწესებულია ადამიანის სასიკეთოდ (ლათ.)

გააჩნია. მეორე, უფლებები, ამავე დროს, ნაკარნახევია ზნეობრივი ნორმებით. ისინი ზნეობრივად სასურველი და უშუალოდ ზნეობრივი ნორმებიდან გამომდინარეობს; მესამე, ბუნებითი უფლებების შინაარსს უმთავრესად თავისუფლებები და მათი გარანტიები შეადგენს.

ბუნებითი სამართლის სკოლის ყველაზე ტიპურ წარმომადგენლად იმანუილ კანტი მიმაჩნია, რადგან მესამე ტენდენცია წითელი ძაფივით ვასდევს მის მოძღვრებას. ჩვეულებრივ, კანტი არ ითვლება ამ სკოლის ტიპურ წარმომადგენლად.

არის ორი რამ ამ ქვეყანაზე, რაც ჩვენს სულს მუდამ აღტაცებით და გაკვირვებით ავსებს — ამბობს კანტი — ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩვენს ზემოთ და მორალური კანონი ჩვენში. შესაბამისად არსებობს ორგვარი კანონმდებლობა — ბუნების და ზნეობის. რომელი კანონმდებლობის სფეროს განეკუთვნება სამართალი? ცხადია, ზნეობრივის. ის ნაწილია ზნეობრივი სამყაროსი. სამართალი არ არის ფიზიკური აუცილებლობის ნაკადში გამოხატული. იგი თავისუფლების კატეგორიის ერთ-ერთი გამოვლინებაა. თავისუფლების კანონებს შეისწავლის ეთიკა. მაშასადამე, სამართალიც უშუალოდ მასთან ყოფილა დაკავშირებული; მაგრამ — არა ყოველი სამართალი, არის დადებითი, კონკრეტული სამართალი, რომელიც ნიადაგ იცვლება დროის და ადგილის მიხედვით. მის სავალდებულობას გარეგანი კანონმდებლობა ქმნის, მისი ასრულების მოტივი გარეგანი იძულება. მაგრამ, არსებობს მეორე, საყოველთაო, მარადიული, ბუნებითი სამართალი, რომლის წყარო გონებაა; მისი სავალდებულობა შეგნებულა თავისუფალი, კეთილი ნებით, ყოველგვარი გარეგნული იძულების გარეშე და სრულდება კანონისადმი წმინდა პატივისცემის გრძნობის გამო. ასეთია ბუნებითი სამართალი, სწორედ ამავე ნიშნების მატარებელია კანტის ზნეობრივი კანონი.

საინტერესოა, როგორ შეესაბამება ზემოხსენებულ წინამძღვრებს ბუნებრივი უფლება. სამართალი — ამბობს კანტი — ისეთი პირობების ერთიანობაა, რომლის შემწეობით შეიძლება ვინმეს თვითნებითი (გარეგანი, მოქმედებით) თავისუფლება შევუსაბამოთ სხვის თავისუფლებას საყოველთაო კანონის თანახმად. ამიტომ ჩემი მოქმედების თავისუფლება მხოლოდ მაშინ არის ბუნებითსამართლებრივი ხასიათის, თუ იგი ხელს არ უშლის სხვის თავისუფლებას საყოველთაო კანონის თანახმად.

უფლება პირის გარეგანი თავისუფლებაა. ეს არის ერთადერთი, იმთავითვე მოცემული უფლება, რომელიც ადამიანს ეკუთვნის მისი ადამიანობის გამო.

კანტს თავისუფლების ძირითადი უფლებებიდან ანალოგიურად გამოჰყავს სხვადასხვა უფლებები — თანასწორობა, ადამიანის *sui juris*-ად აღიარება — ყოველივე ის, რასაც ახლა პიროვნების უფლებებს ვუწოდებთ.

მას შემდეგ, რაც ბუნებითი სამართლის სკოლამ სცადა აეხსნა უფლების არსი აუცილებელი და მარადიული მორალის მიხედვით, საკაცობრიო აზროვნება, თითქოს მართლა დიალექტიკური აუცილებლობით, საწინააღმდეგო პოზიციას იჭერს უფლების ბუნებისადმი. სამართალი საზოგადოდ, და უფლება კერძოდ, არ უნდა ვეძიოთ განყენებული ეთიკის სამყაროში. სამართალი ისაა, რაც უშუალოდ არსებობს, მოქმედებს და ხორციელდება ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამიტომ, თუ უფლების ჰუმანიტარი ბუნების ვაგება გვწადა, ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებას — როგორ და რა სახით ხორციელდება

დება სამართალი, რა ხასიათის ელემენტები იჩენს თავს სამართლის განხორციელებისას, ამ კითხვაზე ურთიერთგანსხვავებულ პასუხს იძლევა იურისპრუდენციის ორი ცნობილი ავტორიტეტი — ვინდშაიდი და იერიინგი.

ყოველი უფლება იმითომ ხორციელდება, — ამბობს ვინდშაიდი, — რომ პირს სურს იმის ასრულება, რაც მის სასარგებლოდ ობიექტური ნორმითაა დაწესებული, სურვილი და აქტივობა იგივე ნებაა. მაშასადამე, უფლება ანუ ნება ყოფილა განსაზღვრული შინაარსის ძალა, რომელსაც პირს აკუთვნებს ობიექტური სამართალი. სამართალი შიიჩნევს, რომ უფლებამოსილი პირის ნება გადამწყვეტია მოვალე პირის ნებისათვის და უკანასკნელმა თავისი მოვალეობა უნდა შეასრულოს ობიექტური სამართლის დანაწესის და უფლებამოსილი პირის სურვილის მიხედვით. მაშასადამე, ობიექტური ნორმა იცავს — როგორც იერიინგი ფიქრობს — ინტერესისადმი მიმართულ ნებას.

შემდგომმა იურიდიულმა მეცნიერებამ გააკრიტიკა ვინდშაიდის თეორია, საყოველთაოდ ცნობილია ორი არგუმენტი. პირველი ეკუთვნის იერიინგს: ხშირად უფლებები გააჩნიათ ნებისყოფის არმქონეთ, მეორე არგუმენტი ტონისაა: ხშირად უფლება წარმოდგენილია ყოველგვარი ნების გარეშე; მაგალითად, წინათ ქმარი ცოლის მზითვის შესაკუთრე იყო; სულაც არ ჰქონდა მნიშვნელობა, სურდა თუ არა ეს ქმარს.

მეცნიერული თეორიის სასინჯი ქვა არის მისი შედეგები. იმის მიხედვით, თუ როგორ გაეიგებთ სამართალს, სამართლის სუბიექტის მიმართ სულ სხვადასხვა შეხედულება გვიჩნდება. ვინდშაიდის თეორია სწორედ ამის გამო სიძნელეებს აწყდება. ნება ვინდშაიდს სრულიად სხვადასხვანაირად ესმის, საბოლოოდ, ნება მისთვის კონკრეტული, ინდივიდუალური ფსიქიკის აქტია. თუ ეს ასეა, მაშინ როგორღა ავხსნათ სამოქალაქო სამართალში ისეთი სუბიექტების არსებობა, რომლებიც ფიზიკური პირები არ არიან, მაგრამ გააჩნიათ ინდივიდუალური ნება? ვინდშაიდის თეორიის სრული მოუხერხებლობა სწორედ სამართლის სუბიექტების ანალიზის ფონზე ჩანს. ვინდშაიდის თეორიით სახიფათო მდგომარეობაში ვარდება წარმომადგენლობის ინსტიტუტიც; თუ უფლება სხვა არაფერია, თუ არა ინდივიდუალური ნება, რომელიც ობიექტური ნორმის მიხედვით ხორციელდება, როგორ შეიძლება კონკრეტულად მოცემული ნების გადატანა, რომ წარმომადგენლობის დროს მეორე პირზე უფლების გადაცემა მოხდეს?



იერიინგი, ამ წინააღმდეგობებმა აიძულეს იურიდიული მეცნიერება უფლების ბუნების გასამკლავებლად სხვა გზა ეძია. პრობლემა ის კი არ არის, თუ რის შემწეობით ხორციელდება უფლება, არამედ ის, თუ რა ხორციელდება ნების შემწეობით.

ადამიანისა და საზოგადოების სულიერი ცხოვრებისათვის დამახასიათებელია მოხნების სისტემა, რომელსაც ისინი ახორციელებენ, მისაღწევი მიზანი არის ინტერესი. ობიექტური ნორმის ფუნქცია ინტერესის იურიდიული დაცვაა. იურიდიულად დაცული ინტერესი არის უფლება, თუმცა, ეს არ ნიშნავს, — ამბობს იერიინგი, — რომ ყოველი ინტერესი, რომელსაც ადამიანი ამწყუთიერ მიზნად დაისახავს, ობიექტურმა ნორმამ იურიდიულად დაიცვას და უფლებად აქციოს. ასე რომ იყოს, კანონმდებლობა ქაოტურ მასად გადაიქცეოდა. ყო-



ველი ინტერესი როდია იურიდიული დაცვის, ანუ უფლებად ქცევის დირექტორის საპროკურორის ინტერესების შერჩევა. იერიზგს შერჩევის კრიტერიუმად მიიჩნევა მხოლოდ ის ინტერესი, რომელიც მოცემული დროის და პირობებისათვის, კანონმდებლის მიერ ჩათვლილია დაცვის ღირსად. ესაა საშუალო ინტერესი Durchschnittsinteresse: — რომელიც უნდა წარმოვიდგინოთ დაახლოებით სტატისტიკის საშუალო რიცხვის ანალოგიით.

იერიზგის ეს მსჯელობა შინაგან წინააღმდეგობებს შეიცავს, რაზედაც სამართლიანად გაამახვილეს ყურადღება მისმა კრიტიკოსებმა. იერიზგი აღიარებს, რომ უფლება არის არა წარმავალი, არამედ საშუალო, ობიექტური ინტერესი, რომელიც დაცული უნდა იქნეს ნორმით.

კელზენის თვალსაზრისით, ამ დებულებით იერიზგი საკუთარი სისტემის ამოსავალ დებულებებთან უიმედო წინააღმდეგობებში ჩაეარდა, რადგან საშუალო ინტერესი უკვე აღარ არის ინტერესი. იგი მხოლოდ კერძო ინტერესების ურთიერთმიმართებაა განსაზღვრულ გარემოთა და პირობებში, გამოდის, რომ სამართალი იცავს არა ინტერესს, არამედ ამ ურთიერთმიმართებას. ასევე გამოდის, რომ უფლება ყოფილა არა დაცული ინტერესი, არამედ დაცული ურთიერთდამოკიდებულება ინტერესებისა. იერიზგის ძირითადი პრეზუმფციაა კი ის იყო, რომ სამართალი იცავს ადამიანის მიზნებს, მიზანი გამოხატულებას პოულობს ინტერესში, მიზანი სუბსტანციაა, ურთიერთდამოკიდებულება კი ვერასდროს მიზანი ვერ იქნება, რადგან იგი მიმართებითი კატეგორიაა და არა სუბსტანცია.

ტონის უმთავრესი შენიშვნა იერიზგის თეორიის მიმართ ისაა, რომ იერიზგი უფლებას ახასიათებს არაიურიდიული ცნებებით. უფლების იერიზგისეული ანალიზი არ არის იურიდიული. უფლება არის არა დაცული ინტერესი, არამედ ინტერესის დასაცავი საშუალება, რადგან ინტერესი, მიზანი სამართლის მიღმაა, სამართლის საშუალებაა და არა მიზანთა სისტემა. უფლება დაცვაა და არა დაცული. სადაც დაცვა თავდება, იქ იწყება მიღწეული ინტერესით სარგებლობა. ისე როგორც სხვაა მარანი და სხვაა ბოქლომი, რომლითაც მარანი იკეტება.

არის მეცნიერული კრიტიკის ზემომოხმობილი ავტორებისაგან განსხვავებული გზა და ჩვენ მას მივმართავთ, ესაა კრიტიკა თეორიის ამოსავალი წერტილებისა, მისი საფუძვლებისა, მიუხედავად იმისა, რომ ნების და ინტერესის თეორიები სხვადასხვა შინაარსისაა, მათი ამოსავალი წერტილი ერთია, ესაა შეურიგებელი პოზიცია ბუნებითი სამართლის სკოლისადმი. თავის წიგნში „ბრძოლა სამართლისათვის“ იერიზგი პირდაპირ ამბობს — სამართლის მნიშვნელობის პირველი და ერთადერთი პირობა არის მისი განხორციელება. მხოლოდ ის, რაც ნიადაგ ხორციელდება და გვახსენებს თავის არსებობას, არის კემპარტი სამართალი; ყველა დანარჩენი არის ცხეღარი სამართლისა, ვინდ-შიდიც მსგავსი თვალსაზრისიდან გამოდის. ინტერესიც, ნებაც ის ფსიქიკური განცდებია, რომლებიც ან ცალ-ცალკე ან სხვადასხვა კომბინაციებში ვლინდება სამართლის განხორციელებისას, მაგრამ სამართლის განხორციელება ისე როგორც დარღვევა, არის არა თავად სამართალი, არამედ მისი განხორციელება ან დარღვევა, ასევე უფლების მიმართაც. ისე როგორც ერთია სწორი აზროვნების ლოგიკური კანონი და დავარღვევთ თუ არა მას კამათში, ლოგიკური კანონის კემპარტიებას ამით არც არაფერი დააკლდება, არც მიემატება. როცა იურიდიული მეცნიერების თეორიის ვსწავლობთ, განსაზღვრული მეცნიერული



მეთოდების მეშვეობით მისი ბუნების გაგება გეწადია აქ მოვლენის სიყველესა ტიური ანალიზის საჭირო და არა მისი სოციოლოგიურ, პოლიტიკურ ან სამართლებრივ პოლიტიკის სფეროში გადაყვანა, სამართლის არსებობის საკუთარი სფერო გააჩნია. რა უყვართ, რომ ეს მხოლოდ ფონებით მისაწვდომი სფეროა და არა ისეთი, რომელიც ემპირიულად შეიძლება შემოწმდეს. ეს მისი რეალობას არაფერს აკლებს. განა თვითონ იერინგი არ ამბობს: — მეცნიერების მეშინია, ვისაც მხოლოდ იმისი სჯერა, რაც ხელშესახებიათ. კონკრეტული რეალობის დაბლობსა და ნორმატიული მორალის მთებს შორის მდებარეობს ის ველი, რომელიც სამართლის სამფლობელოა. ყოველი არსი სწორედ იმიტომაც არსი, რომ სადმე მას აქვს საკუთარი სფერო. ყოფადობისა სამართლის არ აცდენია ამ ბედნიერ ილბას და მხოლოდ ამ ბიძებითაც შესაძლებელი იურიდიული მეცნიერება. და თუ მისი საუკეთესო წარმომადგენლებიც გერ ხედავენ სამართლის ყოფიერების თავისთავად სფერუს; ზოგჯერ მას ეთიკის ნაწილად მიიჩნევენ (ბუნებითი სამართლის სკოლა) როგორც კონკრეტულად განხორციელებულ, უკვე მომხდარს ნაწილად (იერინგიმ ვინდშიაიდი), ეს ფაქტიც ორივე შემოხსენებულ სფეროსადმი სამართლის სფეროს თავისებური დამოკიდებულებით აიხსნება: სამართალი რომ ის პრიზმაა, რომელიც იკრებს წმინდა მორალის ცხოველყოფილ სხივებს, რომ შემდეგ მისი სინათლე რეალური ცხოვრებისათვის აუცილებელი გახდება. სამართლის ბუნების გამომჟღავნება, როგორც საკუთარი ყოფიერების გვარის მატარებლისა (Seinsari) თანამედროვე მეცნიერების მიზანია. აქვე გადაწყდება უფლების საკითხიც. უფლება და სამართალი კორელატიური ცნებებია. ისინი ერთმანეთზე და დამოკიდებული, ერთმანეთს გულისხმობენ და განაპირობებენ. ამ კორელაციის ბუნების ღრმა წვდომა უნდა მოახდინოს იურიდიულმა ლოგიკამ, როგორც სამართლის, ისე უფლების ბუნების გამჟღავნება მათი საკუთარი რეალების არეალში მეცნიერების უახლოესი ამოცანაა.

**ელინეკი.** იმის კვლევას, თუ რაში ხედავს მეცნიერი უფლების არსს, წინ უნდა უსწრებდეს ფილოსოფიური ძიება — თუ რა მიზანია მას სამართლის რეალობად საერთოდ, რა ბუნებისაა მისთვის სამართალი. ელინეკის აზრთა მსკლელობაში ჩვენ პირველად ვხვდებით იმ პოზიციას, რომელიც წინა თორიებისათვის უცხო იყო. არ არსებობს ისეთი ყოფიერება, რეალობა, რომელსაც სამართლის მეცნიერება სწავლობს. იურისპრუდენციას არა აქვს თავისი კვლევის საგანი. მაგრამ მართო ის როდია ასეთ დაჩაგრულ მდგომარეობაში. ყოველი მეცნიერებეს ობიექტი საბოლოო ანგარიშში ერთი და იგივეა. სხვადასხვაა მხოლოდ თვალსაზრისი, რომლითაც ისინი უდგებიან ამა თუ იმ ობიექტის კვლევას. მეცნიერებას სპეციფიკურ ბუნებას ანიჭებს არა საერთო საგანი, არამედ სწორედ მისი თავისებური თვალსაზრისი (Standspunkt) ამ საგნის მიმართ. მაგალითად ფიზიკას ფსიქოლოგიას და ესთეტიკის რეალობაში შესაძლოა ერთი და იგივე შესახველი საგანი გააჩნდეს. ვთქვათ, მუსიკალური სიმფონია. ფიზიკა მასში ბგერების ტალღებს ხედავს, ფსიქოლოგია — შეგრძნებების, გრძნობების გადაბმულ ნაყადს, ესთეტიკა — უღრმეს განცდას სილამაზისა.

ასევე სამართლის მეცნიერებაშიც სამართლის მიზანი არის არა არსე-



ბული, არამედ ცხოვრების მოწესრიგების ნორმები, თეორიული კვლევა-ძიების მიზანია არა ნორმები, არამედ არსებული ცხოვრება ისე, როგორც არის. აქ არა მათი ობიექტების, არამედ მხოლოდ თვალსაზრისების სხვაობაა. საკუთრება — წმინდა თეორიული თვალთახედვით — ფსიქოლოგიური პროცესია, რომელშიც არის ელემენტები მიჩემების, ბატონობის და სხვა. იურიდიული თვალსაზრისით საკუთრება, მის შესახებ ნორმების ერთიანობაა.

„Nicht was ist das Eigentum, sondern ure ist es zu denken ist die Weise wissenschaftlichev juristische Fragestellung. Die juristischen Begriffe haben keine Werenheiten zum Obiekt, die juristische Welt ist eine reine Gedenkenwelt“.

მაგრამ ის არ არის ფიქცია, რადგან ფიქცია ემყარება, მხოლოდ გამოგონებას, იურიდიულ თვალსაზრისს კი შეესაბამება მხოლოდ მომხდარი რამ ვარგან თუ შინაგან სამყაროში.

რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ელინეკის ამ ძირითად პრეზუმფციას უფლების პრობლემისათვის? პირველი, უფლება არ არის დამოუკიდებლად არსებული სუბსტანცია. ვარგან სამყაროში მას შეესაბამება მხოლოდ ფსიქიკური განცდები, ერთი მხრივ, უფლებამოსილი, მეორე მხრივ, მოვალის და ფიზიკური აქტები, რომლებიც ამ განცდების გამო ხდება. უფლება არის თვალსაზრისი, განჭვრეტის სპეციფიკური, იურიდიული, მეთოდოლოგიური მანერა, რომელიც უზრუნველყოფს იურიდიული მიზნის — ნორმების შექმნას, მეორე, თუ იურისპრუდენციასა და სხვა მეცნიერებათა შორის განსხვავება მეთოდოლოგიურ მიდგომაშია და არა საგანში, დაუშვებელია სხვა მეცნიერებათა მეთოდოლოგიის იურისპრუდენციაში გადმოტანა და უფლების პრობლემის განხილვა, როგორც ისტორიულად წარმოშობილი სოციალური მოვლენისა. ეს ისტორიის და სოციოლოგიის საქმეა. იურისპრუდენციამ უფლება უნდა შეისწავლოს დოგმატურად, სისტემატურად და არა მისი ქმნადობის პროცესში. მან უფლება უნდა შეისწავლოს, როგორც დამთავრებული ფენომენი,

ჩვენთვის სრულიად მიუღებელია ელინეკის ეს ძირითად პრეზუმფცია. მეცნიერების ყოველ დარგს გააჩნია არსებობის ორი პირობა — დამოუკიდებელი საგანი და თავისებური მეთოდი. თუ მაინცდამაინც ერთ-ერთი უნდა ვიმსხვერპლოთ, უფრო ადვილი წარმოსადგენია, სხვა მეცნიერებიდან ვისესხოთ ჭეშმარიტების მიღწევის მეთოდი, ვიდრე არ გავვაჩნდეს თავისთავად ეს ჭეშმარიტება. მაშინ ხომ არც მეცნიერება იქნება თვით მეთოდი, თვალსაზრისი იმაზე და მოკიდებული, თუ რა ხასიათის ჭეშმარიტებაა მისაღწევი. ამას ამტკიცებს თვით ელინეკის მაგალითიც: ბევრათა ფიზიკური ტალღები, ფსიქიკური პროცესების ნაკადი და ესთეტიური განცდა, არა მხოლოდ თვალსაზრისებია; ე. ი. ობიექტით გამოწვეული, არამედ ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი, სპეციფიკური რეალობები. ეს როდია ერთი და იგივე სიმფონია. არც ფიზიკოსის, არც ფსიქოლოგისთვის სიმფონია არ არსებობს, სიმფონია არსებობს მხოლოდ ესთეტიკისთვის, რომელიც შეისმენს ხმების დენას, ძოლიანობის სახით და ჩაწვდება მის იდეას. ასევეა სამართალშიც. გრძნობები, საკუთრების, ქონების გამრ არა თვალსაზრისია, არამედ ფსიქიკური რეალობა — ფსიქოლოგიის საგანი, საკუთრების იურიდიული ინსტიტუტი კი სპეციფიკური იურიდიული რეალობაა. ასევეა უფლებაც.

ნების და ინტერესის თეორიების ურთიერთკრიტიკამ გამოავლინა თითო-



ეული მათგანის ცალმხრივობა და უქმარისობა იმის ასახსნელად, რასაც ცხელდება და კანონმდებლობა უფლებად მიიჩნევდა, ამიტომაც წარმოიშვა ნებისა და ინტერესის თეორიების ერთგვარი სინთეზის საჭიროება. ამ ტენდენციის გამომხატველია ორი მეცნიერი, ორივე საჯარო სამართლის პრობლემების მკვლევარი — ბერნაციკი და ელინეკი.

ელინეკთან უფლება იყოფა ორ კატეგორიად — კერძო და საჯარო უფლებებად. პირველი კერძო სამართალშია, მეორე — საჯარო სამართალში. ელინეკის კვლევის საგანი ძირითადად საჯარო უფლებებია, თუმცა იგი ზოგადად იხილავს კერძო უფლებებსაც.

უფლება მოიცავს ორ ელემენტს — ნებას და ინტერესს. სანტერესსა ამ ელემენტების ურთიერთდამოკიდებულება ელინეკის თვალსაზრისით, ადამიანის ყოველ ნებელობით აქტს უნდა ჰქონდეს თავისი შინაარსი: არა მარტო გსურს, არამედ გსურს რაიმე; ისე როგორც, არა მარტო ხედავ, არამედ ხედავ რაიმეს. ნების ეს შინაარსი არის მისი მიზანი — სიკეთე, სუბიექტურად განხილული ინტერესი, სამართლის მიზანი არის ინტერესის დაცვა — იმეორებს იერიზგის თვალსაზრისს ელინეკი, მაგრამ არა იმისა, რომელიც მოცემულ მომენტში, მოცემულ სუბიექტს მიაჩნია ინტერესად, არამედ იმისა, რაც კანონმდებელს, მოცემულ დროში გაბატონებული შეგნების მიხედვით, მიაჩნია საშუალო ინტერესად (Durchschnittsinteresse). ამიტომ ცდება ვინდშიაიდი, როცა ამბობს, თითქოს ნება იყოს უფლება. ის მხოლოდ საშუალებაა უფლების განხორციელების და ცარიელია თუ არ ექნა განსაზღვრული შინაარსი, მიზანი — ინტერესი, მეორე მხრივ, იერიზგიც ცდება. უფლება არ არის მარტოდენ იურიდიულად დაცული ინტერესი. საჭიროა ნება, თუნდაც არ იყოს თავად ინტერესის მატარებლისა, არამედ სხვისი. საჭიროა ნება, რომელიც მისცემს მიმართულებას ინტერესს, იქნება მისი განხორციელების ფორმა. ამიტომ უფლება უნდა განიმარტოს, როგორც ადამიანის ნების აღიარების მეშვეობით დაცული ინტერესი ანუ სიკეთე. ნების აღიარება არის უფლების ფორმალური მომენტი. ინტერესი — მატერიალური. ერთობლიობაში ისინი სინთეზურ მთლიანობას ქმნიან.

ჩვენ არ შევუდგებით ელინეკის მოძღვრების კრიტიკას და იმის გამოკვლევას, თუ რაოდენ ღრმად ჩაწვდა იგი უფლების ბუნებას. ამისთვის მოგვიხდებოდა ყველა იმ კრიტიკული შენიშვნის გამოთრება, რომელიც ცალ-ცალკე გამოვთქვით ვინდშიაიდის და იერიზგის თეორიათა შესახებ. რადგან არსებითად ელინეკის თეორიაში გადმოინაცვლა იმ ხარვეზებში, რაც ორივე თეორიას ცალ-ცალკე გააჩნდა.

შევუდგეთ შემდეგ საკითხს. ჩვენ ვთქვით, რომ მეცნიერული ტრადიცია საერთოდ უფლებას ჰყოფს საჯარო და კერძო უფლებებებად იმის მიხედვით, იგი სამოქალაქო ბრუნვის სხვა წევრის მიმართ ხორციელდება თუ სახელმწიფოს მიმართ. მაგალითად, ჩემი უფლება გასესხებული ფულის უკან დაბრუნებაზე კერძო უფლებაა, პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა — საჯარო უფლება. ელინეკისთვის აუცილებელ ამოცანას წარმოადგენს ერთმანეთისაგან კერძო და საჯარო უფლების გამიჯვნის, მათი ურთიერთდაპირისპირების საფუძვლის გამოჩვენება.

სამართლებრივი წყობა სხვადასხვანაირად ახდენს ჩვენი ქცევების განწესებას — ამბობს ელინეკი. ამ სხვაობათა შორის უნდა გამოვყოთ ინდივიდის მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულების ორი უმთავრესი სახე: პირველი, როცა



სახელმწიფომდე ესა თუ ის ქცევა უკვე შედიოდა ინდივიდის ბუნებრივ თავისუფლებაში, სახელმწიფომდეკი აღიარა ის, ნება დართო და იურიდიული ძალა მიანიჭა. ასეთ ქცევას ვუწოდოთ იურიდიული გაბედვა (Rechtliche dürfen). მეორე, ის შემთხვევაა, როცა ქცევა სრულიად უცხოა ბუნებრივი თავისუფლებისათვის, სახელმწიფო მის აწესებს და ამღვეს მასიურ ძალას; ასეთი უნარი არის სამართლებრივ შეძლება (Rechtliches können). ათოთუფლო სახის უფლების დარღვევას განსხვავებულ შედეგი მოჰყვება: თუ დაირღვა Rechtliche dürfen-ი, მაგალითად, აღამიანს ხელი შეუშალეს საკუთრებაში, შედეგი იქნება დასჯა ან ზარალის ანაზღაურება. თუ დაირღვა Rechtliche können-ი, მაგალითად, ხელშეკრულება დადო მცირეწლოვანმა, ეს ფაქტი იურიდიულად არ არა იქნება. შესაძლოა können-ის მოაზრება dürfen-ის გარემოში შეიძლება. მაგალითად მცირეწლოვანის ქცევა შედის აღამიანის ბუნებრივ თავისუფლების სფეროში, dürfen-ი არ მოაზრება können-ის გარეშე, საკუთრების პირობაა, რომ იგი ცნოს სახელმწიფომ, როგორც იურიდიულად ძალაგანი და დაიცვას. კერძო უფლება მოიცავს dürfen-საც და können-საც, აქ სახეზეა აღამიანის ბუნებრივი თავისუფლება აღიარებული, ნებადართული ნორმების მიერ. მაგრამ ქმს აქვს სახელმწიფოს მიერ მინიჭებული ძალაც, საჯარო უფლება კი შეიცავს მხოლოდ können-ს. აქ არის ქცევა, რომელიც ამომავალში მიენიჭება იურიდიული ძალა, თუ წაერთვა, თვით ქცევა იურიდიულად უაზრო ფაქტად იქცევა. აქედან ცხადია, რომ კერძო და საჯარო უფლება ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული, შინაარსობრივად ერთმანეთის საპირისპიროა და სრულიად სხვადასხვა ფესვებისანი არიან.

დაპირისპირება კერძო და საჯარო უფლებას შორის იქედან გამომდინარეობს, რომ მათი ძირი, მათი გამოშატველი ქცევა — იურიდიული dürfen-ი და können-ი სხვადასხვაა. ელინეკმა ვერ გამოხატა ჭეშმარიტი სადემარკაციო ხაზი კერძო და საჯარო უფლებებს შორის, რადგან განსხვავება dürfen-ისა და können-ის ცნებებს შორის კრიტიკას ვერ უძღვება. ჩვენი კრიტიკა, რომელსაც ეხლა მოვიტანთ, კელზენის არგუმენტებს ეყრდნობა. შევეცდებით ერთგვარად გახვავითაროთ უკვე არსებული არგუმენტები.

ძირითადი შენიშვნა, რომელსაც ელინეკის თეორია იმსახურებს ისაა, რომ აქ საბოლოოდ გარკვეული არ არის, თუ რა კატეგორიის ცნებებია მისი „იურიდიული გაბედვა და შეძლება“. ხან ეს უფლებებისადმი ინდივიდის დამოკიდებულებაა, ხან აღამიანის ქმედება, ქცევა, ხან კი დამოკიდებულება ინდივიდებს შორის, ხანაც უნარი. ესენი კი სრულიად ურთიერთგანსხვავებული მოვლენებია. იურიდიულ გაბედვას და შეძლებას შორის ელინეკ უმთავრეს განსხვავებას იმაში ხედავს, რომ პირველი თავისთავადი, აღამიანის ბუნებრივი თავისუფლების სფეროში არსებული ქცევაა, მეორე კი — აწ დაფუძნებული. „ბუნებრივი თავისუფლების“ ცნების მეტაფიზიკურ ხასიათს რომ თავი ვანებოთ, მართალია კელზენი როცა უძღვება, რომ სახელმწიფოს ვერ ძალუძს შექმნას ახალი ქმედობა. ფიზიკური პრარცესები, რომლებსაც აღამიანი ბუნებრივად ჩაიღენს, მექანიკის სფეროს განეკუთვნება და სახელმწიფოს ინიციატივით ვერც შემცირდება, ვერც გამრავლდება. ამიტომ können-ის ჯიროს სახელმწიფო არ ქმნის ახალ ქმედობას, ყუთში იყენის ჩაღება არჩევნების უფლების აღიარებამდე იყო შესაძლებელი, თორღ აღიარებამდე იყო მექანიკური ფაქტი, შემდეგ კი იურიდიული მნიშვნელობა მიენიჭა. მაგრამ იგივე პროცესი ხდება dürfen-ის დროსაც. მესამე და უმთავრესი კრიტიკული არგუმენტი ისაა, რომ საბოლოოდ






ლოდ dürfen-ი და können-ი არ წარმოადგენს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ, ურთიერთდაპირისპირებულ რეალიებს, როგორც ეს ელინეკს მიაჩნია. ისინი არ წარმოადგენენ კარდინალურად განსხვავებულ დამოკიდებულებებს. ამიტომ ელინეკმა ვერ შეძლო სადემარკაციო ხაზის გავლება კერძო და საჯარო უფლებებს შორის. ყოველი ბუნებრივი, წინაუფლებრივი მოქმედება, ვიდრე მისი იურიდიული კვალიფიკაცია არ მომხდარა, ესე იგი ვიდრე მისთვის რაიმე იურიდიული მნიშვნელობა არ მიგვიწერია, თავისთავად არც dürfen-ია და არც können-ი. თუ იმას ვიტყვი, რომ იურიდიულ გაბედვაში ბუნებრივი თავისუფლება იყო და შემდეგ იგი მხოლოდ აღიარებული იქნა, ე. ი. თუ dürfen-ს მოვაცლით იურიდიულ ძალოვანებას, დაგვრჩება იურიდიული უაზრო მოქმედება. ეს იურიდიული ძალოვანება კი არის არა თავისთავადი, არამედ სახელმწიფოს მიერ მიკუთვნებული; ე. ი. dürfen-ის მთელი არსი ყოფილა können-ში. ეს ყოფილა მისი უმთავრესი არსებითი პირობა. მეორე მხრივ, არც können-ია იურიდიული ძალის მიკუთვნება ცარიელი წერტილისათვის. აქაც არის ბუნებრივი მოქმედება, რომელსაც იურიდიული ძალა ენიჭება. ამიტომ საბოლოოდ dürfen-ი და können-ი, ორივე ერთნაირად შეიცავს მოქმედების და იურიდიული ძალის მომენტებსაც და იურიდიულად მნიშვნელოვანი სწორედ უკანასკნელია.

ყოველი უფლება წანამძღვრად გულისხმობს სამართლებრივი წყობილების არსებობას, რომლითაც იგი შექმნილი, აღიარებული და მეტწილად დაცულია. ადამიანის ცხოვრება მალდება ბუნებრივ პროცესებზე სწორედ სამართლის საშუალებით. ამიტომ „Ohne öffentliches Recht kein Privatrecht“. მხოლოდ ის გადააქცევს წმინდა Machtssubject-ს Rechtssubject-ად. ამიტომაც ცხადია ლოგიკური პრიმატი სამართლისა უფლების წინაშე. ელინეკის ძირითადი შეცდომა ისაა, რომ თითქოს უფლება თავისთავად იყოს შიშველი ძალა და მხოლოდ სამართალი აძლევს მას იურიდიულ მნიშვნელობას. ასე რომ იყოს, სამართალს არა მარტო ლოგიკური პრიმატი უნდა მივაკუთვნოთ, არამედ ის ამომწურველად უნდა ჩავთვალოთ. უფლება კი უნდა მივიჩნიოთ არა იურიდიულ კატეგორიად, არამედ ფაქტობრივ ძალად. მაგრამ საქმე ასე როდია. როცა უფლებაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს მოვლენა, რომელიც მოცემულია იურიდიული ფენომენის სახით. საიდან მიიღო უფლებამ იურიდიული ძალა, ეს სამართლის ისტორიის და სოციოლოგიის საკითხია და არა სისტემური კვლევისა. ამას თვით ელინეკიც ამბობს; და თუ სისტემური ანალიზისთვისაც უფლება ისეთივე იურიდიული ხასიათის მატარებელია, როგორც სამართალი, მათ შორის რაიმე ლოგიკურ პრიმატზე ლაპარაკი შეუძლებელია.

კელზენი ბუბლიცისტია. ამიტომ მას უმთავრესად საჯარო უფლების პრობლემა აქვს დამუშავებული; ამასთან, რამდენადმე იხილავს საზოგადოდ უფლებებს საკითხს და მათ შორის, კერძო უფლების საკითხსაც. ჩვენთვის მისი აზრი, თანამედროვე მეცნიერთა შორის, განსაკუთრებით იმიტომაა საინტერესო, რომ იგი ობიექტივისტია და უფლების წინაშე სამართლის პრიმატს აღიარებს. უფლება მიაჩნია სამართლის ერთ-ერთ მოდიფიკაციად. დამოუკიდებლად არარსებულ ლოგიკურ კატეგორიად. გავსდიოთ მის აზრთა დენას და ვნახოთ, როგორ ლოგიკურ შედეგებამდე მიგვიყვანს კელზენის მოძღვრების საფუძვლები.



ყველა იმ განმარტების უმთავრესი შეცდომა, რომლებიც უფლების შე-  
სახებ არსებობს. კელზენის აზრით, ისაა, რომ მათ ვერ მიაგნეს პრობლემის  
მართებულ დასმას. მეცნიერებაში საკითხის სწორი დასმა კი უკვე მისი ნა-  
ხევრად გადაჭრაა. პრობლემის უსწორო დასმა კი იმაში მდგომარეობდა, რომ  
ფიქრობდნენ, თითქოს სამართალსა და უფლებას შორის დიდი სხვაობა იყო.  
ამავე დროს, უფლება მიაჩნდათ ერთგვარ სუბსტანციად, რასაც იცავს ობი-  
ექტური ნორმა. მაშინ, როცა ყოველი სამართალი ფორმალურია, სულერთია იგი  
ობიექტურია თუ სუბიექტური და შეიცავს იმას, თუ როგორ იცავს და არა  
იმას, თუ რას იცავს.

ობიექტურადაც და სუბიექტურადაც სამართალი არის სოციალური დაცვის  
ფორმა. მათ შორის განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ობიექტური სამართალი  
უნდა განვიხილოთ უფლებად თავისთავად, ხოლო უფლების ხსენების დროს,  
ეს უკანასკნელი განიხილება სუბიექტთან დამოკიდებულებაში, აქ ცხადია, რომ  
კელზენს ერთადერთ და ძირითად იურიდიულ კატეგორიად მიაჩნია სამართალი,  
უფლება კი იგივე ობიექტური სამართალია, მხოლოდ აღებული არაა დამოუ-  
კიდებლად, არამედ მის მოდიფიკაციაში. განსაზღვრულ მიმართებაში სუბიექ-  
ტთან.

ამიტომ უფლების პრობლემა ის კი არ არის, როგორ ვეძიოთ მისი თავისებური ბუნება, არამედ ის, რომ გამოვარკვიოთ, თუ როგორ ხდება რომ  
ობიექტური ნორმა განსაზღვრულ დამოკიდებულებაში დგება სუბიექტის მი-  
მართ და რა სახისაა ეს დამოკიდებულება. აქ კელზენი მეტად საინტერესო პა-  
სუხს იძლევა. ობიექტური ნორმა აწესებს განსაზღვრულ მოვალეობას. ეს სხვი-  
სი მოვალეობა ჩემთვის მნიშვნელოვანია, როგორც ჩემი უფლება, რადგან, ამ  
ნორმის განმარტების საფუძველზე, მე ისეთ დამოკიდებულებაში ვარ ვალდებუ-  
ლებული პირის მიმართ, რომ მისი მოვალეობა მე მიმეთვლება, როგორც ჩემი  
უფლება.

კელზენი გრძნობს, რომ ეს არ არის უკანასკნელი პასუხი კითხვაზე;  
რომ პრობლემის ფესვი სწორედ იმაშია, თუ როდის აქვს ადგილი ისეთ და-  
მოკიდებულებას, როცა სხვისი მოვალეობა მე უფლებად მიმეთვლება, ასეთი  
მითვის პირობა რომ კანონის მიერ ჩემი უფლების იურიდიული ცნობაა, ეს  
იმთავითვე იგულისხმება, რადგან ჩვენ უფლებებზე ანუ სუბიექტურ სამართალ-  
ზე გვაქვს საუბარი და არა სუბიექტურ ძალადობაზე. ამიტომ კელზენი განაგ-  
რძობს განმარტებას... „უფლებამოსილის დამოკიდებულებაში მე ვდგები მა-  
შინ, როცა კანონში გამოხატული ნება ორ პირს შორის ქცევის შესახებ არის  
ჩემზე დამოკიდებული, ჩემი პიროვნების გამოვლინებაზე დამოკიდებული“.  
შემდეგ კელზენს მაგალითიც მოჰყავს: თუ ჩემმა მოვალემ ვალი დროულად  
არ დამიბრუნა, ჩემი უფლებაა სასამართლოს სარჩელით მივმართოთ თუ არა.

უკვე აშკარაა, რომ კელზენის ობიექტივიზმი, მთელი მისი მსჯელობის გას-  
წვრივ, თანდათანობითი კლებადობის სახით, ნულამდე დადის, რადგან საბო-  
ლოო ჯამში ობიექტური ნორმის სუბიექტივაცია, ნორმის დამოკიდებულება  
სუბიექტივისადმი, ესე იგი უფლება რაობა ის ყოფილა, რომ უფლების გა-  
მოყენება-არგამოყენება, განხორციელება-არგანხორციელება დამოკიდებუ-  
ლია უფლებამოსილ პირზე; მიუშვამთ ერთი სიტყვაც, — მის სურვილზე.  
კელზენი ამ სახით იღებს დისპოზიციის შესაძლებლობას უფლებაში, ესე იგი  
სუბიექტურ სურვილზე უფლების დამოკიდებულებას ანუ ნამდვილ სუბიექ-  
ტივიზმს.

ყოველი უფლება რომ საბოლოოდ ობიექტური სამართლის მხოლოდ მოდიფიკაციაა. კელზენთან სხვანაირადაც მტკიცდება. კელზენი ამბობს, უშუალოდ უფლებზე აწესებს მოვალეობას და მხოლოდ შუალობითად მოვალეობის შემწეობით წესდება სხვისი უფლება მოვალეობის შესრულებაზე. ამიტომ მოვალეობა არის სუბიექტური სამართლის აუცილებელი გამოვლინების ფორმა, უფლება კი — მხოლოდ შესაძლებელი. ესე იგი ობიექტური სამართალი ყოველთვის აწესებს მოვალეობას, უფლება კი შეიძლება არ დააწესოს.

ცხადია, აქ კელზენი მოვალეობის ან უფლების დროულობით პირველობაზე კი არ ლაპარაკობს, არამედ ლოგიკურ დამოკიდებულებაზე. მაგრამ მისი აზრი არ არის ჭეშმარიტი მისივე გამოსავალი წერტილების მიხედვით. მოვალეობის და უფლების დამოკიდებულების გარკვევას სრულიად ზედმეტია უშუალობის და შუალობის ცნებები. აწესებს რა მოვალეობას, ობიექტური ნორმა ამ მოვალეობას განსაზღვრულ პუნქტს, განსაზღვრულ ცენტრს შიაკუთვნებს. უფლების დაფუძნებით წესდება სხვისი მოვალეობაც და მათ ლოგიკურ პრიმატზე კამათი დაემსგავსებოდა შუა საუკუნეების კამათს კვერცხზე და ქათამზე, რადგან მოვალეობა და უფლება კორელატური ცნებებია და ერთმანეთის გარეშე ლოგიკურად ვერ მოიაზრებიან.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ კელზენს უფლება, ვიდრე ის სრულდება, პოტენციურ მდგომარეობაში მყოფად მიაჩნია. როცა მოვალეობა არ სრულდება უფლებამოსილ პირს საბაბი ეძლევა სარჩელის მეშვეობით გამოიწვიოს ობიექტურ სამართალში აღიქმული შედეგები ანაზღაურების ან დასჯის სახით.

ასეთია უმთავრეს ხაზებში ის შესაძლებელი დადასტოვებულია, რომლებიც მეცნიერული აზროვნების განვითარებამ მოგვცა უფლების ბუნების შესახებ.

## მართლაც, რა ვუთხრათ ასეთ სპეკულაციას?!

ხანგრძლივმა პროფესიულმა და სამსახურებრივმა საქმიანობამ საბოლოოდ დამარწმუნა, რომ მტყუანისა და მართლის გასარჩევად მართოდენ სპეციალური ცოდნა და დიპლომი საკმარისი არ არის. მართლმსაჯულების ქურუმი რომ იყო, საამისოდ განსაკუთრებული ნიჭი და პატიოსნებაა საჭირო უპირველესად, თორემ შაბლონური, დაშტამპული განაჩენებისა და გადაწყვეტილებების წერას ზოგჯერ ისინიც კი ახერხებენ, რომელთა იურისტობაზეც ათასნაირ ანეგდოტადქცეულ თავგადასავლებს ჰყვებიან ხოლმე თვითონ ამ საქმისათვის პასუხისმგებელი თანამდებობის პირები, სულ უბრალოდ რომ გადავგვლოთ თვალი სისხლის სამართლისა თუ სამოქალაქო სამართლის საქმეებს, შევისწავლოთ უკვე კანონიერ ძალაში შესული განაჩენები და გადაწყვეტილებები, ყურადღება გავამახვილოთ საქმის წარმოებისა და წერის კულტურაზე, ერთობ სავალალო სურათს წავაწყდებით: დღეს იმის განჭვრეტაც კი ჭირს, თუ რას იტყვიან მომავალში მეისტორიენი დღევანდელი იურისპრუდენციის შესახებ, როდესაც ჩვენს მიერ წარმოებულ საქმეებს შეისწავლიან (მე მხედველობაში მაქვს არა იურიდიული მეცნიერების დონე, რაც, საბედნიეროდ, საკმაოდ მაღალია, არამედ, პრაქტიკოს იურისტთა ყოველდღიური საქმიანობა, საგამოძიებო, საპროკურორო და სასამართლო საქმეების წარმოების კულტურა), ასეთი რამ განსაკუთრებით სამოქალაქო სამართლის საქმეთა შესახებ ითქმის, რომელთა განხილვა-გადაწყვეტა ხშირად ისე დიდხანს გრძელდება, რომ საამისოდ ზოგჯერ მომჩივანისა თუ მოპასუხის სიცოცხლეც არ კმარა. თუმცა, სავალალო მართოდენ საქმის ფორმალური გაჭიანურება როდია, უფრო სამწუხარო ისაა, როდესაც საქმეში უხვად მოიპოვება ერთი და იგივე ინსტანციის სასამართლოთა სრულიად საპირისპირო გადაწყვეტილებები, ხან ერთი და ხან მეორე დასაბუთებები, ხოლო ბოლოს ისეთი დასკვნები, რომლებიც, პირდაპირ რომ ეთქვათ, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

ალბათ მკითხველი უკვე დაიღალა ზოგადი შეგონებებით, მავანნი და მავანნი კი განაწყენდნენ კიდევ ვინ არის, რა კუთვას გვარიგებს და ლექციებს გვიკითხავს მართლმსაჯულებაზე, როცა თვითონ არც განაჩენი დაუწერია და არც გადაწყვეტილებაო; უფრო დიდი განრისხება რომ არ დავიმსახურო, პირდაპირ ვიტყვი სათქმელს და განსასჯელად კონკრეტულ საქმეს შემოგთავაზებთ, რათა ზემოთ ნათქვამი მართლა ცილისწამებად არ ჩამეთვალოს.

ამ სამოქალაქო სამართლის საქმით (დავა სიცხოვრებელი სახლის საკუთრების უფლებით დაბრუნებას შეეხება), ჩვენი რედაქცია პირველად 1988 წელს დაინტერესდა და თავის ფურცლებზე გამოაქვეყნა კიდევ წერილი — „ხომ არ შეცდით, პატივცემულო მოსამართლენო!“ მართალია, ამ პუბლიკაციამ ახრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, ზოგი რას ამბობდა ზოგი რას, მაგრამ წერილმა მაინც მიაღწია შიხანს და მხარეთა ორი წლის „ბრძოლის“ შემდეგ, 1990 წლის 5 თებერვალს, სადავო ბინა მის კანონიერ მემკვიდრეს დაუბრუნდა.



ემპაკს კი თურმე არ უფინდ ვაძირფუ, ლეჩქამ ბინფთ დღიად ჩივენი ყოფი  
 ლან დაინტერესებულნი. მინაშორის უხუცეთი კომპონენტი რომელთა ყრვ  
 ლის შემძლეობაში მეც არ მეპარება ეჭვი, მაგრამ დღესაც არ მინდა ვირწმუ  
 ნო, რომ შესაძლებელია ამ დონეზე ასეთი უკანონობის ჩადენა. ამდენად,  
 მე როგორც წერილის ავტორი, მშვიდად ვაყავი და მეშვიდრესაც არ ვუფრთ  
 ხობდი სიმშვიდით კრამეთის ბუნა მისი მკაცრად დაფორმებული და  
 ქიასაც იხდიდა.

სრულიად მოულოდნელად საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სასა  
 მართლოს პრეზიდიუმში აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით პროტესტით შე  
 ვიდა მაშინ რესპუბლიკის პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი რ. გილი  
 გაშვილი და გადაწყვეტილებებს გაუქმება. მოითხოვა ანლადადმოჩენილ გარე  
 მოებათა გამო. საინტერესო და ყურადსაოებიია, თუ რა იყო ეს „ანლადად  
 მოჩენილი გარემოება“. საქართველოა რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს  
 პრეზიდიუმის 1990 წლის 18 მაისის დადგენილებაში, რომელმაც დააკმაყოფი  
 ლა პროკურორის პროტესტი, სიტყვა-სიტყვითაა ჩაწერილი: „საქმის ახალი  
 განხილვისას თავიდან უნდა იქნეს აცილებული მითითებული წინააღმდეგო  
 ბანი, კერძოდ, უნდა გაირკვეს, თუ რით არის განპირობებული, რომ ტექნიკუ  
 რი ინვენტარიზაციის ბიურო ერთ შემთხვევაში იძლევა ცნობას იმის შესახებ,  
 რომ მას არავითარი მონაცემები არ ვაჩნია სადავო სახლი 1941 წლამდე ვის  
 სჯელზე ირიცხებოდა, და რა საფუძვლით ჩაირიცხა კომუნალურ ფონდში. მე  
 ორე შემთხვევაში ვაწვინს წერიტს, ხადაც აღნიშნავს, რომ სადავო საცხოვ  
 რებელი სახლი პატრონის განცხადებით და ჩაისაბჭოს შუამდგომლობით კვლავ  
 გადავიდა აღმასკომის გამგებლობაში. ვახარკვევია ამ ორი ცნობიდან რომელია  
 სწორი“.

ერთი შეხედვით აქ არაფერი უნდა ყოფილიყო საშიში. საქირო გახდა  
 გარკვეულიყო უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის მითითება და ამის მერე  
 გაორტანილიყო შესაბამისი გადაწყვეტილება. ეს კი შენეო არ იყო. მართალია  
 ეჭვს არ იწვევდა, რომ ეგრეთწოდებული „ანლადადმოჩენილი გარემოება“ ძა  
 ლად მოთრეული მიზეზი იყო, მაგრამ როგორც იტყვიან, „შუბი ხალთაში არ  
 დაიმალება“. მითუმეტეს, რომ საქმეში, რომლის წარმოებაც 1983 წლიდან მიმ  
 დინარეობდა, არაერთი ცნობა ამ საკითხის შემართების დასადგენად, უფრო  
 მეტიც, არსებობს სხვა უტყუარი საბუთებიც, რომლებიც, თუ გულახდილნი  
 ვიქნებით, შეიძლება ზოგიერთთა დასის საბაბიც გამხდარიყო ამ ყალბი  
 დოკუმენტის შედგენისათვის.

მიგვაჩნია, რომ ამ საკითხებზე აყურადღების შემახვილება დღეს აღარ  
 ღირს, არ ღირს იმიტომ, რომ „ანლადადმოჩენილიმ იტყვიებამ“ სრული ფი  
 ასკო განიცადა, იგი არ დადასტურდა და არც საქმეში აღმოჩნდა, გადაწყ  
 ვეტილების ვასაუქმებლად, მაგრამ ვი, რომ, სამწუხროდ, მან ბრწყინვალედ  
 შეასრულა ავტორთა ჭანაფიქრება და მათი საბოლოო შეხებით მიღწეული აღ  
 მოჩნდა.

1990 წლის 14 მაისს, შემდეგ, იქვე ვადაც საქმეც დაიწყო განხილვისათ  
 ვის დაუბრუნდით სწავლად და აღნიშნავს, ბიუროს მონდა, საქმეში ერთი  
 მეორის მიყოლოებით სხვა საბუთების რითა და დონით მტკიცებდა დაინტერე  
 სებათა პირთა ვალისსმეილი რაც არა მხარა და უკლები მიიღწეონ თავიანთ საწა  
 დელს, სწორედ ამიტომ ყოფილია უნომოდ კვიანურდება საქმის განხილვა. ცდი  
 ლობენ რაც შეიძლება მეტად და მდებარე ყალი სასაქმეში ერთეგებიან მობინა



რეები და იწყება გაუთავებელი აყალ-მაყალი. ბოლოსდაბოლოს კი, როგორც იყო მოიძებნა მოსამართლეც და საშუალებაც, რომ შემდგარიყო სასამართლო სხდომა.

1992 წლის 28 მაისს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, მოსამართლე თ. ყრუაშვილის თავმჯდომარეობით, განიხილა და ძმა რიტა ბარსეგის ასულ და რაფიელ ბარსეგის ძე ოქრუაშვილების სარჩელი ჩუღურეთის რაიონის საკრებულოსთან საცხოვრებელ სახლზე საკუთრების უფლების დადგენის შესახებ.

გადაწყვეტილება საკმაოდ ვრცელი და დასაბუთებულია. თითქმის ათწლიანი დავა, თუ ვის ეკუთვნის თბილისში ვეძათხევის ქ. № 8-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი, როგორც იყო დასრულდა. სასამართლო ვერ გაექცა სამართლეს, ვერ უარყო ბევრი რამ, რისი უარყოფაც უნდოდა და ასეთ დასკვნამდე მივიდა: „კოლეგიამ შეამოწმა რა აღნიშნული მტკიცებულებები, მოუსმინა მხარეებს, გამოარკვია და ანალიზი გაუკეთა საქმეში არსებულ წერილობით დოკუმენტებს, თვლის, რომ არ არსებობს რაიმე ოფიციალური დოკუმენტი იმისა, როგორ მოხდა ხადათ სახლის კომუნალურ ფონდში ჩარიცხვა“ (იხ. გადაწყვეტილება).

ეს ყველაფერი შავით თეთრზე წერია გადაწყვეტილებაში, მაგრამ ასევე შეუვალა მისი სარეზოლუციო ნაწილი.

„მოსარჩელებს რიტა ბარსეგის ასულ ოქრუაშვილსა და რაფიელ ბარსეგის ძე ოქრუაშვილს უარი ეთქვათ სარჩელის დაკმაყოფილებაზე მოპასუხე ჩუღურეთის რაიონის საკრებულოსთან საცხოვრებელ სახლზე საკუთრების უფლების დადგენის შესახებ ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.


გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრებას და გაპროტესტებას არ ექვემდებარება“.

მოსარჩელების თავზე მეხის გავარდნას ჰგავდა ეს გადაწყვეტილება. სამაგიეროდ ზეიმობდა არა მოპასუხე ჩუღურეთის რაიონის საკრებულო, არამედ ვეძათხევის რვა ნომერში მცხოვრებ მობინადრეთა ჯგუფი, რომელთა ძალისხმევამაც ათი წლის შემდეგ მიაღწია საწადელს.

ოქრუაშვილების საბედისწერო ბორბალი კი კვლავ განაგრძობდა ტრილს. ამ გადაწყვეტილების თანახმად, სულ მალე, მათ სასწრაფოდ ჩამოართვეს მემკვიდრეობით მიღებული სახლი და ასევე ჩქაროსნული წესით, პრივატიზაციის საფუძველზე, უცბად შეასყიდეს ბინები იქ მაცხოვრებლებს. ბინის ახალი მესაკუთრეები ახლა იმაზე ზრუნავენ, თუ რა ფორმით განკარგონ ნაჩუქარი ქონება — თვითონ იცხოვრონ, გააჩუქონ თუ გაასხვისონ იგი.

სადავო არ არის და ჩვენც არ მივცემთ საკუთარ თავს იმის უფლებას, რომ ეჭვის ქვეშ დავაყენოთ გადაწყვეტილების აღსრულება. კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება (მითუმეტეს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება) ცხადია, უპირობოდ და უსიტყვოდ უნდა აღსრულდეს, არც იმისი უფლება გვაქვს გავსაჩივროთ იგი, რამეთუ საამისო ინსტანციების კომპეტენციაში ვერ შევიჭრებით. თუმცა, სამწუხაროდ, ოქრუაშვილებმა ვერა და ვერ მიაღწიეს გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში განხილვას. ჩვენ არ გვინდა ყველაფერი დავიჭეროთ. რასაც ოქრუაშვილები ამბობენ, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ჩუღურეთის რაიონის საკრებულოსა და ვეძათხევის რვა ნომრის მობინადრეებს საკითხი დამთავრებულად მიაჩნიათ.

რედაქცია იტოვებს იმის უფლებას, რომ სხვანაირად იფიქროს, არ და-



ეთანხმოს ზოგიერთ რამეში იმათ, ვისაც თავიანთ უპირველეს მოვალეობად კანონიერების დაცვა და უზრუნველყოფა მიაჩნიათ. ყურნალისტური თვალთვალზედვიდან შეედავოს და შეეკამათოს კიდევ მართლმსაჯულების წარმომადგენლებს, რაც ზოგჯერ უკანონობა ჰგონიათ ხოლმე ზოგიერთებს. მიგვაჩნია, რომ გვაქვს უფლება ჩვენი სიტყვა ვთქვათ აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე და თუ გნებავთ შევაფასოთ კიდევ იგი. მითუმეტეს მაშინ, როდესაც გადაწყვეტილება უკვე კანონიერ ძალაშია შესული, უფრო მეტიც, აღსრულებულია და ზოგიერთის აზრით, საბოლოოდ დამთავრებული.

**ამიტომ, განმეორებით ვითხოვთ ყურადღებას!**

როგორც უკვე ვთქვით, ოქრუაშვილების სარჩელს ხანდაზმულობის მოტივით უთხრეს უარი. ისმის კითხვა: რამდენად სამართლიანია (არ გვინდა ვიხმართ სიტყვა კანონიერი) ეს გადაწყვეტილება? ვფიქრობთ, სადავო არ უნდა იყოს ამის გარკვევა, რადგან ხანდაზმულობა მაინცდამაინც რთული საკითხი არ არის, ყოველ შემთხვევაში, არ შეიძლება ამის გადაწყვეტას ათი წელი დასჭირდეს.

პასუხი რომ გავცეთ ამ ძალადგართულებულ და საეჭვო კითხვას, საჭიროდ ვთვლით მთელი საქმის ფაბულა წარმოვუდგინოთ მკითხველს.

ქ. თბილისში, ვეძათხევის (ყოფილი ლისაგორსკის) ქუჩის მე-8 ნომერში მდებარე საცხოვრებელი სახლი მარია ოსეფის ასულმა გამაზოვამ 1888 წელს საჯარო ვაჭრობის წესით იყიდა და იქ დაბინავდა. ამ სახლში გარდაიცვალა იგი 1937 წელს, ხოლო სამკვიდრო მიიღო მისმა თანამყოფმა მემკვიდრემ, გამაზოვას შვილმა ნატალია მიხეილის ასულმა საიპოვამ, საიპოვამაც კარგახანს იცხოვრა ამ ბინაში, იგი 1970 წელს გარდაიცვალა და მემკვიდრეობის წესით (ქონების ფაქტობრივი დაუფლებით) იგი დაუტოვა თავის შვილს ელიზავეტა ნიკოლოზის ასულ ვოსკანოვას. ვოსკანოვამაც გააგრძელა თავისი წინაპრების სახლში ცხოვრება და სრულიად მოხუცი 1983 წლის 21 თებერვალს გარდაიცვალა. მოსარჩელები, და-ძმა რიტა და რაფიელ ოქრუაშვილები, ელიზავეტა ვოსკანოვას შვილები არიან, ხოლო ერთი მათგანი, რიტა ოქრუაშვილი დღესაც ამ ბინის ნაწილში ცხოვრობს. (ყველაფერი ეს დადგენილი და ჩაწერილია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს 1992 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებაში).

სადავო ბინის მეპატრონეთა გარდაცვალების წლები ჩვენ იმიტომ მოვიტანეთ ასე ზუსტად, რომ ხანდაზმულობის დასადგენად უპირველესად ეს თარიღებია საჭირო, თორემ ამ ხნის მანძილზე იმდენი რამ მოხდა მათ ცხოვრებაში, რომ თუ საჭირო გახდა, მასზე ალბათ ცალკე წერილი დაიწერება. ყველაფერ ამაზე ამჯერად იმიტომ ვამბობთ უარს, რომ სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ ვეძათხევის რვა ნომერში მდებარე სახლი, რომელიც საჯარო ვაჭრობით შეიძინა გამაზოვამ 1888 წელს, ნამდვილად იყო ჯერ მისი შვილის, ნატალია საიპოვას მემკვიდრეობა, შემდეგ ელიზავეტა ვოსკანოვას საკუთრება და, ამდენად ბუნებრივია, იგი მისი შვილების, ოქრუაშვილების მემკვიდრეობადაც უნდა ჩაითვალოს. სასამართლომ კი ხანდაზმულობის მოტივით პირველი რიგის კანონიერ მემკვიდრეებს უარი უთხრა სარჩელზე და უნებურად იმ მოსამართლეებს დაემსგავსა, ერთ ცნობილ ქართულ კინოფილმში („რაც გინახავს, ველარ ნახავ“) რომ მოსამართლეობენ ასეთი პრინციპით: „გეკუთვნის... მაგრამ არ გეკუთვნის...“

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ელიზავეტა ვოსკანოვა გარდაიცვალა 1983





ვის შესახებ. გაუშვეს არასაპატიო მიზეზით, კანონით დადგენილი სამწლიანი ვადა, რის გამოც ხარჩელი არ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული".

მართლაცა, რა ვუთხრათ ასეთ სამართალს?!

კიდევ ბევრის თქმა შეიძლება. მაგრამ გამოგვივა ერთი და იგივეს გამეორება, თუნდაც იმის, რომ არ შეიძლება სასამართლო გადაწყვეტილებები ამგვარად იწერებოდეს. ისიც ვიცით, რომ ასეთი კატეგორიული დასკვნისათვის ბევრი განაწყენდება. ბევრიც იქედნურად ჩაიჭირებებს, მაგრამ მაინც ვიტყვი: როდემდე უნდა ბოგინობდეს მართლმსაჯულებაში (განსაკუთრებით სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვის დროს) მეჭურჭლეთა შეგონება — „მეჭოთნე ქოთანს საითაც უნდა იქით შეაბამსო ყურს“.

არადა, ასეთი მაგალითების პოვნა არც თუ ძნელია. ამჯერად ჩვენ მხოლოდ ერთ ფაქტზე გესაუბრეთ.

ანგო არსენაშვილი

**მინაწერი.**

წერილი იმითმაც დაიწერა, რომ შემკვიდრების საკითხი დღეს მტკაღ აქტუალურ თემად მიგვაჩნია. ეს კი თავითონ ცხოვრებამ მოიტანა. საშოცდათწლდანი კოლმუნისტური სტრუქტურების წგრევამ ბევრი ისეთი დავა წარმოაჩინა, რომელთა გადაწყვეტასაც ნამდვილად ფაქიზი მიდგომა სჭირდება. ასეთ მიდგომას უპირველესად შემკვიდრება მოითხოვს. ალბათ მოვა დრო და საქართველოს კანონმდებლობა ყოველნაირად დაიხვეწება. აღარ იქნება საქმეთა განხილვის ასეთი ხანგრძლივი გაკვირებები, სიგვო და ბუნდოვანი გადაწყვეტილებები, დადგენილებები, მითითებები, ნორმატიული აქტები, ყველაფერი მხოლოდ ქეშმარიტებას, უტყუარობას, სამართლიანობას, კანონის უზენაესობას დაემორჩილება.

არადა, ერთი ამოსუნთქვით რომ ვთქვათ, შემკვიდრების დროს როგორ შეიძლება ლაპარაკი სამწლიან ხანდაზმულობაზე? განა ცოტა გავვიგია ან წავვიკითხავს შემთხვევა, როდესაც ათეული და ასეული წლების წინ შექმნილი ქონება ანუ სიმდიდრე მიუღიათ ადამიანებს შემკვიდრების წესით. (ეს ინსტიტუტი განსაკუთრებით ძლიერია სხვა ქვეყნებში). ან რატომ უნდა დაეკარგოთ შთამომავლებს საკუთარი მამა-პაპის შრომით შექმნილი ქონება, რა სახითაც არ უნდა არსებობდეს იგი. ცივილიზებულ სამყაროში, რომელსაც ყველაფერში ვეჯიბრებით და ვეტოლებით. ეს საკითხი არასოდეს ყოფილა სადავო და წარმოიდგინეთ, არც დღეს დავობს ვინმე ამას. მხოლოდ ჩვენთან, ჩვენს უკანონო და უსამართლო ქვეყანაში იყო იგი გაბატონებული, რამეთუ, ადამიანის გამდიდრება, რატომღაც, არამართლზომიერ ქმედებად ითვლებოდა.

მაღლობა ღმერთს, გამოჩნდა იმედის შუქი, რომ ყოველგვარ უკანონობას და უსამართლობას მალე მოეღება ბოლო, ადამიანი თავისუფალი, ყოველმხრივ დაცული და უზრუნველყოფილი იქნება. მაგრამ ამას წლები უნდა, ვიდრე საამისოდ ზუსტი კანონმდებლობა შეიქმნებოდეს. ალბათ, მართლმსაჯულების ორგანოებმა უნდა მისცენ მაგალითი თავიანთი მოღვაწეობით სხვა დარგებს და ისე გადაწყვიტონ დავები, რომ არა მარტო დაწერილ კანონს ეყრდნობოდეს მათი საბოლოო სიტყვა, არამედ დაუწერელ კანონსაც, რომელსაც მორალი, ადამიანური სინდისი და პატრიონება ჰქვია.

სწორედ ამ დაწერილ და დაუწერელ კანონთა თანახმად, დიას, უნდა დაუბრუნდეთ ბინები ყველას, ვისაც უკანონოდ აქვს იგი ჩამორთმეული. არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა იმას, თუ როდის განხორციელდა ასეთი უკანონო აქტები მოქალაქეთა მიმართ, ერთი, ათი, ოცი თუ უფრო მეტი წლის წინ. შემკვიდრებებმა, რომელთაც აღმოაჩნდებათ ნახეიდობის ხელშეკრულება ან სხვა რამ ამის დამადასტურებელი საბუთები, ყველა შემთხვევაში უსიტყვოდ უნდა მიიღონ თავიანთ მამა-პაპათა შირ შექმნილი და დანატოვარი სიმდიდრე, რა სახითაც არ უნდა არსებობდეს ეს ქონება.

ერთი საკითხიც, რომელიც, როგორც უნერხული და საჩოთიროც არ უნდა იყოს, ალბათ მაინც უნდა დაიხვას:

როგორც ცნობილია, სამემკვიდრეო კონება, სადავო სახლი, რომელსაც ეს წერილი მი-  
მართავს, ეკუთვნოდათ გაშაწივებს, საიპოვებს და ვოსკანოვებს. ამ ათი წლის მანძილზე, ვიდრე  
სასამართლოები გაძლდებოდა, კულისებში და კულისებს ვარდაც, ხშირად იყო ლაპარაკი  
იმის თაობაზე, რომ ისინი ქართველები არ იყვნენ. ვილაც-ვილაცები სარგებლობდნენ კიდევ  
ამით და ეროვნულ მოძრაობას მიტმანებულნი წოვიერთი პირი პროვოკაციულად იყენებდა  
ამ ვილარებას სათავესოდ. მართალია, ასეთ საუბარს ან აზრს არაფერი აქვს საერთო იურის-  
პრუდენციასთან, იგი ძირშივე მცდარი და მიუღებელია, მაგრამ ამ ვაიპატრიოტებისა  
და მათდამი აყოლილთა გასაგონად მაინც მინდა ვთქვა ხმაშაღლა: აღნიშნული სამემკვიდ-  
რეო სახლი საქუთრების უფლებით დღეს ეკუთვნით ოქრუაშვილებს, ხოლო მათგან იგი სა-  
მუდამო მფლობელობაში გადადის ჩიჩუბებიან და მიქაბერიძეებთან, რომელთა არაქართველო-  
ბაში ეჭვის შეტანა თვით მაშაწვიერსაც არ შეუძლია.

იმედს ვიტოვებთ, რომ ასეც იქნება დღეს თუ არა ხვალ მაინც იზიშებს სამართლიანობა  
და აღდგება კანონიერება. ჩიჩუბები და მიქაბერიძეები ნამდვილად დაუფლებიან თავიანთი წინა-  
პრების მიერ დანატოვარ ნაშრომ-ნაამაგარს.

ბ. ბ.



© „საბარტალი“, 1992 წ.

რედაქციის მისამართი: 280048, თბილისი, ბრიგადოვსკის 18  
ტელ: 89-02-46, 98-41-50, 98-51-01

გალეცა წარმოებას 2. 07. 92 წ., ხელმოწერილია დისაბექტად 10. XI. 92 წ.  
ფორმატი 70 X 108/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირთბითი ნაბეჭდი ფურცელი 7,  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6.05, შეკვ. 1155, ტირ. 4 400.

საქართველოს შურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საშრობლოს“ სტამბა,  
280009, თბილისი, შ. კოსტავას 14

«САМАРТАЛИ» («ПРАВО») (на грузинском языке). Ежемесячный научно-практический журнал Союза юристов Республики Грузия.

Адрес редакции: Тбилиси, Грибоедова, 19, тел.: 99-62-45, 93-41-50, 99-51-01.

Типография Грузинского журнально-газетного издательства «Самшобло».  
380009, Тбилиси, ул. М. Костава, 14.

619/7



538 3 355